წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი

ტომი I

ა – ჵ

თბილისი
2012

წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური
ლექსიკონი

ტომი I

ა – ჲ

თბილისი
2012

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგიის კათედრა

წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი

ტომი I

ა – ღ

ლექსიკონი მომზადდა სამეცნიერო პროექტის –
„აულის ენები – კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმები – გლობალიზაციის პირობებში (წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)“ –
ფარგლებში

თბილისი
2012

წოვათუშური იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხის უმწერლობო ენაა. წინამდებარე ლექსიკონი მისი თავისთავადი და მდიდარი სიტყვიერი მარაგის შენარჩუნებასა და უკვდავყოფას ისახავს მიზნად.

ლირიკული გადახვევის უფლებით აღვნიშნავთ, რომ, რაკი სიტყვებში გარდასული თაობები თვლემენ და მათეული ხატია შიგ მოქცეული სამყაროსი, დაე, დარჩეს ეს განსაკუთრებული სიყვარულით შეკრული წიგნი მარადიულ ძეგლად სამყაროს სივცობრივი განზომილებით დაინტერესებულთათვის ყველა დროსა და ყველა ეპოქაში.

შემდგენელ-გამომცემლები: **არსენ ბერთლანი (რედაქტორი)**
მაყვალა მიქელაძე
ქეთევან გიგაშვილი

ლექსიკონის რუსული ნაწილის რედაქტორი: **ნათელა ღუდუშაური**

ლექსიკონის ინგლისური ნაწილის რედაქტორები: **ელენე ძამიაშვილი**
ეკატერინე ნახუცრიშვილი

ოპერატორი: **დავით ბუქურაული**

© ა. ბერთლანი, მ. მიქელაძე, ქ. გიგაშვილი

გამომცემლობა „საარი“, 2012
ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57
e-mail: saari_ltd@yahoo.com
ISBN: 978-9941- 427-38-1

Телавский государственный университет имени Якова Гогебашвили
Кафедра грузинской филологии

Цоватушинско-грузинско-русско-английский словарь

Том I

a–j

Словарь подготовлен в рамках научного проекта –
«Языки аула – умственные формы существования человечества – в условиях глобализации
(По материалам цоватушинско-грузинского двуязычия)»

Тбилиси
2012

Iakob Gogebashvili Telavi State University
Department of Georgian Philology

Tsovatush-Georgian-Russian-English Dictionary

Volume I

a–j

The Dictionary was prepared under the project –

“Auli Languages – Mental Forms of Mankind – in the Conditions of Globalization (According to the bilingual materials of Tsovatush-Georgian)”

Compiler-publishers: A. Bertlani (editor)
M. Mikeladze
K. Gigashvili

Edtor of the Ruusian part of the dictionary: Natela Gudushauri
Editors of the English part of the dictionary: Elene Dzamiashvili
Ekaterine Nakhutsrishvili

Tbilisi
2012

... ცხოვრების დაისი ქართული ფილოლოგიის კათედრაზე გაატარა,
თავისი ბოლო – გედის – სიმღერაც აქ შეასრულა:
ლექსიკონის აწყობის საკმაოდ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე დიდი ხალისით იტვირთა.
პროექტზე მუშაობის დროს მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან...
...ამ ლექსიკონში ახლა დათოს სულია განფენილი,
ამიტომაც მის გამოცემას სიხარულთან ერთად დიდი სევდაც ახლავს...

.. .ვუძღვნით უმშვენიერესი და უკეთილშობილესი წოვათუში ვაჟკაცის –

დავით (დათო) ბუქურაულის –

ხსოვნას, მის სიყვარულს.

წინასიტყვაობა

დავით და ნიკო ქადაგიძეების
„წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“
1984 წლის გამოცემისათვის

წოვა-თუშურ ენაზე ლაპარაკობს თუშების ნაწილი. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თუშეთში (ბარად ჩამოსახლებამდე) თუშები იყოფოდნენ წოვათის, ჩაღმის, პირიქითისა და გომეწრის თემებად.

წოვათა თემის თუშები ლაპარაკობენ წოვა-თუშურად და ქართულად, დანარჩენი სამი თემის თუშები – მხოლოდ ქართულად.

წოვა-თუშური ენა (საკუთარი სახელწოდება **ბაცბურ მოტ̣** ან **ვაჲლჴ მოტ̣**) იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფს განეკუთვნება.

ამჟამად წოვათა თემის თუშები (წოვა-თუშები) ცხოვრობენ ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში.

წოვა-თუშური ენის მეცნიერულ შესწავლას ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტმა – **დავით ქადაგიძემ** (1861-1937) და მისმა ვაჟმა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, გერმანული ენის კათედრის გამგემ – **ნიკო ქადაგიძემ** (1895-1976).

დავით და **ნიკო ქადაგიძეების** ლექსიკონი 7500-მდე სალექსიკონო ერთეულს შეიცავს. ლექსიკონი გამოირჩევა საილუსტრაციო ფრაზების სიმდიდრით, ილუსტრაციებში ვრცლად არის წარმოდგენილი წოვა-თუშური ონომასტიკა და ტოპონიმიკა, აგრეთვე ზოგი ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობა.

„წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“ გამოცემასთან დაკავშირებულ სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ლატავრა სანიკიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **იზოლდა ჯოლბორდი** და **ევა უშარაული-ქადაგიძე**, ოფსეტური ბეჭდვისათვის ლექსიკონი კალიგრაფიულად გადაწერა **ელენე ქადაგიძემ**.

რუსუდან გაგუა

წინასიტყვაობა

„წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონის“
I ტომისათვის

წინამდებარე ოთხენოვანი „წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი“ მომზადდა **დავით** და **ნიკო ქადაგიძეების** 1984 წლის სამენოვანი „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“ ბაზაზე. გამოვიყენეთ აგრეთვე სხვადასხვა გამოცემაში ჩართული ლექსიკოგრაფიული მასალა, დაწყებული **ი. გიულდენშტედტის** „კავკასიაში ხმარებული ენების შედარებითი სიტყვათა კონებიდან“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1964) და დამთავრებული **ე. ქადაგიძის** წოვათუშური[1] ტექსტებით (ე. ქადაგიძე, წოვა-თუშური ტექსტები, თბ., 2009) და აგრეთვე ჩვენ მიერ გამოცემული წოვათუშური ტექსტებით (მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, ქ. გიგაშვილი, მ. ცისკარიშვილი, წოვათუშური ტექსტები, თბ., 2011).

სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც **თუშების**, ისე მათი **მეტყველების** (**მეტყველებების**) აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში დღემდე სერიოზული გაუგებრობაა. „ერთობით **თუშნი**“, როგორც მათ მეფე **არჩილი** იხსენიებს (1664-1675 წწ.), ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მთიან თუშეთში ოთხ თემად ცხოვრობდნენ. ეს იყო **წოვის**, **ჩაღმის**, **პირიქითისა** და **გომეწრის** თემები. ბარში ჩამოსახლების შემდეგ მეტყველებრივი ნიშნით ისინი ორ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ: **წოვათუშებად** (წარმოდგენილია წოვის თემით) და **ჩაღმათუშებად** (წარმოდგენილია ჩაღმის, პირიქითისა და გომეწრის თემებით).

წოვათუშები ამჟამად ცხოვრობენ კახეთში, ალაზნის მარცხენა მხარეს, ბახტრიონთან – ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვნის ერთ ნაწილში და ლაპარაკობენ **წოვათუშურსა** და **ქართულ ენებზე**, ხოლო **ჩაღმათუშები**, რომლებიც დღეს ცხოვრობენ ზემო ალვნის მეორე ნაწილში, აგრეთვე ქვემო ალვანსა და ლალისყურში, ლაპარაკობენ **ქართული ენის თუშურ კილოზე**.

შემდგენლები

---

[1] როგორც **წოვათუშებს**, ისე **წოვათუშურს**, ვუქვემდებარებთ რა ქართულ ორთოგრაფიას, გადმოვცემთ რწყმული დაწერილობით.

სიტყვა-სტატიის აგებულებისა და ლექსიკონით სარგებლობის შესახებ

„ენები კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმებია“, – ბრძანა ცნობილმა გერმანელმა ლინგვისტმა **ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა** და მოახდინა ე. წ. დიდი და პატარა ენების საბოლოო და უპირობო იდენტიფიკაცია. ამაზე დაყრდნობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ, თუ რომელიმე ენაზე ორი კაცი მაინც ელაპარაკება ერთმანეთს, ეს ენა ფუნქციონირებს და თავის ღირსებას იცავს. ასეთი ენები, როგორც ცნობილია, „გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფის“ სტატუსით მოიხსენიებიან.

აღნიშნული სტატუსით სარგებლობს დღეს წოვათუშური ენა, რომელიც ამჯერად საქართველოს რესპუბლიკის ერთადერთი სოფლის – ზემო ალვანის – ერთ ნახევარში ფუნქციონირებს და შიდასაოჯახო ურთიერთობის სფეროს არის შემორჩენილი. მდიდარი, თავისთავადი და დახვეწილი მორფონოლოგიური სტრუქტურა ამ ენისა მეტყველებს მის ოდინდელ მაღალ სოციალურ დატვირთვაზე, თუმცა ისტორიულ წყაროებში მის შესახებ XVIII საუკუნემდე არაფერი ისმის. საინტერესოა, რომ მისი მატარებელი ხალხის თავდაპირველ საცხოვრისს აკად. **ივ. ჯავახიშვილი** მდ. ტიგროსის სათავეებში ეძებს[2].

დავით (1861-1937) და **ნიკო** (1895-1976) **ქადაგიძეებმა** თავის დროზე თავს იდვეს მძიმე და საპატიო შრომა, როცა შეადგინეს „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“[3]. იგი 1984 წელს გამოვიდა, მაგრამ მისი მასალები მთელი ნახევარი საუკუნით ადრე იყო მოძიებული და წოვათუშურ-ქართული ორენოვნების გაცილებით ადრეულ საფეხურს ასახავდა. მას შემდეგ განვითარებულმა ბილინგვიზმმა კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა წოვათუშური ენის ფონოლოგიურსა თუ გრამატიკულ სტრუქტურებში.

წინამდებარე ტომის შემდგენლებმა ვცადეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, ზედმიწევნით აგვესახა ლექსიკური ერთეულების ბოლო პერიოდის ფონეტიკურ-ფონოლოგიური მხარე, სრულად დაგვეფიქსირებინა ორენოვნების თავისებურებათა ამსახველი როგორც საკუთრივ წოვათუშურენოვანი, ისე ნასესხები ლექსიკა. ვფიქრობთ, ერთი და იმავე ლექსიკონის ეს ორი სხვადასხვა რედაქცია გარკვეულ სამსახურს გაუწევს როგორც ენის ისტორიის მკვლევართ, ისე ორენოვნების კანონზომიერებებით დაინტერესებულ პირებს.

შევნიშნავთ, რომ, თუმცა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩვენ მიერ სადღეისოდ გამოვლენილია **დავით** და **ნიკო ქადაგიძეების** დროინდელ მოცემულობათაგან საკმაოდ განსხვავებული ფონეტიკური თუ ფონოლოგიური ნიშნები, მაგრამ, ვცნობთ რა მათი უნიკალური ლექსიკონის პრიმატს, უმეტეს შემთხვევაში ხელუხლებლად ვტოვებთ სიტყვა-სტატიების აღნაგობასაც და დაწერილობასაც. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ ცვლილებებს დავუქვემდებარეთ მასდარების ორმაგი **დდ** დაწერილობა და შევცვალეთ იგი ცალმაგი **დ**-თი. გარდა ამისა, **დავით** და **ნიკო ქადაგიძეებს** კლასის მაჩვენებლის სახით ვოკაბულებში (სალექსიკონო სტატიების სასათაურო სიტყვებში) გამოყოფილი აქვთ მხოლოდ **დ**, ჩვენ გამოვყავით სხვა მაჩვენებლებიც: **ნიყ ბ|ა̄ხარ niq̣ b|āxar** *‘გ ზის გაკვლევა’*; **ბჳარკი თეფხ|ჲ|არ bωarḳi tepx|j|ar** *‘თვალების ხამხამი’*; **ბუჰ̮ ბ|არ buḫ b|ar** *‘ჩხუბი’*; **ბაქ ბ|ელინ̂ baq b|elinî** *‘პირმცინარე’* და სხვ.

---

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950.

[3] დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ამასთანავე, უახლესი დაკვირვებებიდან გამომდინარე, **დავით** და **ნიკო ქადაგიძეების** მიერ *‘და’* კავშირისა და *‘-ც’* ნაწილაკის ეკვივალენტების სტატუსით წარმოდგენილი მახვილიანი ხმოვნები შევცვალეთ გრძელი ხმოვნებით; აგრეთვე:

საჭიროების შემთხვევაში, აღვნიშნეთ ხმოვანთა განსხვავებული კვანტიტეტი ზოგადად;

ხმოვანთა ნაზალობა, გარდა აუსლაუტისა, **დავით** და **ნიკო ქადაგიძეებისგან** განსხვავებით, აღვნიშნეთ ანლაუტშიც და ინლაუტშიც;

თავშეკავებით, მაგრამ პარალელური ფორმების სახით მაინც მოვახდინეთ რეალიზაცია ლექსემებისა ე. წ. თავისუფალი ხმოვნებით ანლაუტში (მაგ., **ˉაჸა̃ ˉa’ã** *‘კი, დიახ, ჰო’*; **ˉუმ ˉum** *‘რამე’*; **ˉუნახ ˉunax** *‘რაღაცა’*; **ˉუ̃ნდა? ˉũnda?** *‘რატომ?’*; **ˉუხ? ˉux?** *‘რა?’*...).

წოვათუშურ სიტყვათა შინაარსის ზედმიწევნით გადმოცემის სურვილით წინამდებარე ლექსიკონის რადაქტორმა რიგ შემთხვევაში ქართული ნეოლოგიზმები აწარმოვა. მათ მკითხველი ადვილად ამოიცნობს საილუსტრაციო მასალის მიხედვით.

I

ლექსიკონში ცალკე ლექსიკურ ერთეულებად შეტანილია:

საზოგადო არსებითი სახელები: **დოკ dok̦** *‘გული’*; **ღაზოლ γazol** *‘სიკარგე (კარგობა, სიკეთე)’*, **ღაზნა̄ γaznā** *‘დროსა და სივრცეში განვრცობილი, ირგვლივ გამეფებული სიკარგე’*; **ურძო̂ urʒô** *‘მჭვარტლი’*; **ჰ̦აკ ḥak̦** *‘შუბლი’*...

ზედსართავი სახელები: **წ̦ეგე̃ ç̣egẽ** *‘წითელი’*; **ღაზე̃ γazẽ** *‘კარგი’*; **ჰ̦აჭო̄რე̃ ḥač̣ōrẽ** *‘სუნიანი, მყრალი’*...

რიცხვითი სახელები: **ში ši** *‘ორი’*; **დ|ჵივჸ d|ϖiv’** *‘ოთხი’*; **ფხიიწ̦ატ̦ყ̦ pxiiç̣aṭq̣** *‘სამასი’*; **ყალღე̃ qalγẽ** *‘მესამე’*...

ნაცვალსახელები: **სო so** *‘მე’*; **თხო txo** ექსკ. *‘ჩვენ (მე და ის, მე და ისინი, ჩვენ და ის, ჩვენ და ისინი)’*; **მე̃? mẽ?** *‘ვინ?’*; **მოლუ̃? molũ?** *‘როგორი?’*....

ზმნები (მასდარის ფორმით): **აბარ abar** *‘შეკვრა (კრავს)’*; **ყ̦ეგარ q̣egar** *‘ტეხა (ტეხს)’*; **დ|ჵევარ d|ϖevar** *‘მოკვლა (მოკლავს)’*; **დ|იც|დ|არ d|ic|d|ar** *‘დავიწყება (დაივიწყებს)’*;

მიმღეობები: **ქორ|დ|უჲნი̂ qor|d|ujnî** *‘საშოვნელი’*; **ყოწ̦|დ|იენო̂ qoç̣|d|ienô** *‘ჩამოკიდებული’*; **ჰ̦აყინო̂^{1} ḥaqinô^{1}** *‘წასმული’*...

ზმნისართები: **ჩაყ čaq** *‘შორს’*; **გარგე[ჰ̦] garge[ḥ]** ess. *‘ახლოს’*; **ჰ̦ალო[ჰ̦] ḥalo[ḥ]** ess. *‘ზევით’*...

თანდებულები: **-მაქ -maq** *‘-ზე’*; **-და[ჰ̦] -da[ḥ]** *‘-დან, -გან’*; **-ჩუ -ču** *‘-სა, -ანთას’*; **-ცი̃ -cĩ** *‘-თან, მახლობლად’*...

კავშირები: **მე̄ mē** *‘რომ, რათა’*; **მა̄ mā** *‘მაგრამ, ხოლო, კი’*...

ნაწილაკები: **ცო co** *‘არ, არა’*; **-წ̦ -ç̣** *‘-ხელ, -ჯერ’*...

შორისდებულები: **ვაჲ^{2} vaj^{2}** *‘ვაი’*; **ბარქალ barqal** *‘ბარაქალა’*...

აფიქსები: **-ღე̃^{1} -γẽ^{1}** მსგავსების აღმნიშვნელი სუფ. *‘-ებრი;* **-წ̦ი̃ -ç̣ĩ** უქონლობის სუფიქსი *‘უ...ო/დ/, უ...ელი, უ...ელო, უ...ად’*...

ზმნები **დ|ალარ d|alar** და **ითარ itar**, რომლებიც დამოუკიდებლად აღარ იხმარებიან და აწარმოებენ ვნებითი გვარის შინაარსის ახალ ზმნებსა და კაუზატივებს.

ცალკე ერთეულებს ქმნიან ომონიმები, რომლებიც ბოლოში, სტრიქონს ზემოთ, სათანადო ციფრითაა გაფორმებული: **ბოტ**[1] **boṭ**[1] *'ცომი'*; **ბოტ**[2] **boṭ**[2] *'თიკანი'*; **ლამ**[1] **lam**[1] *'მთა'*; **ლამ**[2] **lam**[2] *'ცა'*; **ლამ**[3] **lam**[3] *'ლამი'*; **წე**[1] **çe**[1] *'ცეცხლი'*; **წე**[2] **çe**[2] *'სახელი'*...

პარალელური ფორმები ერთადაა შეტანილი; ჩვეულებრივ, პირველად წარმოდგენილია ამოსავალი ფორმა, როგორც ვოკაბულაში, ისე საილუსტრაციო მასალაში: **დაჲმწრიკ, დემწრიკ dajmçriķ, demçriķ** *'გამოცანა'*; **ლეჲჭყდორი, ლიჭყდუჲრი̂ lejčq̇dori, ličq̇dujrî** *'კეკემალულობა'*.

წოვათუშური ენის მახვილი სიძლიერით ქართულისას რამდენადმე სჭარბობს, ადგილის მიხედვით კი, ქართული მახვილისგან განსხვავებით, სიტყვას მოუდის პირველ მარცვალზე: **აბარ** (ა′|ბარ) **abar** (**a′**|**bar**) *'შეკვრა'*; **აბჟო̃ტი** (ა′ბ|ჟო̃|ტი) **abžõṭi** (**a′b**|**žõ**|**ti**) *'უზანგები'*; **აბჟო̃ტიწი̃** (ა′ბ|ჟო̃|ტი|წი̃) **abžõṭiçĩ** (**a′b**|**žõ**|**ṭi**|**çĩ**) *'უუზანგო[დ]'*; **აბურძგნადალარ** (ა′|ბურძგ|ნა|და|ლარ) **aburʒgnadalar** (**a′**|**burʒg**|**na**|**da**|**lar**) *'აბურძგნა (აიბურძგნება)'*; **გაუბიდრებადალარ** (გა′|უ|ბიდ|რე|ბა|და|ლარ) **gaubidrebadalar** (**ga′**|**u**|**bid**|**re**|**ba**|**da**|**lar**) *'გაუბედურება'*... რაკი მახვილს აქ მუდმივი ადგილი აქვს, საჭიროდ არ ვცანით მისი აღნიშვნა, თუმცა, გარკვეული სემანტიკური თუ გრამატიკული ფუნქციით, ის შეიძლება აღმოჩნდეს სხვა მარცვალზე, რაც არის კიდევაც ნაჩვენები გრაფიკულად: **განა′/გარა′ gana′/gara′** (ხმარობენ ქალებიც, კაცებიც)/**განი′/გარი′ gani′/gari′** (ხმარობენ მხოლოდ ქალები) *'აბა'*.

დავით და **ნიკო ქადაგიძეების** მიერ *'და'* კავშირისა და *'-ც'* ნაწილაკის ფუნქციის შემსრულებელი ხმოვანი საილუსტრაციო მასალაში, როგორც წესი, გაცნობიერებულია ხან უმახვილო, ხანაც მახვილიან ხმოვნად; მაგ.: **ფსტუჲნო′ ადმიჼ დაე̄, სტაკაე̌** *'დედაკაციც ადამიანი არის და მამაკაციც'*[4]; **ბა̄ჰინო̂ ჯა სტაკონ ბალʼბალინე̂, აჰო ვოქვიქჼ** *'დაკოდილი ღორი კაცს ეძგერა და წააქცია'*[5]; **ბაცბივ ლამუ[ჰ] ბჩასტე′ ჰალ ბაყო̂** *'წოვათუშები მთაში დიყსაც ჭამენ'*[6]. ჩვენ ვთვლით, რომ აქ საქმე გვაქვს არა მახვილიან, არამედ გრძელ ხმოვანთან, რაც შეძლებისდაგვარად აისახა კიდევაც ჩვენს ლექსიკონში: **ფსტუჲნო̂ ადმიჼ დაე̄, სტაკაე̌** *'დედაკაციც ადამიანი არის და მამაკაციც'*; **ბა̄ჰინო̂ ჯა სტაკონ ბალʼბალი′ნე̂, აჰო̄ ვოქვიქჼ** *'დაკოდილი ღორი კაცს ეძგერა და წააქცია'*; **ბაცბივ ლამუ[ჰ] ბჩასტე̄ ჰალ ბაყო̂** *'წოვათუშები მთაში დიყსაც ჭამენ'*.

იქ, სადაც ვერ ხერხდება ხმოვნის გაგრძელება, მართალია, საქმეში ერთვება მახვილი, რომელიც ჩვენთვის არცთუ გასაგები წესრიგით სიტყვა-ფორმის ავანგარდიდან გადაადგილდება არიერგარდში, მაგრამ – არა ბოლოკიდურ ხმოვანზე: **ვაშას ტათებ დაჰო′ერ, ჩუ̄ დოხკორ სჼ უჯრი** *'ძმა ფულს მო[მ]იტანდა [ხოლმე] და ჩამილაგებდა [და] უჯრაში'* (ზედმიწევნით: *'ჩა- და -მილაგებდა უჯრაში'*); **ვაშას ტათებ დაჰო′ე̌, ჩუ̄ დოხკო̂ სჼ უჯრი** *'ძმა ფულს მო[მ]იტანს და ჩამილაგებს უჯრაში'* (ზედმიწევნით: *'ჩა- და -მილაგებს უჯრაში'*); **ვაშა′სე̂ დეცქჼ სჼ ტათებ, ბიძი′სე̂** *'ძმამაც მოიტანა ფული, ბიძამაც'* (შდრ. **ვაშას ტათებ და′ჰო̄, ჩუ̄ დოხკო̂ სჼ უჯრი** *'ძმა ფულს მო[მ]იტანს და ჩამილაგებს [და]'*; **ვა′შასუ̄ დეცქჼ სჼ ტათებ, ბი′ძისუ̄** *'ძმამაც მოიტანა ფული, ბიძამაც'*).

ყველა ზმნური ერთეულიდან შეიძლება იწარმოოს მიმღეობა **-ნი̂ -nî**, **-ნო̂ -nô** სუფიქსების დართვით, აგრეთვე **-ითარ -itar** კაუზატივის, **-მაკარ -maḳar** პოტენციალისის დართვით და ბევრ შემთხვევაში ვნებითი შინაარსის **-დ|ალარ -d|alar** ზმნის დართვით. ლექსიკონში შესულია მხოლოდ ნაწილი ამნაირად ნაწარმოები ერთეულებისა, აგრეთვე სხვადასხვა პრევერბდართული და ნაწილაკდართული სიტყვებისა.

---

[4] ქადაგიძე, ..., 1984, 27.

[5] იქვე, 71.

[6] იქვე, 108.

II

ნაცვალსახელები, ზმნისართები, შიშლეობები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები ლექსიკონში შედის სათანადო გრამატიკული კვალიფიკაციებით: **ვაჲ**[1] **vaj**[1] ინკლ. ნაცვალს. *'ჩვენ (მე და შენ, მე და თქვენ, ჩვენ და შენ, ჩვენ და თქვენ)'*; **წყე c̣q̣e** ზმნს. *'ერთხელ'*; **ჭირხეთინი̂ č̣irxetinî** შიშლ. *'ზარმაცი'*; **–ჭ -č̣** ინტენსივობის ნაწილა–კი...

არსებითი სახელი შეტანილია მხ. რ. სახ. ბრ. ფორმით (რომელსაც ნიშანი არ გააჩნია) და ახლავს ორივე რიცხვის გრამატიკული კლასის ნიშნები: **კნათ** ვბ **ḳnat** vb *'ბიჭი, ვაჟიშვილი'*; **ჲოჰ̦** ჲდ **joꜧ** jd *'ქალი, ქალიშვილი, გოგონა'*; **ჰ̦ეხ** ჲჲ **ꜧex** jj *'გამოქვაბული'*; **ჲეთ̦** ბბ **jeț** bb *'ძროხა'*; **აფუშ** ბდ **apuš** bd *'ტყუილი'*; **ქოკ** ბჲ **qoḳ** bj *'ფეხი'*; **ჩხიჼდურ** დდ **čxĩdur** dd *'წინდა'*; **ტოტ** დჲ **ṭoṭ** dj *'ხელი'*...

ფუძეცვალებადი სახელების მეორე ფუძე, რომელიც ხშირად მრ. რ. ფორმაშიც არის ნაწარმოები, შეტანილია ცალკე ერთეულად და იქვე მითითებულია (იხ.) ძირითადი ფორმა; მაგ.: **მათ̦იშ mațiš** მრ. იხ. **მოთ̦ moț** *'ლოგინი'*; **წენბუჲ c̣enbuj** მრ. იხ. **წა c̣a** *'სახლი'*; **ას as** ერგ. იხ. **სო so** *'მე'*...

გრამატიკული კლასის ნიშნის მატარებელი ფუძეები (ზმნა, ზედსართავი სახ., ზმნიზედა...) ლექსიკონში წარმოდგენილია განზოგადების ტენდენციის მქონე ნივთის **დ** კლას-ნიშნით, რომელსაც ანბანთრიგში ანგარიში არ ეწევა და იგულისხმება, რომ სათანადო კონტექსტში ასეთი ფუძე დაირთავს სხვადასხვა კლასის ნიშანს (შესაბამისად, **ვ**, **ჲ**, **ბ** და საკუთრივ **დ**), რაც ილუსტრაციებში ვლინდება: **დ|აყარ d|aq̣ar** *'ჭამა'* – **ჯორ ბაყოს** *'ვაშლს ვჭამ'*; **დ|ეყარ d|eq̣ar** *'გაყოფა'* – **ბედ ბალ'ქჼჩრ̂ ვაჟარვ ჟაბრ̂ ნიფვს-ნიფვს ბეყჼ** *'გაყრილმა ძმებმა ძროხები სწორ-სწორად (თანაბრად) გაიყვეს'*; **დ|უტყჼ d|utq̣ĩ** *'წვრილი'* – **დარუჲგო[ჰ̦] ჲუტყჼ ლოჭ ჲაჲლი̂** *'დაროს წვრილი ჯოხი უჭირავს'*; **დ|უხ d|ux** adit. *'უკან'* – **ვუხ ჰ̦აჲჭნას** *'უკან მოვიხედე'*; **დ|ჵივც d|ωiv'** *'ოთხი'* – **ვჵივც დონლოვ** *'ოთხი ცხენოსანი'*... საჭიროების შემთხვევაში, ლექსიკონის პირველი რედაქციისგან განსხვავებით, ვოკაბულებში გამოყოფილია კლასის სხვა ნიშნებიც, მაგალითად, **ნიყ ბ|აჯარ niq̣ b|aqar** *'გაღწევა; გზის გაკვლევა'*; **ჲუყ ღორ|ჲ|არ juq̣ ɣor|j|ar** *'წელის გაშეშება'*...

ერთ-ერთი თვალსაჩინო სხვაობა წოვათუშური ენის ლექსიკონის ამ ორ გამოცემას შორის ნასესხებ მასდართა ფორმებში აისახა.

ქართული მასდარები უმეტესად **ა** ხმოვანზე ბოლოვდება (სხვა მაწარმოებლების როლი აქ უმნიშვნელოა), წოვათუშურ ენაში კი ზმნურ ძირს, რომელიც ყოველთვის დახურული მარცვლითაა წარმოდგენილი, მასდართა საწარმოებლად, გვარების მიხედვით, **დ|არ d|ar** ან **დ|ალარ d|alar** მეშველი ზმნები დაერთვის. სესხების პროცესში ქართული **ა**-მაწარმოებლიანი მასდარი გააზრებულ იქნა, როგორც ზმნური ძირი, და მეშველი ზმნაც მას დაერთო. ამ დროს, წოვათუშური ენის ძირთა სავალდებულო დახურულმარცვლიანობის ძველი პრინციპის შესაბამისად, საჭირო გახდა ბოლო **ა**-ზე რაიმე თანხმოვნის დართვა. არჩევანი გადაწყვიტა ნახური ენებისთვის დამახასიათებელმა სრული კონტაქტური ასიმილაციის წესმა და მეშველ ზმნათა წინ მდგომმა თანხმოვანმა **დ**-ს სახე მიიღო. ამ გზით – ორენოვნების ჩამოყალიბების ადრეული საფეხურისთვის დამახასიათებელ ფონეტიკურ-ფონოლოგიურ ფაქტორთა ერთობლივი მოქმედებით – ნასესხებ მასდართათვის ჩამოყალიბდა შემდეგი მოდელი: **ქართული მასდარი** + **დ** + **დ|არ/დ|ალარ**.

ანტონ შიფნერის მიერ საუკუნენახევრის წინათ შედგენილი წოვათუშური ენის გრამატიკისთვის დართულ ლექსიკონში შესული 68 მასდარიდან **დონ**იანი ფორმითაა მოცემული 62 ერთეული[7]. **დონ**იანი ფორმები გვაქვს **ქადაგიძეთა** ლექსიკონშიც.

აღნიშნული მოდელი ნასესხები მასდარებისა დღეს უკვე შეცვალა ახალმა, **დ**–ჩამოცილებულმა ფორმებმა, თუმცა ზოგჯერ ის ჯერ კიდევ იხმარება პარალელურად მოუბართა ასაკობრივი დონეების მიხედვით. ამრიგად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ნასესხები სიტყვების ქართულთან დაახლოების გზაზე – დაირღვა წოვათუშური ენის დახურულმარცვლიანობის პრინციპი, ნასესხებ მასდართა მოდელმა კი უფრო მარტივი სახე მიიღო. გვაქვს პირდაპირ: **ქართული მასდარი** + **დ|არ/დ|ალარ**.

ზედიზედ მისული ორი **დდ**–დან დატოვებულია კლასის მაჩვენებელი, მაგ., **დაბერტყა|დ|არ dabertq̣a|d|ar** (< **დაბერტყად|დ|არ dabertq̣ad|d|ar**) *‘დაბერტყვა’*; **დაწერა|დ|არ daçera|d|ar** (< **დაწერად|დ|არ daçerad|d|ar**) *‘დაწერა (დაწერს)’*... მაგრამ სხვა კლას–მაჩვენებლის შემოტანის შემთხვევაში, ბილინგვთა ასაკობრივი დონეების მიხედვით, შეიძლება აღდგეს ჩვენ მიერ გაუქმებული **დ**: **დაბერტყა|ჲ|არ dabertq̣a|j|ar** – **დაბერტყად|ჲ|არ dabertq̣ad|j|ar** *‘დაბერტყვა’*, ანალოგიურად **დაბერტყა|ბ|არ dabertq̣a|b|ar** – **დაბერტყად|ბ|არ dabertq̣ad|b|ar** და ა. შ.

დ კლასის ნიშანს ანბანში ანგარიში არ ეწევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი წარმოდგენილია **დ|არ d|ar** *‘ქმნა’*, **დ|ალარ d|alar** *‘გახდომა’* ზმნებით ნაწარმოებ რთულ ფორმებში: **დ|იწ|დ|აჴ|დ|არ d|iç|d|aq|d|ar** *‘გაამპარტავნება (გააამპარტავნებს)’*; **დ|ეფხ|დ|ალარ d|epx|d|alar** *‘გაცხელება (ცხელდება)’*; **დ|უწ|დ|არ d|uç|d|ar** *‘ავსება (აავსებს)’*...

ქადაგიძეთა ლექსიკონში ზმნა წარმოდგენილია არა ინფინიტივით, არამედ მოქმედების სახელით (მასდარით), რომელსაც ზმნის სინტაქსური ძალაც აქვს, მართავს სახელს ბრუნვაში და სახელის მიერ იმართვის კლასში; საილუსტრაციო ფრაზებში ასახულია ზმნის სხვადასხვა დროისა თუ პირის ფორმები.

ჩვენ ფრაგმენტულად შევიტანეთ ინფინიტივის ფორმებიც, რათა გვეჩვენებინა მათი ფუნქციონირება და განსაკუთრებული როლი წოვათუშურ ენაში (მაგ., **აბჼ abã, დაგჼ dagã, ალʻჼ aľã**...).

ზმნის სალექსიკონო ფორმასთან აღნიშნულია მისი გარდამავლობა, გარდაუვალობა, სტატიკურობა; გამოყოფილია, როგორც ზემოთ აღინიშნა, კლასის ნიშანი (თუ ასეთი აქვს): **ლელარ lelar** გრდუვ. *‘სიარული (დადის)’*; **დ|ა̄თ̨არ d|āt̨ar** გრდუვ. სტატ. *‘სხმა (ასხია)’*; **დ|ოლ̨არ d|ol̨ar** გრდმ. *‘ჩადება (ჩადებს)’*...

დამატებითი კვალიფიკაცია არ ეძლევა კაუზატიურ (**ითარ**–ით **itar**–ით ნაწარმოებ) ზმნებს, აღნიშნულია მხოლოდ გარდამავლობა: **დ|ოთ̨ითარ d|ot̨itar** გრდმ. *‘დასხმევინება, ჩამოსხმევინება’*; **ნიფს|დ|ითარ nips|d|itar** გრდმ. *‘გასწორებინება’*... ასევე მხოლოდ გარდაუვალობაა მითითებული ვნებითის მნიშვნელობის მქონე (**დ|ალარ d|alar**–ით ნაწარმოებ) და პოტენციალისის მნიშვნელობის მქონე (**მაკარ maḳar**–ით შედგენილ) ზმნებთან: **ყჼ|დ|ალარ q̣ã|d|alar** გრდუვ. *‘დაბერება (დაბერდება)’*; **მაკოდმაკარ, მაკდომაკარ maḳodmaḳar, maḳdomaḳar** გრდუვ. *‘შეძლება (შეძლებს)’*; **ფითრბა|დ|ალარ pitrba|d|alar** გრდუვ. *‘გაფითრება (ფითრდება)’*...

მნიშვნელობაცვლილი მოქმედების სახელი (მასდარი) მოყვანილია ზმნური სტატიის ბუდეში და გამოყოფილია ცალკე მნიშვნელობად: **ჴა̄ლ̨არ qāl̨ar** 1–ლი მნიშვნ. გრდმ. *‘ჭამა (შეჭამს)’*; მე–2 მნიშვნ. დდ *‘საჭმელი’*... მაგრამ, თუ ამგვარ სახელს **დ** კლასის ნიშანი შეხორცებული აქვს, მაშინ იგი განთავ–

---

[7] A. Schiefner, “Versych über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien”: Mém. VI Série, Sc. politiques ets., IX, St.-Pétersbourg, 1859.

სებულია ცალკე სტატიად **დ** ასოზე: **დაყარ** დდ **daq̣ar** dd *‘საჭმელი’*; შდრ. **დ|აყარ d|aq̣ar** *‘ჭამა (ჭამს)’*; **დაჟარ** დდ **dažar** dd *‘ბალახი’* შდრ. **დ|აჟარ d|ažar** *‘ძოვა (ძოვს)’*...

სიდიდეები **დ|არ d|ar** *‘კეთება (აკეთებს)’*, **მაკარ maḳar** *‘შეძლება (შეუძლია)’*, რომლებიც გამოყენებულია მოქმედებითი გვარის (**დ|არ d|ar**) შინაარსის ზმნებისა და პოტენციალისის (**მაკარ maḳar**) შინაარსის მქონე ზმნების საწარმოებლადაც, ცალკე მნიშვნელობად არის შეტანილი ამავე ზმნებთან, რომლებიც დამოუკიდებლად იხმარება: **დ|არ... d|ar...** მე-5 მნიშვნ. რთული ფუძის, ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი, აწარმოებს გარდამავალი შინაარსის მქონე ზმნას; **მაკარ... maḳar...** მე-2 მნიშვნ. რთული ფუძის, ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი, აწარმოებს პოტენციალისის შინაარსის ზნას.

სრული და უსრული ასპექტის ზმნები ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი. სრული ასპექტის ზმნასთან ბოლოში მითითებულია უსრული ასპექტი და პირიქით (ქართულიდან ნასესხებ ზმნებს ყოველთვის არა აქვს მითითებული ასპექტი): **დ|აჰ̮არ**[1] **d|aḫar**[1] *‘წაღება (წაიღებს)’*... უსრ. **დ|ოტ|დ|არ**; **დ|ოტ|დ|არ d|oṭ|d|ar** *‘წაღება (მიაქვს)’*... სრ. **დ|აჰ̮არ**[1] **d|aḫar**[1]; **ქაკ|დ|არ qaḳ|d|ar** *‘მორევა (მოურევს)’*... უსრ. **ქეკ|დ|არ**[2] **qeḳ|d|ar**[2]; **ქეკ|დ|არ**[2] **qeḳ|d|ar**[2] *‘მორევა (ურევს)’*... სრ. **ქაკ|დ|არ qaḳ|d|ar**...

უწესო წარმოების ზმნის განსხვავებული ფორმა ცალკე ერთეულად არის შეტანილი (საილუსტრაციო ფრაზით) და იქვე მითითებულია ძირითადი ფორმა: **ლო lo** მყოფ. იხ. **დ|ა̆ლ‘არ d|ăľar** *‘მიცემა, მისცემს’*; **ლა la** მყოფ. იხ. **დ|ა̆ლარ d|ălar** *‘მოკვდომა’*...

სათანადო აღნიშვნა (მრ.) ახლავს ისეთ სახელებსა თუ ზმნებს, რომლებიც მხოლოდ მრავლობითში გვხვდება: **თაჲლზი tajlzi** მრ. *‘ხურჯინი’*, **ხაბჟარ xabžar** მრ. *‘დასხდომა (დასხდებიან)’*...

არამყარი კომპოზიტები, რომლებიც ენაში წარმოდგენილია ხან რთული სიტყვის, ხან შესიტყვების სახით, შეტანილია ერთ-ერთი კომპონენტის (უფრო ხშირად პირველის) ბუდეში: **დოკ დ|ატარ doḳ d|aṭar** *‘შეშინება (შეეშინდა), გულის გასკდომა’* შეტანილია სიტყვა-სტატიაში **დოკ doḳ** *‘გული’*. ზოგ შემთხვევაში ასეთი შესიტყვება-კომპოზიტი გამოყოფილია ცალკე მნიშვნელობად კვალიფიკაციით: რთული ფუძის, ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი (იხ. სიტყვა-სტატია **სა... sa**...).

მყარ შესიტყვებაში წარმოდგენილი მნიშვნელობადაკარგული (უთარგმნელი) სიტყვა გამოტანილია სასათაურო ერთეულად და სათანადო შესიტყვებისგან ორი წერტილითაა გამოყოფილი. ითარგმნება მთელი შესიტყვება: **ნაბჟირა**: **ნაბჟირა დ|აჴარ nabžira**: **nabžira d|aqar** *‘ნამსხვრევებად ქცევა (ნამსხვრევებად იქცევა)’*; **ტაფ**: **ტაფ ლაჴარ ṭap**: **ṭap laqar** *‘გაელვება (გაიელვებს)’*...

მეშველი **დ|არ d|ar** *‘კეთება’* ზმნით შედგენილი გარდამავალი ზმნები ლექსიკონში შეტანილია ცალკე ერთეულადაც და სათანადო კომპონენტის ბუდეშიც**:** **მოჴ moq** *‘სიმღერა, ლექსი’*... **მოჴ ბ|არ moq b|ar** *‘მღერა (მღერის)’*, **მაჴიშ დ|არ maqiš d|ar** *‘სიმღერების ქმნა (ე. ი. მღერა)’*...

ქართულენოვანი ზმნისწინის ფუნქციას წოვათუშური ენის ზმნასთან დღემდე ასრულებს ზმნიზედა (ზმნისართი), რომელიც ჯერაც არ შეერწყა ზმნას. ამიტომ ვთვლით, რომ **დავით** და **ნიკო ქადაგიძეების** მიერ ასეთებად აღწერილ სიტუაციებში საქმე გვაქვს არა ზმნისწინთან, არამედ ზმნისართთან, რასაც გვიდასტურებს მისი ცალკე ლექსემად გამოყოფის (გამო-ცალკევების) შესაძლებლობა მესამე (მეოთხე და ა. შ.) წევრის შემოტანის შემთხვევაში. მაგალითად, **დავით** და **ნიკო ქადაგიძეებთან** გვაქვს **ჰ̮ალაბარ ḫalabar** მნიშვნელობით *‘შეკვრა’* [8], მაგრამ ამავე დროს გვაქვს ფორმები: **ჰ̮ალ ცო აბარ** *‘არშეკვრა’* (ზედმიწევნით: *‘შე- არ -კვრა’*); **ე ჰ̮ალ მოჰ̮ დ|ეწ იჼც აბ|დ|ალოჼ?** *‘ეს როგორ უნდა შეიკეროს ახლა ?’* (ზედმიწევნით: *‘ეს შე- როგორ უნდა ახლა -იკეროს?’*); **ჰ̮ალ ჰ̮ჼ დ|ეწ სოჼ აბჼ?** *‘ვინ უნდა შემიკეროს?’* (ზედმიწევნით: *‘შე- ვინ უნდა მე -კეროს?’*); **ჰ̮ალ მაცჼ დ|ეწე იჼც ე აბჼ?**

---

[8] იქვე, 869.

'როდის უნდა შეკერო ახლა ეს?' (ზედმიწევნით: *'შე- როდის უნდა ახლა ეს -კერო?'*) და ა. შ. მეტიც, ის სიდიდე, რომელსაც აქ ზმნისართად ვაცნობიერებთ და არა ზმნისწინად, ზმნის მომდევნოდაც კი შეიძლება შეგვხვდეს: **დუჴ გორი დავი̂ დაჰ̣ ბაცბა̂ თხალომცი̂** *'ბევრი გვარი დაიკარგა ბაცბებისა დღემდე'*. ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენ **დავით** და **ნიკო ქადაგიძეებთან** ზმნისწინების სახით წარმოდგენილი ზმნისართები მაქსიმალურად გამოვაცალკევეთ დამოუკიდებელი ლექსემების სახით (თუმცა სალექსიკონო სტატიებში უარი არ გვითქვამს **ქადაგიძეებისეულ** ფორმულირებაზე „ზმნისართ-წინსართი").

ნათქვამი ეხება მიმღეობებსაც, რომლებშიც იგივე სიდიდეები **დავით** და **ნიკო ქადაგიძეებს** თავსართების სახით აქვთ წარმოდგენილი. კერძოდ, მიმღეობებია, მაგალითად, **დ|აჰ̣ინო̂ d|aḫinô** *'წაღებული'*, **დ|ისენო̂ d|isenô** *'დარჩენილი'* ფორმებიც და **ჰ̣ალ⌈ო̂⌉ დ|აჰ̣ინო̂ ḫal⌈ô⌉ d|aḫinô** *'ატანილი'*, **ჰ̣ალ⌈ო̂⌉ დ|ისენო̂ ḫal⌈ô⌉ d|isenô** *'⌈გა⌉დარჩენილი'* ფორმებიც; ეს უკვე თავისთავად გვიჩვენებს, რომ **დ|აჰ̣ინო̂, დ|ისენო̂ d|aḫinô, d|isenô** ფორმები, შეიცავენ რა **ჰ̣ალ⌈ო̂⌉ დ|აჰ̣ინო̂ ḫal⌈ô⌉ d|aḫinô** *'ატანილი'*, **ჰ̣ალ⌈ო̂⌉ დ|ისენო̂ ḫal⌈ô⌉ d|isenô** *'⌈გა⌉დარჩენილი'* ფორმების აბსოლუტურად იდენტურ სემანტიკას, სრულიად დამოუკიდებელ ლექსიკურ სიდიდეებს წარმოადგენენ. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ, ზმნისართების შემთხვევაში, **ჰ̣ალ⌈ო̂⌉ ḫal⌈ô⌉** სიდიდესა და მის მომდევნო სიდიდეს (სიდიდეებს) შორის შეიძლება შემოვიტანოთ მესამე (და მეტი) სიდიდე; შდრ. **დ|ისენო̂ / ჰ̣ალ⌈ო̂⌉ დ|ისენო̂ d|isenô / ḫal⌈ô⌉ d|isenô** *'დარჩენილი/⌈გა⌉დარჩენილი'* – **ჰ̣ო ჰ̣ალ⌈ო̂⌉ ცო დ|ისენო̂! ḫo ḫal⌈ô⌉ co d|isenô!** *'შე არგასაზრდელო ⌈არგა-დასარჩენო!⌉'*.

ნათქვამიდან გამომდინარე, მიმღეობები ზოგ შემთხვევაში დავტოვეთ რწყმული დაწერილობით, სხვა შემთხვევაში კი დავშალეთ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად.

აქვე შევნიშნავთ, რომ ზმნისწინიანი ფორმები უთუოდ ქართულიდან უნდა იყოს შემოსული; მაგ.: **დატუქსა|დ|არ daṭuqsa|d|ar** *'დატუქსვა'*; **დაუთა|დ|არ/დაუთო|დ|არ dauta|d|ar/dauto|d|ar** *'დაუთოება'*; **დაფარცხო|დ|არ daparcxo|d|ar** *'დაფარცხვა'* [9]... აქედან: **დატუქსა|დ|იენო̂ daṭuqsa|d|ienô** *'დატუქსული'*; **დაუთა|დ|იენო̂/დაუთო|დ|იენო̂ dauta|d|ienô/dauto|d|ienô** *'დაუთოებული'*; **დაფარცხო|დ|იენო̂ daparcxo|d|ienô** *'დაფარცხული'*...

საკუთრივ წოვათუშურენოვან ზმნებში, როგორც ჩანს, ქართული ზმნისწინის ფუნქციას, ზმნისართთან ერთად, ინფიქსაციაც იღებს თავის თავზე; შდრ. **დ|ახარ d|axar** *'წასვლა'* – **დ|აჸარ d|a'ar** *'მოსვლა'*, **დ|ახითარ d|axitar** *'გაშვება'* – **დ|აჸითარ d|a'itar** *'⌈შე⌉მო შვება'*, **ლახ|დ|არ lax|d|ar** *'დადაბლება (დაადაბლებს)'* – **ლაჴ|დ|არ laq|d|ar** *'ამაღლება (აამაღლებს)'*.

შეძლებისდაგვარად არის ჩასწორებული ლექსიკონის წინა გამოცემაში გაპარული, ზმნის დროის ფორმებთან დაკავშირებული, უზუსტობები; კერძოდ, **აჰ̣ ლაჰ̣|დ|არ aḫ laḫ|d|ar** ვოკაბულაში **აჰ̣ ლაჰ̣დინორ aḫ laḫdinor** მონაცემისთვის ნათარგმნი *'მოუკრეფიათ'* ფორმა ჩვენ მიერ გასწორდა *'მოეკრიფათ'* ფორმით; შესაბამისად: **ბოთ̣ boṭ** ვოკაბულაში **ბოფხბითნორ bopxbitnor** მონაცემისთვის ნათარგმნი *'მოუჭედვინებია'* ფორმა გასწორდა *'მოეჭედვინებინა'* ფორმით; **ბჶარწ̣|დ|არ bɷarç|d|ar** ვოკაბულაში *'დაუბრმავებია'* ფორმა – *'დაებრმავებინა'* ფორმით; **დაზეპ̣ა|დ|არ dazep̣a|d|ar** ვოკაბულაში *'დატვირთეს'* ფორმა – *'დაეტვირთათ'* ფორმით; **დაკ̣არ|დ|არ daḳar|d|ar** ვოკაბულაში *'დათვლილა'* ფორმა – *'დათვლილიყო'* ფორმით; **დაკ̣ორტ̣ნა|დ|არ daḳorṭna|d|ar** ვოკაბულაში *'დაუკორტნია'* ფორმა – *'დაეკორტნა'* ფორმით; **დაკ̣უტ̣ბა|დ|ალარ daḳuṭba|d|alar** ვოკაბულაში *'დაკუტებულა'* ფორმა – *'დაკუტებულიყო'* ფორმით და ა. შ.

---

[9] ქადაგიძე, ..., 1984, 154.

დავით და **ნიკო ქადაგიძეების** კვალდაკვალ ზმნისართი ცალკე სტატიადაც არის წარმოდგენილი სათანადო თარგმანით და უთარგმნელადაც ორი წერტილით (სასათაურო ერთეულად) და მასთან ანბანთრიგის დაცვით შეტანილია სათანადო ზმნური ერთეულები: **ჩუ: ჩუ დ|ალʻ|დ|ალარ ču: ču d|alʻ|d|alar** *'შევარდნა (შევარდება)'*; **ჰ̣ალ: ჰ̣ალ აბარ ḥal: ḥal abar** *'შეკერვა (კერავს)'*; **ჰ̣ალ აბინო̂ ḥal abinô** *'შეკერილი'*; **ჰ̣ალ დ|აბწარ ḥal d|abçar** *'გამოცნობა (გამოიცნობს)'*...

ზმნისართი ზოგჯერ უცვლის ზმნას მნიშვნელობას, ზოგჯერ კი ვერა. პირველ შემთხვევაში ზმნისართიანი ზმნა თარგმნილია, მეორე შემთხვევაში კი მითითებულია უზმნისართო ფორმა. ზოგჯერ ზმნისართიანი ფორმა უზმნისართოს ემთხვევა კიდეც და განსხვავებულიც არის; ასეთ შემთხვევაში მითითებულია ძირითადი ფორმა და თარგმანიც არის მოცემული: **აჰ̣ თეტარ aḥ teṭar** *'ჩამოჭრა'* (შდრ. **თეტარ teṭar** *'ჭრა'*); **დაჰ̣ დ|ეფშ|დ|არ daḥ d|epš|d|ar** იხ. **დ|ეფშ|დ|არ d|epš|d|ar** *'ფხვნა'*...

დავით და **ნიკო ქადაგიძეებს** გარდამავალი ჲ ბგერა ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი აქვთ დამოუკიდებელი ფონემის სახით. რაკი ამ ბგერას არ გააჩნია დისტინქტური ფუნქცია, მართებულად მივიჩნიეთ მისი ამოღება დაწერილობიდან (მაგალითად, იყო **იჲა ija** *'ია'*, **იჲაზმ ijazm** *'აიაზმა'*, **ფსტეჲივ psṭejiv** *'ქალებმა'* (эргативная форма), **ლაქდიჲენო lakdijenô** *'დაგდებული'*, **დეჼდიჲენო̂ dẽdijenô** *'მორჩენილი'*, **დაწერადიჲენო̂ daçeradijenô** *'დაწერილი'* და სხვ., არის **ია ia**, **იაზმ iazm**, **ფსტეივ psṭeiv**, **ლაქდიენო lakdienô**, **დეჼდიენო̂ dẽdienô**, **დაწერადიენო̂ daçeradienô** და სხვ.).

III

ვოკაბულა თარგმნილია ქართულად, რუსულად და ინგლისურად: **ბეხკ bexḳ** ბრალი вина blame, fault; **ქორთო̂ kortô** თავი голова head...

სასათაურო სიტყვას ჯერ ახლავს ლათინური ტრანსკრიფცია, შემდეგ კი – თარგმანი: **ბუც buc** ბალახი трава grass; **ტვინო|დ|არ ṭvino|d|ar** ნამვა делать влажным, сырым to damp; **ცადლარიკ cadlariḳ** ბეჯითი старательный hard-working; **ხაბროლ xabrol** სიძუნწე скупость, жадность, алчность miserliness...

საჭიროების შემთხვევაში, სიტყვას მოსდევს გრამატიკული კლასიფიკაცია ქართულად, რუსულად და ინგლისურად, მითითება მეტყველების ნაწილზე.

ზმნა ქართულად ნათარგმნია მასდარით და ფრჩხილებში მეტწილად მიწერილი აქვს ზმნის III პირის აწმყოს ან მყოფადის ფორმა; რუსულად თარგმნილია სათანადო ასპექტის ინფინიტივით; ინგლისურად კი თარგმნილია როგორც გერუნდივით (მასდარით), ისე ინფინიტივით: **ალʻარ alʻar** თქმა (იტყვის) сказать to say; **ლევ|დ|არ lev|d|ar** თქმა (ამბობს) говорить to talk (talking)...

უასპექტო ზმნები საჭიროების მიხედვით ან ორივე ასპექტითაა თარგმნილი, ან ერთ-ერთით: **აჰ̣არ**^{2} **aḥar**^{2} [და]ფქვა ([და]ფქვავს); **გოგარ|დ|არ gogar|d|ar** დამრგვალება ([და]ამრგვალებს)...

ბუდეში მოთავსებული ზმნური შესიტყვების ორივე ასპექტი და მათი თარგმანი ერთადაა მოცემული: **პაჲ paj** კოცნა, ამბორი, **პაჲ ბ|ალʻარ, პაჲ თელʻარ paj b|alʻar**, **paj telʻar** კოცნა (აკოცებს, კოცნის)...

ზედსართავი სახელი და მიმღეობა რუსულად პირობითად თარგმნილია მამრ. სქესის ფორმით: **ატ̧აჼ aţã** ადვილი, მარჯვე нетрудный, легкий, удобный easy, light-handed; **ძვიროჼ** ძვირი дорогой expensive; **ჰ̣ახეთრიკ ḥaxetriḳ** შურიანი завистливый envious...

ცალკე მნიშვნელობების თარგმანები გამოყოფილია არაბული ციფრებით: **დეჼ|დ|არ dẽ|d|ar** 1. გრდმ. გამთელება... 2. მორჩენა; **დ|ივარ d|ivar** 1. გრდმ. თესვა (თესავს)... 2. გრდუვ. თესია, დარგულია; **დ|ოლʻენო̂ d|olʻenô** 1. შემძვრალი... 2. ჩახედული...

საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია ვოკაბულის თარგმანის შემდეგ, თარგმნილია ქართულ ენაზე და ერთმანეთისგან გამოყოფილია წერტილ-მძიმით.

ვოკაბულები და საილუსტრაციო ფრაზები შეძლებისდაგვარად თარგმნილია ზედმიწევნით, საილუსტრაციო მასალა მოცემულია რუსული და ინგლისური თარგმანის გარეშე.

ფრაზეოლოგიზმებსა და სხვა მყარ შესიტყვებებს ახლავს ლათინური ტრანსკრიფცია და ზოგჯერ გრამატიკული კვალიფიკაციაც, თარგმნილია ქართულად, რუსულად და ინგლისურად. საჭირო შემთხვევებში ახლავს საილუსტრაციო ფრაზები (ქართულად).

ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვების აუსლაუტში თანხმოვანი **ჴ** (რომელიც ლოკატიური ბრუნვის ფორმანტს წარმოადგენს) **დავით** და **ნიკო ქადაგიძეების** დროს უკვე აღარ გამოითქმოდა, ამიტომ მოცემული იყო კავებში; ჩვენ ასევე დავტოვეთ: **ჴალო**⌈**ჴ**⌉ **ꜧalo**⌈**ꜧ**⌉ ess. *'აღმა, ზევით, ზევითა მხარეს'*; **სოდა**⌈**ჴ**⌉ **soda**⌈**ꜧ**⌉ adit. *'აქეთ-იქით, მიმო-...*

სიტყვები სპეციფიკური ხმოვნებითა და თანხმოვნებით განლაგებულია ფუძეთა ნათესაობის, ანდა ბგერათა დისტრიბუციული თანმიმდევრობის მიხედვით.

IV

წინამდებარე „წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი“ გამოდის 3 ტომად და შეძლებისდაგვარად ყველა ტომი შევსებულია ახალი ლექსიკით. I ტომში, რომელიც მოიცავს **დავით** და **ნიკო ქადაგიძეებისეული** სრული ლექსიკონის ა – ჲ ასო-ბგერებს, შესულია დაახლოებით 2.500 სალექსიკონო ერთეული (ვოკაბულა), აქედან ახალია დაახლოებით 600 ერთეული, რომელთაგან უმრავლესობას ახლავს შესაბამისი საილუსტრაციო მასალა.

იმის გამო, რომ წოვათუშური ენის ზმნიზედამ, რომელიც ფაქტობრივად ასრულებს ზმნისწინის ფუნქციას, ბევრ შემთხვევაში ვერ მოასწრო ინტეგრაცია ზმნასთან და ზმნისწინად ჩამოყალიბება, როგორც **დავით** და **ნიკო ქადაგიძეებთან**, ისე ჩვენს ლექსიკონში უამრავი ზმნური ფორმა წარმოდგენილია შესიტყვებებად დაკომპლექტებული ვოკაბულების სახით, რომლებიც, წინ გამოტანილი ვოკაბულებისგან (მონოლექსემებისგან) განსხვავებით, შეწეულია შიგნით – სალექსიკონო სტატიის სვეტში. ლექსიკონში შეტანის იგივე წესი შეეხო სხვა ისეთ შემთხვევებსაც, როცა ესა თუ ის ცნება შესიტყვების სახით გადმოიცემა, რაც ერთობ დამახასიათებელია ამ ენისათვის. სალექსიკონო ერთეულთა რაოდენობის დადგენისას დაითვალა მხოლოდ წინ გამოტანილი ვოკაბულები (მონოლექსემები), მათ შორის, ესა თუ ის მაწარმოებლებიც. ასე რომ, თუკი დაითვლება შესიტყვებების სახით წარმოდგენილი და შიგნით შეწეული ვოკაბულებიც, რომლებიც იმავე წესითაა განმარტებული, როგორითაც წინ გამოტანილი მონოლექსემები, მაშინ საგრძნობლად გაიზრდება სალექსიკონო ერთეულთა საერთო რაოდენობა.

ჩვენ, ავტორთა კოლექტივს, ვინც ვიტვირთეთ ლექსიკონის ახალი, შევსებული და ორენოვნების ბოლო პერიოდს მორგებული გამოცემა, მიგვაჩნია, რომ შევეხიდეთ დაკარგვის საფრთხეში მყოფი წოვათუშური ენის დაცვის საქვეყნო საქმეს. იმედია, მომავალ თაობებს ფიქრისა და განსჯის საგნად ექნებათ ეს ენა, როგორც კაცობრიობის გონითი შემოქმედების ერთ-ერთი სახე.

Построение словарной статьи

и правила пользования словарём

«Языки являются умственными формами существования человечества», – сказал известный немецкий лингвист **Вильгельм фон Гумбольдт** и произвёл окончательную и безоговорочную идентификацию т. н. великих и малых языков. Опираясь на это, можно заявить, что, если на каком-либо языке говорят между собой хотя бы два человека, то язык этот функционирует и тем самым защищает своё достоинство. Такие языки, как известно, упоминаются под статусом «находящиеся под угрозой исчезновения».

Под этот статус сегодня попал цоватушинский[10] язык, который функционирует лишь в одной половине единственного села Земо-Алвани Республики Грузия и в настоящее время сохранился только в пределах внутрисемейного общения. Богатая, самобытная и изысканная морфонологическая структура этого языка говорит о наличии издревле в нём высокой социальной нагрузки, хотя в исторических источниках об этом языке ничего не слышно вплоть до XVIII века. Интересно, что акад. **Ив. Джавахишвили** ищет первоначальное местонахождение носителей этого языка в истоках реки Тигра[11].

Давид (1861-1937) и **Нико** (1895-1976) **Кадагидзе** в своё время взяли на себя тяжёлый и ответственный труд, составив «Цова-тушинско-грузинско-русский словарь»[12]. Он вышел в 1984 году, но материалы к нему были собраны на целых полвека раньше, что отразило более раннюю ступень формирования цоватушинско-грузинского двуязычия. И за время, прошедшее после этого, билингвизм, ставший уже супербилингвизмом, внёс ещё более значительные изменения в фонологическую и грамматическую структуры цоватушинского языка.

Мы, авторский коллектив, попытались, в пределах возможного, более полно отобразить фонетическую и фонологическую стороны лексических единиц последнего периода, полностью зафиксировать как собственно цоватушинскоязычную, так и заимствованную лексику, отразившую особенности двуязычия. Думается, что эти две разные редакции одного и того же лексикона окажут определённую услугу как исследователям истории языка, так и лицам, заинтересованным закономерностями двуязычия.

Отметим, что хотя в пределах научно-исследовательского проекта нами на сегодня и выявлены новые фонетические и фонологические признаки, достаточно отличающиеся от данных времён **Давида** и **Нико Кадагидзе**, но, признавая примат их уникального словаря, мы в большинстве случаев, оставляем в неприкосновенности как построение словарных статей, так и их написание. Самым значительным изменениям, с этой точки зрения, мы подвергли двойное написание **dd** в масдарах, заменив его одиночным **d**. Кроме того, у **Давида** и **Нико Кадагидзе** в качестве классного показателя в вокабулах (в заголовках словарных статей) выделен только **d**, мы же выделили и другие показатели: ნიყ ბ|ა̄ხარ **niq̣ b|āxar** *'проложить, прокладывать дорогу'*; ბჵარკი თეფხ|ჲ|არ **bωarḳi tepx|j|ar** *'моргать глазами'*; ბუჴ ბ|არ **buḫ b|ar** *'воевать'*; ბაქ ბ|ელინი̂ **baq b|elinî** *'улыбающийся, доброго нрава'* и др.

Вместе с тем, ударные гласные, представленные **Давидом** и **Нико Кадагидзе** со статусом эквивалентов союза *'и'* и частицы *'тоже'*, мы, исходя из новейших наблюдений, заменили долгими гласными; а также:

---

[10] Подчиняя грузинской орфографии, термины **цоватушины** и **цоватушинский** передаём в слитном написании.

[11] Джавахишвили, 1950 – Ив. Джавахишвили, Введение в историю грузинского народа, Книга первая, Историко-этнографические проблемы Грузии, Кавказа и Ближнего Востока, Тб., 1950 (На груз. яз).

[12] Кадагидзе, ..., 1984 – Д. Кадагидзе, Н. Кадагидзе, Цова-тушинско-грузинско-русский словарь, Тб., 1984.

в нужных случаях мы, в общем, отметили у гласных наличие не отражённого прежде квантитета;

в отличие от **Давида** и **Нико Кадакидзе**, мы назальность гласных, кроме ауслаута, отметили в анляуте и инляуте;

с осторожностью, но всё же в виде параллельных форм мы произвели реализацию лексем с т. н. свободными гласными в анляуте (напр., ., ˉაჸჼ **ˉa’ã** *‘да’*; ˉუმ **ˉum** *‘что-нибудь’*; ˉუნახ **ˉunax** *‘что-то’*; ˉუნდა? **ˉũnda?** *‘почему?’*; ˉუხ? ˉუხ? *‘что?’*...).

Желая наиболее точно передать содержание цоватушинских слов, редактор настоящего словаря в ряде случаев образовал грузинские неологизмы, без труда распознаваемые в иллюстративном материале.

I

В качестве отдельных лексических единиц в словарь вошли:

Нарицательные имена существительные: დოკ **doḳ** *‘сердце’*; ღაზოლ **γazol** *‘доброта’* (распространённое, воцарившееся вокруг качество); ღაზნა̄ **γaznā** *‘хороший, прекрасный’* (распространённое, воцарившееся вокруг качество); ურძო̂ **urʒô** *‘сажа’*; ჰ̣აკ **ḥaḳ** *‘лоб’*...

Имена прилагательные: წეგე̃ **c̣egẽ** *‘красный’*; ღაზე̃ **γazẽ** *‘хороший’*; ჰ̣აჭო̄რე̃ **ḥač̣ōrẽ** *‘с запахом, вонючий’*...

Имена числительные: ში **ši** *‘два’*; დ|ჵივ **d|ωiv’** *‘четыре’*; ფხიიწატყ **pxiic̣aṭq̣** ‘*триста*’; ჴალღე̃ **qalγẽ** *‘третий’*...

Местоимения: სო **so** *‘я’*; თხო **txo** экск. *‘мы (я и он, я и они, мы и он, мы и они)’* ; მე̃? **mẽ?** *‘кто?’* ; მოლუ̃? **molũ?** *‘какой?’*...

Глаголы (в масдарной форме): აბარ **abar** *‘шить’*; ყეგარ **q̣egar** *‘разбивать, ломать’*; დ|ჵევარ **d|ωevar** *‘убить’*; დ|იც|დარ **d|ic|d|ar** *‘забыть, забывать’*...

Причастия: ქორ|დ|უჲნი̂ **qor|d|ujnî** *‘то, что нужно достать’*; ჴოწ|დ|იენო̂ **qoc̣|d|ienô** *‘повешенный’*; ჰ̣აჴინო̂¹ **ḥaqinô**¹ *‘подметённый’*...

Наречия: ჩაჴ **čaq** *‘далеко’*; გარგე⌈ჰ̣⌉ **garge⌈ḥ⌉** ess. *‘близко’*; ჰ̣ალო⌈ჰ̣⌉ **ḥalo⌈ḥ⌉** *‘наверху’*...

Послелоги: -მაქ **-maq** *‘на, над’*; -და⌈ჰ̣⌉ **-da⌈ḥ⌉** *‘из, от’*; -ჩუ **-ču** *‘в, у’*; -ცი̃ **-cĩ** *‘с, к’*...

Союзы: მე̄ **mē** *‘что’*; მა̄ **mā** *‘но, а, же’*;...

Частицы: ცო **co** *‘не, нет’*; -წ **-c̣** *‘раз⌈а⌉’*...

Междометия: ვაჲ² **vaj**² *‘ох’*, ბარქალ **barqal** *‘молодец, браво’*...

Аффиксы: -ღე̃¹ **-γẽ**¹ суффикс, выражающий сходство – *‘как’*; -წი̃ **-c̣ĩ** суффикс, обозначающий отсутствие чего-либо *‘без, не-’*...

Глаголы დ|ალარ **d|alar** и ითარ **itar**, которые независимо уже не употребляются, но образуют глаголы со значением страдательного залога и каузатива.

Омонимы приводятся отдельными словарными статьями и отмечаются надстрочной цифрой: ბოტ¹ **boṭ**¹ *‘тесто’*; ბოტ² **boṭ**² *‘козлёнок’*; ლამ¹ **lam**¹ *‘гора’*; ლამ² **lam**² *‘небо’*; ლამ³ **lam**³ *‘ил’*; წე¹ **c̣e**¹ *‘огонь’*; წე² **c̣e**² *‘имя’*...

Параллельные формы даются в одной статье, при этом исходная форма стоит на первом месте (как в заглавных словах, так и в иллюстрациях): დაჲმწრიკ, დემწრიკ **dajmc̣riḳ**, **demc̣riḳ** *‘загадка’*; ლეჲჭყდორი, ლიჭყდუჲრი̂ **lejč̣q̣dori**, **lič̣q̣dujrî** *‘прятки’.*

По сравнению с грузинским, ударение в цоватушинском языке несколько сильнее, а по месту, в отличие от грузинского, падает на первый слог слова: აბარ (ა′|ბარ) **abar** (**a′|bar**) *‘⌈с⌉шить’*; აბჟო̃ტი (ა′ბ|ჟო̃|ტი) **abžõṭi** (**a′b|žõ|ṭi**) *‘стремена’*; აბჟო̃ტიწი̃ (ა′ბ|ჟო̃|ტი|წი̃) **abžõṭic̣ĩ** (**a′b|žõ|ṭi|c̣ĩ**) *‘без стремян’*;

აბურძგნადალარ (ა'|ბურძგ|ნა|და|ლარ) **aburʒgnadalar** (**a**'|**burʒg**|**na**|**da**|**lar**) *'стать лохматым'*; გაუბიდრებადალარ (გა'|უ|ბიდ|რე|ბა|და|ლარ) **gaubidrebadalar** (**ga**'|**u**|**bid**|**re**|**ba**|**da**|**lar**) *'стать несчаст-ным'*... И так как ударение имеет постоянное место, не сочтено нужным отмечать его, хотя при определённой семантической или грамматической функции оно может оказаться на другом слоге, что и показано графически: **განა'/გარა'** **gana**'/**gara**' (ხმარობენ ქალებიც, კაცებიც) / **განი'/გარი'** **gani**'/**gari**' (ხმარობენ მხოლოდ ქალები) *'ну-ка'*

В иллюстрационном материале, **Давидом** и **Нико Кадагидзе**, как правило, гласный, выполняющий функцию союза **и** и частицы **тоже**, представлен в качестве то ударного, то безударного; напр.: **ფსტუჲნო' ადმიჲჼ დაე̄, სტაკაჲ̌** *'დედაკაციც ადამიანი არის და მამაკაციც'* [13]; **ბა̄ჰ̣ინო̂ კა სტაკონ ბალ'ბალინე̂, აჰ̣ო ვოქვიჲჼ** *'დაკოდილი ღორი კაცს ეძგერა და წააქცია'* [14]; **ბაცბივ ლამუ[ჰ̣] ბჩასტე' ჰ̣ალ ბაყო̂** *'წოვათუშები მთაში დიყსაც ჭამენ'* [15]. Мы же считаем, что здесь имеет место не ударный, а долгий гласный, что, по возможности, и отражено в нашем лексиконе: **ფსტუჲნო̂ ადმიჲჼ დაე̄, სტაკაჲ̌** *'დედაკაციც ადამიანი არის და მამაკაციც'*; **ბა̄ჰ̣ინო̂ კა სტაკონ ბალ'ბალი'ნე̂, აჰ̣ო̄ ვოქვიჲჼ** *'დაკოდილი ღორი კაცს ეძგერა და წააქცია'*; **ბაცბივ ლამუ[ჰ̣] ბჩასტე̄ ჰ̣ალ ბაყო̂** *'წოვათუშები მთაში დიყსაც ჭამენ'*.

Правда, там, где гласный не удлиняется, в дело включается ударение, которое с непонятной нам закономерностью перемещается с авангарда словоформы в арьергард, но – не на конечный гласный: **ვაშას ტათებ დაჰ̣ო'ერ, ჩუე̄ დოხკორ სოჼ უჯრი** *'ძმა ფულს მო[მ]იტანდა [ხოლმე] და ჩამილაგებდა [და] უჯრაში'* (ზედმიწევნით: *'ჩა- და -მილაგებდა უჯრაში'*); **ვაშას ტათებ დაჰ̣ო'ე̂, ჩუე̄ დოხკო̂ სოჼ უჯრი** *'ძმა ფულს მო[მ]იტანს და ჩამილაგებს უჯრაში'* (ზედმიწევნით: *'ჩა- და -მილაგებს უჯრაში'*); **ვაშა'სე̂ დეცეჼ სოჼ ტათებ, ბიძი'სე̂** *'ძმამაც მოიტანა ფული, ბიძამაც'* (შდრ. **ვაშას ტათებ და'ჰ̣ო̄, ჩუე̄ დოხკო̂ სოჼ უჯრი** *'ძმა ფულს მო[მ]იტანს და ჩამილაგებს [და]'*; **ვა'შასე̄ დეცეჼ სოჼ ტათებ, ბი'ძისე̄** *'ძმამაც მოიტანა ფული, ბიძამაც'*).

От всех глагольных единиц может образоваться причастие посредством прибавления суффиксов **-ნი̂ -nî**, **-ნო̂ -nô**, а также каузатива **-ითარ -itar**, потенциалиса – **მაკ̣არ -maḳar** и во многих случаях глагола страдательного залога **-დ|ალარ -d|alar**. В словарь вошла лишь часть таких единиц; то же самое касается и слов с различными превербами и частицами.

II

Местоимения, наречия, причастия, послелоги, союзы, частицы снабжаются соответствующими грамматическими пометами: ვაჲ[1] **vaj**[1] инкл. местоим. *'мы (я и ты, я и вы, мы и ты, мы и вы)'*; **წყე ç̣qe** нареч. *'од-нажды'*; **ჭირხეთინი̂ č̣irxetinî** прич. *'ленивый'*; **-ჭ -č̣** усилительная частица...

Имя существительное внесено в форме ед.ч. им. падежа (не имеющей падежного показателя) и снабжено гласными показателями обоих чисел: კნათ ვბ **ḳnat** vb *'юноша'*; **ჲოჰ̣** ჲდ **joḥ** jd *'девочка'*; **ჰ̣ეხ** ჲჲ **ḥex** jj *'грот'*; **ჲეთ̦** ბბ **jeţ** bb *'корова'*; **აფუშ** ბდ **apuš** bd *'обман'*; **ქოკ̣** ბჲ **qoḳ** bj *'нога'*; **ჩხი̃დურ** დდ **čxĩdur** dd *'носок (шерстяной)'*; **ტოტ** დჲ **ṭoṭ** dj *'рука'*...

Вторая основа имён с изменяющимися основами, часто употребляемая и в форме мн. ч., внесена отдельной лексической единицей, и там же дано указание (см.) на исходную форму; напр.: **მათ̦იშ** **maţiš** მრ. იხ. **მოთ̦** **moţ** *'постель'*; **წენბუჲ** **ç̣enbuj** მრ. იხ. **წა** **ç̣a** *'дом'*; **ას** **as** ერგ. იხ. **სო** **so** *'я'*...

---

[13] Кадагидзе, ..., 1984, 27.

[14] Там же, 71.

[15] Там же, 108.

Основы, которые имеют показатели грамматического класса (глагол, имя прилагательное, наречие...), представлены в словаре с имеющим тенденцию к обобщению показателем класса вещей **d**, который не учитывается в алфавитном ряду; подразумевается, что в соответствующем контексте такая основа может приобрести разные классные показатели (соответственно, **v**, **j**, **b** и собственно **d**); это проявляется в иллюстрациях: **დ|აყარ d|aq̣ar** *'ჭამა (ჭამს)'* – **ჴორ ბაყოს** *'მე ვჭამ ვაშლს'*; **დ|ეყარ d|eq̣ar** *'გაყოფა'* – **ბედ ბალ‘ქჩრ ვაქარვ ქაბრ ნიფს-ნიფს ბეყი̃** *'გაყრილმა ძმებმა ძროხები სწორ-სწორად (თანაბრად) გაიყვეს'*; **დ|უტყი̃ d|uṭq̣ĩ** *'ვიწრო, წვრილი'* – **დარუღვო⌈ჳ⌉ ღუტყი̃ ლოჭ ღაღლი̂** *'დაროს წვრილი ჯოხი უჭირავს'*; **დ|უხ d|ux** adit. *'უკან'* – **ვუხ ჳაღჭნას** *'უკან მოვიხედე'*; **დ|ჶივ’ d|ωiv’** *'თხი'* – **ვჶივ’ დონლოვ** *'თხი ცხენოსანი'*... В нужных случаях, в отличие от первой редакции словаря, в во-кабулах выделяются и другие показатели классов, напр., **ნიყ ბ|აჴარ niq̣ b|aqar** *'გალწევა; გზის გაკვლევა'*; **ღუყ ლორ|ღ|არ juq̣ ɣor|j|ar** *'წელის გაშეშება'*...

Отличительная разница между этими двумя изданиями словаря цоватушинского языка отразилась в формах заимствованных масдаров.

Грузинские масдары заканчиваются, в основном, на гласный **a** (роль других формантов незначительна), в цоватушинском же языке к глагольной основе, которая в любом случае представлена закрытым слогом, для образования масдаров прибавляются вспомогательные глаголы **d|ar** или **d|alar** (с учётом залоговой принадлежности). В процессе заимствования грузинский масдар с формантом **a** был воспринят как глагольная основа, к которой и был добавлен вспомогательный глагол. В это время в соответствии со старым принципом цоватушинского языка, подразумевающим закрытый слог обязательным, необходимо стало прибавить тот или иной согласный к конечному **a**. Выбор решил закон полной контактной ассимиляции, характерный для нахских языков, и согласный, стоящий перед вспомогательными глаголами, приобрёл вид **d**. Этим путём – под воздействием объединённых усилий фонетико-фонологических факторов, характерных для раннего этапа формирования двуязычия – для заимствованных масдаров сформировалась следующая модель: **грузинский масдар** + **d** + **d|ar/d|alar**.

Из 68 масдаров, вошедших в словарь, приложенный к грамматике цоватушинского языка, составленного **Антоном Шифнером** полтора века назад, с формой на **d** вошли 62 единицы[16]. Формы на **d** имеются и в словаре **Кадагидзе**.

На сегодняшний день вышеуказанная модель заимствованных масдаров уже вытеснилась новыми формами без **d**, хотя иногда параллельно она пока ещё употребляется, в зависимости от возрастного уровня говорящих. Таким образом, был сделан ещё один шаг к сближению заимственных слов с грузинским – нарушился принцип закрытого слога цоватушинского языка, модель же заимствованных масаров приобрела более простой вид: **грузинский масдар** + **d|ar/d|alar**.

Из соседствующих двух **dd** оставлен показатель класса, напр., **დაბერტყა|დ|არ dabertq̣a|d|ar** (< **დაბერტყად|დ|არ dabertq̣ad|d|ar**) *'потрусить'*; **დაწერა|დ|არ daçera|d|ar** (<**დაწერად|დ|არ daçe-rad|d|ar**) *'написать'*... Но в случае появления показателя другого класса, в зависимости от воз-растного уровня билингвов, может восстановиться упразднённый нами **დ**: **დაბერტყა|ღ|არ daber-ṭq̣a|j|ar** – **დაბერტყად|ღ|არ dabertq̣ad|j|ar** *'დაბერტყვა'*, **დაბერტყა|ბ|არ dabertq̣a|b|ar** – **დაბერტყად|ბ|არ dabertq̣ad|b|ar** и т. д.

Показатель класса **d** в алфавитном ряду не учитывается и в том случае, когда он представлен в сложных формах, образованных при помощи глаголов **დ|არ d|ar** *'делать, творить, создавать'*, **დ|ალარ d|alar** *'сделаться, стать'* ზმნებით ნაწარმოებ რთულ ფორმებში: **დ|იწ|დ|აჴ|დ|არ d|iç|d|aq|d|ar**

---

[16] A. Schiefner, "Versych über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien": Mém. VI Série, Sc. politiques ets., IX, St.-Pétersbourg, 1859.

‘[с]делать высокомерным, гордым’; დ|ეფხ|დ|ალარ **d|epx|d|alar** *‘греться, согреваться’*; დ|უწ|დ|არ **d|uç|d|ar** *‘наполнять’*...

Глагол в словаре **Кадагидзе** представлен не инфинитивом, а в виде имени действия (масдара), которое вместе с тем, что имеет синтаксическую силу глагола, ещё и управляет именем по падежам, а само тоже управляемо именем по классам; в иллюстративных фразах отражены разные временные и личные формы глагола.

დ|ა d|a გრდუვ. непрх. intrans. არის, აქვს есть, имеется, имеет is, has. **ნეკ დ|ა** – დანა არის; **ფხაკალ დ|ა** – კურდღელი არის; **სტაკ ვ|ა** – კაცი არის; **გაგჼ ჲ|ა** – კვერცხი არის; **ფსტუჲნო̄ ჲ|ა** – ქალი არის; **ჴორ ბ|ა** – ვაშლი არის; **ჴა ბ|ა** – ღორი არის; **ვუხ (-უხ) დ|ა?** – რა არის? **სო̄ ოსი ვ|არასო̄** – მე იქ ვიყავი; **შუ მიჩე ბ|არაჲშჷ?** – თქვენ სად იყავით (კითხვა მამაკაცები მიმართ)? **შუ მიჩე დ|არაჲშჷ?** – თქვენ სად იყავით (კითხვა ზოგადად)? **სოგო⌈ჸ⌉ დად ვ|ა, ნან მა̄ ცო̄ ჲ|ა** – მე მამა მყავს, დედა კი არა მყავს; **უჴგო⌈ჸ⌉ ლაზჼ წა დ|ა** – მას კარგი სახლი აქვს; **ბიძიგო⌈ჸ⌉ კაწკოჼ ძუძაკ ჲ|ა** – ბიძას პატარა გოგონა ჰყავს. სრ. сов. perf. **ხილʿარ xilʿar**.

აბ დდ **ab** dd აბი пилюля pill. **აჲქმეს აბი დალʿჼ სოჼ** – ექიმმა აბები მომცა.

აბარ abar გრდმ. прх. trans. ⌈შე⌉კერვა (⌈შე⌉კერავს, კერავს) шить, сшить to sew. **ქაჲრცხი̂ აბარ** – ტანისამოსის ⌈შე⌉კერვა; **ოჴუს ქოკდოჷფხჷ აბო̄** – ის ფეხსაცმელს კერავს; **ტირნეს ჰჭერჼგ აბჼ** – ტირინემ პერანგი შეკერა.

აბჼ abã გრდმ. прх. trans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **აბარ abar**. **მარან ჩოჴაცო̄ აბჼ ჴექლას** – ქმრისთვის ჩოხის შესაკერად ვემზადები.

აბარგო|დ|ალარ abargo|d|alar გრდუვ. непрх. intrans. აბარგება (აიბარგება) собрать пожитки, уложить вещи to pack. **ცენეხ ბაცბი ქიქოც აბარგოდალოჼ ლაჷმჷ დახჼ** – წელს თუშები ადრე აიბარგნენ მთაში წასასვლელად.

აბინო̂ abinô მიმღ. прич. particip. შეკერილი ⌈с⌉шитый sewed. **ას აბინო̂ კაბ** – ჩემი შეკერილი კაბა.

აბნო̄ ჲჲ **abnō** jj აბანო баня bath house. **აბნო⌈ჸ⌉ ვითჳვაჲლნას** – აბანოში ვიბანავე; **დაქჼ ხილʿურ, წყე მოც აბნო̄ ჲეჴმაკეჸერ სტაკონ** – კარგი იქნებოდა, ერთხელ მაინც გაბანებულიყო კაცი ⌈აბანო გადაეხადა კაცს⌉.

აბჟოჼტ დდ **abžõṭ** dd უზანგი, ავჟანდა стремя stirrup. **მაქ ხეცუჩო̄ კეხგო⌈ჸ⌉ აბჟოჼტი დეწჲ̂ ხილʿჼ** – ზედ საჯდომ უნაგირს უზანგები უნდა ჰქონდეს.

აბჟო̃ტიწი̃ abžõṭiçĩ უუზანგოებ[დ] без стремян without stirrup. **მაქ ხაცა̃ აბჟო̃ტიწი̃ კეხ ჲეცნორ სო̃ ზურბეს** – ზედ დასაჯდომად უუზანგოებო უნაგირი მოეტანა ჩემთვის ზურაბს.

აბრ დდ **abr** dd დანაწონი, საჭარბი довесок (для уравнения весов) weight for balancing the scales. **ნანას აბრელ ჴერ ბილუქ̃** – დედამ აბრად ქვა დადო.

აბუჲნი̂ abujnî მიმღ. прич. particip. 1. შესაკერი то, что надо сшить sth to be sewed. **აბუჲნი̂ ვუმ (-უმ) ჳალო̂ დეწე̂ აბა̃** – შესაკერი რამ უნდა შეიკეროს. 2. მკერავი шьющий, портной, портниха sewer. **ო ჲოჳ ლაზე̃ აბუჲნი̂ ჲა** – ის ქალიშვილი კარგი მკერავია.

აბურძგნა|დ|ალარ aburʒgna|d|alar გრდუვ. непрх. intrans. აბურძგნა (აიბურძგნება) взъерошиться to dishevel. **მახკარნ ცო თაყგყ ბეჯ აბურძგნადჲალარ** – ქალიშვილებს არ უხდებათ თმის აბურძგნა.

დ|აბწარ d|abçar გრდმ. прх. trans. ⌈გამო⌉ცნობა (⌈გამოი⌉ცნობს), ცნობა (იცნობს) узнать, узнавать, знать, угадать, угадывать to know (knows). **მალუცინ თედოლე̂ ლაზიშ ვაბწე̂** – მალუცა თედოლეს კარგად იცნობს; **ნახ დაბწარ ლაზე̃ საქმ ჲა** – ხალხის ცნობა კარგი საქმეა; **სო ვაბწგელკი ჳო̃, ყ̃ვალინო̂, მადელ მოც ბარალო̂ ხაცანა!** – ნეტა მიცნობდა დაბერებულს, რა მადლი იქნებოდა, გამეგო! (დ. არინდაული).

დ|აბწა̃ d|abçã გრდმ. прх. trans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **დ|აბწარ d|abçar**. **მალუცინ თედოლე̂ ლაზიშ ვაბწე̂** – მალუცა თედოს კარგად იცნობს.

დ|აბწინი̂, დ|აბწინო̂ d|abçinî, d|abçinô მიმღ. прич. particip. ნაცნობი знакомый known. **სო̃ ვაბწინი̂ სტაკ** – ჩემი ნაცნობი კაცი; **სო̃ ჲაბწინი̂ ჲოჳ** – ჩემი ნაცნობი ქალიშვილი.

დ|აბწმაკარ d|abçmaḳar გრდუვ. непрх. intrans. ⌈გამო⌉ცნობა (⌈გამოი⌉ცნობს) мочь узнать, отгадать to guess (will guess). **ცო დაბწმაკი̃ სო̃ დეჲმწრიკ** – ვერ გამოვიცანი გამოცანა; **გიორგი̃ ჲოჳ ცო ჲაბწმაკი̃გე̂ თხო̃** – გიორგის ქალიშვილი ველარ ვიცანით.

დ|აბწუჲნი̂ d|abçujnî მიმღ. прич. particip. 1. გასაცნობი, ის, ვინც, ან რაც უნდა გაიცნონ тот, с кем или с чем предстоит познакомиться sb/sth to be intro-duced with. 2. ის, ვინც უნდა გაიცნოს тот, кому предстоит познакомиться sb who is going to introduce.

დ|აბწხოვ^{1} დდ **d|abçxov**^{1} dd ნაცნობი знакомый, знакомец acquantance, friend. **ე სტაკ სეჼ ვაბწხოვ ვა** – ეს კაცი ჩემი ნაცნობია; **ე ფსტუჲნჵ სეჼ ჲაბწხოვ ჲა** – ეს ქალი ჩემი ნაცნობია; **ე ფეშკარ სეჼ დაბწხოვ და** – ეს ბალღი (ბიჭუნა) ჩემი ნაცნობია.

დ|აბწხოვ^{2} ვბ **d|abçxov**^{2} vb მცნობი (ცხვრისა და ბატკნისა) имеющий дар запоминать и разбирать овец и их ягнят a person who can distinguish sheep and lamb. **ჟე ნაჟტრეგო⌈ჰ⌉ დაბწხოვ ცო ვაჰე̂, ნაჟტრენ ცო ჲახმაკე̂** – თუ ცხვრის ბინას მცნობი არა ჰყავს, ბინა ვერ იარსებებს ⌈ვერ იცხოვრებს⌉.

დ|აგ|დ|ალარ d|ag|d|alar გრდუვ. непрх. intrans. დანახვება (დაენახვება), ⌈მო⌉ჩვენება показаться to appear. **ო კნათ ბჭარკენ ცო ვაგლაგე̂ სოჼ** – ის ბიჭი თვალით აღარ მენახვება.

დ|აგარ d|agar გრდუვ. непрх. intrans. დანახვა (დაინახავს) увидеть to see (will see). **კოტინ დახკჵ ბაგჼ** – კატამ თაგვი დაინახა; **ბა̌დრენ ნა̄ნ ჲაგჼ** – ბავშვმა დედა დაინახა; **ჰო ჲაგარ დენიც ჴენაც და: გაუ̆გახ ჩუ ვეხესჵ ჰო ჲაჲჩე...** – შენი დანახვა სულ სხვაა: მუხლებში ვინგრევი შენი ხილვისას... (ს. გარსევანიძე). უსრ. несов. imp. **გუარ guar**.

დ|აგჼ d|agã გრდუვ. непрх. intrans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **დ|აგარ d|agar**. **ნაყბისტ ვაგჼ საავადმყოფუჲ ვაჲხნას** – მეგობრის სანახავად საავადმყოფოში წავედი.

დ|აგწჼ d|agçĩ უნახავი, უნახავად невиданный, не видев unseen, without seeing. **საჲ ჟამე იშტ⌈რ⌉უჼ ყარ ჲაგწჼ ვარასჵ!** – ჩემ დღეში ასეთი წვიმის უნახავი ვიყავი!

აგვისტჵ ბ **agvisṭo** b აგვისტო август August. იხ. см. see **მაჲრმობ majrmob**.

დ|აგლაჲლა̄ დ **d|aglajlā** d დანახვის საშუალება возможность быть увиденным a chance for seeing sb/sth.

დ|აგლაჲნი̂ d|aglajnî მიმღ. прич. particip. სანახავი, დასანახი то, что можно увидеть sb/sth to be seen.

აგრილბა|დ|ალარ agrilba|d|alar გრდუვ. непрх. intrans. აგრილება (⌈ა⌉გრილდება) ⌈с⌉делаться прохладным, ⌈с⌉делаться прохладно to fall temperature (temperature will be fallen). **ცენეხ ქიქოჸ აგრილბადალიჼ** – წელს ადრე აგრილდა.

აგრილბა|დ|არ agrilba|d|ar გრდმ. прх. trans. გაგრილება (გააგრილებს) охладить to cool (will cool). **ფსტუძჩოვ შურ აგრილბადჲეჼ** – დედაკაცმა რძე გაა-გრილა. უსრ. несов. imp. **გრილბა|დ|არ grilba|d|ar**.

აგურ, აგვირ ჲჲ **agur, agvir** jj აგური кирпич brick. **ბაცბივ ზორაჲში̂ დუჴ აუ̆გრი (ოუ̆გრი) ჲაკოჲრ̂** – წოვათუშები ძალიან ბევრ აგურს წვავენ.

ადგილ ჲჲ **adgil** jj ადგილი место place. **ჴუნავ ლაზეჲჩრ̂ (ლაზი̄ჩრ̂) აჲდგლე⌈ჰ⌉ დაქდორ ქე** – მწყემსი კარგ ადგილას აძოვებდა ცხვარს.

ადლ დდ **adl** dd ადლი аршин meter. **ოძელაშვილ არსნეგო შარიჼ ადლ დარ** – არსენა ოძელაშვილს თავისი ადლი ჰქონდა.

ადმიანღეჼ, ადმ⌈ი⌉ენღეჼ, ადმი̄ნღეჼ admianγẽ, adm⌈i⌉enγẽ, admīnγẽ ადამიანური, ადამიანისებური человеческий, человекообразный human. **ჰაცხუხ ადამიანღეჼ ცო̄მ ჰეჴოლრ̂** – მაგას ადამიანური არაფერი სცხია.

ადმიანღეშ, ადმ⌈ი⌉ენღეშ, ადმი̄ნღეშ admianγeš, adm⌈i⌉enγeš, admīn-γeš ზმნს. нареч. adv. ადამიანურად по-человечески humanly. **დახე̄ჰე̂ ადმიაჼ, ადმიანღეშ დახა̄ლ, ცოჰ მა̄ დავდაკა̄ლ** – თუ ცხოვრობს ადამიანი, ადამიანურად იცხოვროს, თუ არა და, დაიკარგოს ⌈დაიწვას⌉.

ადმიაჼ, ადმ⌈ი⌉ეჼ დდ **admiã, adm⌈i⌉ẽ** dd ადამიანი человек man, person. **სტაკა′ჴ ადამიაჼდაე̄, ფსტუჲნრ̂** – მამაკაციც ადამიანია და დედაკაციც.

ადმი̄ჼლობ დ **admī^{n}lob** d ადამიანობა человечность humanity. **ადმი̄ჼლობ ო და, მე̄ მენელეჸ დაჰე̂, ნითფსხოლ, ლაზოლ ჲალიშ დეწე̂ ხილ′აჼ** – ადამიანობა ისაა, რომ, ვინც გინდა იყოს, სისწორის (სიკარგის) მქონე უნდა იყოს.

ადოკაჼტ ვბ; ჲდ **adoḳãṭ** vb; jd ადვოკატი адвокат barrister, solicitor. **სჲჼ მეზობელ ადოკაჼტ ვარ** – ჩემი მეზობელი ადვოკატი იყო. იხ. см. see **ვექილ vekil**.

დ|ავარ^{1} d|avar^{1} გრდუვ. непрх. intrans. დაკარგვა (⌈და⌉იკარგება) ⌈по⌉теряться to lose. **ყოველ დენი ტათებ დაუ̆ვუ̂ სოგო⌈ჰ⌉** – ყოველ დღე ფული მეკარგება; **უ̃ხუკ მიჩკ დაჲხრალრ̂, მიჩაკ დაჲვრალრ̂, მიჩაჰკ უ̃ხ ლეხლოს?..** – სად რა გამქრალა, ნეტავი, სად დაკარგულა, ნეტავი, სად რა ვეძიო, ნეტავი?.. (ა. ბერთლანი).

დ|ავარ² **d|avar²** გრდუვ. მრ. непрх. мн. intrans. pl. ⌈და⌉ხოცვა (⌈და⌉იხოცება) погибать, умирать, убиваться, умерщвляться to die. **ბუჴლო[ჴ] დუჴ ნახ დავიჼ** – ომში ბევრი ხალხი დაიხოცა.

დ|ავჼ¹ **d|avã¹** გრდუვ. непрх. intrans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **დ|ავარ¹** **d|avar¹**. **სუჲნი̂ ჲეწჲეს ჲავჼ ისერეჼ!** – უნდა ⌈ჩემთვის⌉ გადავიკარგო აქედან!

დ|ავჼ² **d|avã²** გრდუვ. непрх. intrans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **დ|ავარ²** **d|avar²**. **ბავანი ლეჸ შუ, მიჩ ბითვლაჲშე̂ ის ხილო̂!** – გინდათ დაიხოცოთ, სად მიძვრებით მაგ მდინარეში!

დ|ავ|დ|არ¹ **d|av|d|ar¹** გრდმ. прх. trans. დაკარგვა (დაკარგავს) ⌈по⌉терять to lose. **ე სტაკოვ ჴუჼლო ბ̆დერ დავდიეჼ** – ამ კაცმა ტყეში ბავშვი დაკარგა; **ას ჲეთ̦ ბავბინას** – მე ძროხა დავკარგე.

დ|ავ|დ|არ²: ბ̆დერ დ|ავ|დ|არ **d|av|d|ar²: băder d|av|d|ar** გრდმ. прх. trans. მუცლის მოშლა (მუცელს მოიშლის), ⌈ბავშვის დაკარგვა⌉ абортировать (себя) to abort (herself). **ჩულიჩო̂ ფსტუჸჩოვ ბ̆დერ დავდიეჼ** – ფეხმძიმე ქალმა მუცელი მოიშალა. შდრ. ср. comp. **ჲ|ავ|ჲ|არ: ჩუ̄ ჲ|ავ|ჲ|არ** **j|av|j|ar: čū j|av|j|ar**.

ჩუ̄ ჲ|ავ|ჲ|არ **čū j|av|j|ar** გრდმ. прх. trans. მუცლის მოშლა (მოიშლის) абортировать (себя) to abort (herself). **ფსტუჸჩოვ ჩუ̄ ჲავჲიეჼ** – ქალმა მუცელი მოიშალა.

დ|ავ-დ|აკარ **d|av-d|aḳar** გრდუვ. непрх. intrans. ⌈გა⌉დაკარგვა (⌈გა⌉დაიკარგება) ⌈по⌉теряться, исчезнуть, пропасть to disappear, to vanish, to loose. **ას მაიჼც ჴათხ-ჴათხ ვუჲტას, დაჴ ბავ-ბაკინო̂ ვაჟარ!** – მე მაინც წინ მივიწევ, დაკარგულო ძმებო! (აბრ. ბართიშვილი); **აფსტარლორეჼ ჴალ ბახოშ კარტუჲფლენ ბავ-ბაკარ ხეჸე̂** – მიწიდან ამოღებისას კარტოფილმა დაკარგვა იცის.

დ|ავ|დ|არ¹ **d|av|d|ar¹** გრდმ. прх. trans. 1. ⌈და⌉კარგვა (⌈და⌉კარგავს) ⌈по⌉терять to lose. **დოჼ ბავბინას** – ცხენი დავკარგე; **ქორთო̂ ბავბინას** – თავი დავკარგე, არაფრის თავი არა მაქვს. 2. გადატ. перен. fig. აბორტის გაკეთება сделать аборт to make abortion. **ო ფსტუჸჩოვ დუჲხტრეცჼ ბ̆დერ დავდიეჼ** – იმ ქალმა ექიმთან აბორტი გაიკეთა ⌈ბავშვი დაკარგა⌉.

დ|ავ|დ|არ² **d|av|d|ar²** გრდმ. მრ. прх. мн. trans. pl. ხოცვა (ხოცავს), კვლა убивать, резать to kill. **ჭამახ ყე დავდჼლათერ** – ქელეხში ცხვრებს ხოცავდნენ ხოლმე.

მათეს ჭაჭაჲრჩ დავდორ, მ̄ ფსარე[ჴ] ცჴა ბედჸ ჭაუ̂ჭუ̂ ცო ბჵევმაკჼ – მათე მტრედებს ხოცავდა, მაგრამ გუშინ ერთი მტრედის მეტი ვერ მოკლა; **ჴაში-ნაჲნო̂ ქოთმი დავდინათხ** – სტუმრებისთვის ქათმები დავკალით; **ვაჲ კნათივ დინი̂ ბჵე ბავბიჸ** – ჩვენმა ბიჭებმა მთელი ჯარი დახოცეს.

ავაჼჩავაჼ ჲ **avãčavã** j ავანჩავანი, თავი და ბოლო, ასავალ-დასავალი, ამბავი, ამა თუ იმ საქმის ვითარება состояние того или иного дела the beginning and the end, news, condition of this or that matter. **ჴაცხუჸ ავაჼჩავაჼ ცო ჲელ სოჼ ხაცჼ** – მაგისი ასავალ-დასავალი ველარ გავიგე.

დ|ავ|დ|იენო̂[1] **d|av|d|ienô**[1] მიმღ. прич. particip. დაკარგული (ის, ვინც, ან რაც დაიკარგა) потерянный lost. **ოჭუს დავდიენო̂ ჟაგნო̂ სოჼ ჴალ ხეთჼ** – მის მიერ დაკარგული წიგნი მე ვიპოვე.

დ|ავ|დ|იენო̂[2] **d|av|d|ienô**[2] მიმღ. მრ. прич. мн. particip. pl. დახოცილი убитые killed. **ჩაივ დავდიენო̂ ჟე უჲსი̂ დატერ** – დათვის მიერ დახოცილი ცხვარი იქ ეყარა.

დ|ავინო̂[1] **d|avinô**[1] მიმღ. прич. particip. დაკარგული потерянный lost. **ჲავინო̂ დრო** – დაკარგული დრო; **ჴო ძირ ბავინო̂!** – შე ძირ[-მოდგმა]დაკარგულო! **ალ'ლეთ სოგო̂: უ̄ხაკ დოლოთ ვაჲ ახგომცჼ ბავიჼჩო̂ მატ̧ანა?** – მითხარით რა, რა უნდა ვუყოთ, ნეტავი სანახევროდ დაკარგულ ენას? (დ. არინდაული).

დ|ავინო̂[2] **d|avinô**[2] მიმღ. მრ. прич. мн. particip. pl. დახოცილი убитые murdered. **ბავინო̂ ვასერ** – დახოცილი კაცები.

ავშაჼ ჲჲ **avšã** jj ავშანი, აბზინდა степная полынь Absinth, Artemisia. **ჟენაჲნო̂ ჴათხრჸ დაყარ და ავშაჼ** – ცხვრისთვის პირველი საჭმელია ავშანი.

ავშრი ჲ **avšri** j მრ. мн. pl. ავშარა недоуздок halter. **დონევ ავშრი ჲავჲიენო̂** – ცხენს ავშარა დაუკარგავს.

აზარ azar ძვ. уст. old ათასი тысяча thousand. **აზარ ჭირგო[ჴ] დაჲლ'დალო[ჴ]** – ათას ჭირს დაელწეოდე (ასე ანუგეშებენ ავადმყოფს). იხ. см. see **ათას atas**.

აზატ ვბ; ჲდ **azaṭ** vb; jd აზატი, გადასახადისგან თავისუფალი მოქალაქე свободный от податей гражданин citizen free from taxes. **ბაცბილო[ჴ] ქადგური დარ აზატი** – წოვათუშებში ქადაგიძეები იყვნენ აზატები.

აზატ|დ|არ azaṭ|d|ar გრდმ. прх. trans. გადასახადისგან გათავისუფლება (გაათავისუფლებს) освобождать, освободить от податей to make free from taxes.

აზიაცკი ბ **aziacḳi** b მრ. мн. pl. აზიური ფეხსაცმელი азиатская обувь Asian shoes. **აზიაცკი ცჸაჲნ დროჸ ბალ‘ენო̂ ბარ** – აზიური ფეხსაცმელი ერთ დროს სახელით სარგებლობდა.

ათ|დ|ალარ at|d|alar გრდუვ. непрх. intrans. დაბეჟვა ([და]იბეჟება), დაბეგვა [с]мяться to batter. **ცენეხ დუჴ ჴორ ათბალოჼ** – წელს ბევრი ვაშლი დაიბეჟა.

ათარ atar გრდმ. прх. trans. [და]ნაყვა; ბეგვა толочь, дробить, раздробить to pestle, to batter. **ოჴუს ბო ათო̂** – ის ნიორს ნაყავს; **ოჴარ არაყ დახჴჼ ჴორი ათოჼ** – მათ არაყის გამოსახდელად ვაშლი დაბეგვეს.

ათას atas ათასი тысяча thousand. **ბაბუჲგო[ჸ] ათას ქე დარ** – პაპას ათასი ცხვარი ჰყავდა. იხ. см. see **აზარ azar**.

ათინო̂ atinô მიმღ. прич. particip. დანაყილი истолчённый pestled. **ათინო̂ ტუმ** – დანაყილი ნიგოზი; **ას ათინო̂ თუჲხი̂ მიჩ დახეჼ?** – ჩემი დანაყილი მარილი რა იქნა?

ათ-პაპი ბდ **at-p̣ap̣i** bd მამა-პაპა[ნი], წინაპრები предки ancestors. **ვაჲ ათ-პაპიგო̂ ვუდ-ვაჴკას** – ჩვენს მამა-პაპათ ვუხმობ (ვეხმიანები) (ა. ბერთლანი).

ათუჲნი̂ atujnî მიმღ. прич. particip. 1. დასანაყავი то, что надо толочь sth to be pestled. **ათუჲნი̂ ცო̄მი დაგეგე̂ ვაჲგო[ჸ]?** – დასანაყავი აღარა გვაქვს რა? 2. მნაყველი тот, кто толчёт a person who pestles. **ათუჲნში დუჴ და, ათუჲნი̂ ვუმ (‾უმ) დაჸე̂** – მნაყველი ბევრია, სანაყავი თუა რამე.

ათქვლეფა|დ|არ atkvlepa|d|ar გრდმ. перх. trans. ა[მო]თქვლეფა (ამოთქვლეფს) вылакать to whisk. **ფჸარავ შურ მაცხეჺ ათქვლეფადჲინორ** – ძაღლს რძე როდისვე ამოეთქვლიფა.

ათწიჼ atc̣ĩ დაუნაყავი, დაუნაყავად нетолчённый not pestled, without pestling. **ათწიჼ ბო დუჴჩუჲშვ მაჴცჼ ჩამლიშ ლეჸო̂** – დაუნაყავ ნიორს ბევრნი პურთან გემრიელად ატანენ.

ათხ[ო̂] atx[ô] excl. ერგ. იხ. эрг. см. erg. see **თხო txo**. **ათხ[ო̂] ქე იცნათხ** – ჩვენ ცხვარი ვიყიდეთ.

დ|ათხარ[1] **d|atxar**[1] გრდუვ. непрх. intrans. ტირილი (ტირის) плакать to cry. **თხეჼ ბა̆დერ დათხ** – ჩვენი ბავშვი ტირის; **ლე სტენახ ჲათხრა? ლე ჸანახ? ლე ‾უჼ ლამზურ ჲარაჸა!** – ან რაზე ტიროდი? ან ვისზე? ან რა ძალიან ლამაზი იყავი! (ს. გარსევანიძე).

დ|ათხარ[2] **d|atxar**[2] გრდუვ. непрх. intrans. წყლის, თოვლის ჩამოდინება капать, течь to fall water, raindrops, snowflakes. ყარ ჺათხ – წვიმს ⌈წვიმა იღვრება, ტირის⌉; **მარჼ მოც ლავ დათხე̂!** – რა ძალიან თოვს!

დ|ათხსათხარ **d|atxsatxar** გრდუვ. непрх. intrans. წატირება (წაიტირებს) მცირედ поплакать to shed a few tears. **დათხსათხი′ნე̂ ბა̆დერ, ქაშეც დაჰ̵ა̄ ატჼ** – წაიტირა ბავშვმა და მალევე გაჩუმდა.

დ|ათხ|დ|არ **d|atx|d|ar** გრდმ. прх. trans. 1. ატირება (ატირებს) заставлять плакать to make someone cry. **ე ბა̆დრივ ვაშ⌈ბ⌉ჼ დათხოდჵ** – ეს ბავშვები ერთმანეთს ატირებენ. 2. დატირება (დაიტირებს) оплакивать to mourn. **დაჰ̵ მალვალჼ-ცისჵ... შუჼ ძოლი ლეჰ̵ჺოშ, ებე ჺათხჺოშ, ებე დეკარჺოშ** – დავიღალე აკი თქვენი ძვლების კრეფით, ამათი დატირებით, ამათი დათვლით (ა. ბერთლანი). სრ. сов. perf. **დ|ეთხ|დ|არ** **d|etx|d|ar**.

დ|ათხილა̄ დდ **d|atxilā** dd სატირალი, ტირილის (დატირების) დრო და ადგილი место и время для оплакивания кого-л. place and time for crying, weeping. **თხა დათხილაჺხი̂ ჺასჵ ლუჺნი̂** – დღეს სატირალში ვარ წასასვლელი.

დ|ათხინი̂ **d|atxinî** მიმღ. прич. particip. მტირალი; წყალი, რომელიც იღვრება; თოვლი, რომელიც მოდის плачущий; льющийся; падающий ⌈с небес⌉ weeper, water that is being poured, snow that is falling down.

დ|ათ̨არ[1] **d|at̨ar**[1] გრდმ. прх. trans. შეწვა (⌈შე⌉წვავს), ⌈გამო⌉ცხობა ⌈по⌉жарить, ⌈ис⌉печь to fry, to bake. **ქოთამ დათ̨ოს** – ქათამს ვწვავ.

დ|ათ̨არ[2] **d|at̨ar**[2] გრდმ. აგდებ. прх. пренебр. trans. by m. f. გარტყმა ударить to strike, to give a slap. **უჩიტლეს ცჰ̵ა ტარჵ დათ̨ჼ ვაქენ** – მასწავლებელმა ერთი სილა გაარტყა ვაჟას.

დ|ათ̨ინჵ[1] **d|at̨inô**[1] მიმღ. прич. particip. შემწვარი жареный, испечённый fried, roa-sted. **სო დათ̨ინჵ დეწრიკაც ვასჵ** – მე შემწვრის მოყვარული ვარ; **ათხ ბა-თ̨ინჵ წოდ ჩამლოჼ ბა** – ჩვენი შემწვარი მწვადი გემრიელია.

დ|ათ̨ინჵ[2] **d|at̨inô**[2] მიმღ. აგდებ. прич. пренебр. particip. by m. f. 1. ნაკრავი, გარტყმული, ის, რაც ჰკრეს ударенный, то, что (чем) ударили struck, doused, sth to be hit. **უჩიტლეს დათ̨ინჵ ტარჵ ტყოც დაკოდა ვაქენ** – მასწავლებლის გარტყმული სილა კიდევ ახსოვს ვაჟას. 2. ნაკრავი, გარტყმული, ის, ვისაც, ან რასაც ჰკრეს ударенный, то, кого (что) ударили hit, sb/sth that was hit. ესე **ჸევალე̂ ვაჟა, უჩიტლეს ტარჵ დათ̨ინჵ** – აქა ზის ვაჟა, მასწავლებლის სილაგარტყმული.

დ|ათ̣წჷ̃ d|aţçĩ გამოუმცხვარი, შეუწვავი, უმი неиспечённый, сырой raw, uncooked. **ე მაჭკატ დათ̣წჷ̃ და** – ეს მაჭკატი გამოუმცხვარია.

აი aji აი вот here, look. **აი ისე[ჰ], აი ოსი[ჰ]** – აი აქ, აი იქ; **აი ლაზჷ̃ მაჲჴი̂!** – აი კარგი პური!

აჲთაჸო̂ დდ (ვბ; ჲდ) **ajta'ô** dd (vb; jd) ნათლია крёстный отец, крёстная мать, восприемник, восприемница godparent. **ჴ̄ ბჳდრჷ̃ აჲთაჸო̂ ვასო̂** – სამი ბავშვის ნათლია ვარ.

დ|აჲლი̂ d|ajlî ლამის, კინაღამ вот-вот nearly, almost. **ე ჭიგო̂ აჰო̂ დაჲლი̂ დოჴჷ̃** – ეს ჭიგო ლამის წაიქცეს.

აჲმრიკ დ **ajmriķ** d მიტკალი миткаль calico. **თხე დროჰ დუჴ აბორ აჲმრიკჷ̃ ქაჲრცხი̂** – ადრე ბევრს კერავდნენ მიტკლის სამოსს.

-აჲნო̂ -ajnô 1. სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო частица косвенной речи **мол** particle which points other people's words. **ჰალ თაგდინასაჲნო̂** – გავაკეთეო; **ოჴუს ალ'ინუჲნო̂** – მას უთქვამსო. 2. თანდ. послел. prep. -თვის для for (მოითხოვს მიცემითსა და გარდაქცევით ბრუნვებს требует дательного и трансформативного падежей a which requires dative and transformative cases). **ჺალუჲნი̂ დახნონაჲნო̂ [ჺ]ეჲროთვჷ̃ ჲოლ ქჰექჲარ დეწე̂** – საზამთროდ საქონლისთვის ბლომად თივის დამზადებაა საჭირო; **ვენენაჲნო̂ შიჴ ქოცო̂ იცნას** – ღვინისთვის ორიოდე ქვევრი ვიყიდე; **სონაჲნო̂ ჰჷ̃ ვუხ (-უხ) დეცქ̃და** – ჩემთვის ვის რა მოუტანია? **ფჷ̃ცლეს ჰუნნაჲნო̂ ყარულ ლეხო̂** – ფანცალე ტყისთვის მცველს ეძებს; **შარნაჲნო̂** – თავისთვის; **ბჳაკნი ჴაჩჲაჲლჩე[ჰ]გეც ჺავო̂ ქოკი[ნ]მაქ დაჲნი̂ ქელრჷ̃ ჴაჴელ** – გუდები რომ გათავდება, მაშინღა კლავენ სატყავედ ფეხზე მყოფ ცხვარს; **მჭედლევ დელულაჲნო̂ დუჴ ჺაჲჰკი̂ დეცქ̃ ქალქირჷ̃** – მჭედელმა მასალისთვის (სამასალედ) ბევრი რკინა მოიტანა თბილისიდან; **წომლელაჲნო̂ ჴენჴენაც დაყრი ლეჰდორ მაკას** – წამლისთვის (საწამლედ) სხვადასხვა ბალახს კრეფდა მაკა. 3. თანდ. послел. prep. -თვის чтобы for (ინფინიტივთან აძლიერებს მნიშვნელობას с инфинитивом усиливает значение it strengthens the meaning with the infinitive). **ბჳხანაჲნო̂ ქჰექლათხ** – საცხოვრებლად, ცხოვრებისთვის ვემზადებით; **ვახანაჲნო̂** – წასასვლელად, წასვლისათვის; დასათრობად, დათრობისათვის; **დაყანაჲნო̂** – საჭმელად, ჭამისათვის. 4. ხმაბაძვით სიტყვებთან აწარმოებს ზმნისართს со звукоподражательными словами образует наречие it forms adverb with the words characterized by onomatopea. **ტყივ წუვაჲნო̂ თილ‘ქჼ სოხჼ** – ტყვიამ წუილით ჩაიარა; **ხჼ ტყაპაჲნო̂ ჴეთიჼ** – ხე ტყაპანით დავარდა; **ხი რაკრაკაჲნო̂ დუჲტუ̂** – წყალი რაკრაკით მიდის.

აჲჼგრშება|დ|არ aj̃gršeba|d|ar გრდმ. перех. trans. ანგარიში (იანგარიშებს) ⌈под⌉-считать to calculate. **ოჴუს ტათებ აჲნგრშებადო** – ის ფულს ანგარიშობს.

აჲჼგრშება|დ|აჼ aj̃gršeba|d|ã გრდმ. перех. trans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **აჲჼგრშება|დ|არ aj̃gršeba|d|ar**. **ივნენ ჲაჴჼ რიცხვი აჲნგრშებადჲჼ ცო ჴეთე̂** – ივანემ დიდი რიცხვების ანგარიში არ იცის.

აჲპრალ, აჲპრელ ბდ **ajpral, ajprel** bd აპრილი апрель April. **ცენეხ აჲპრალ წყებეჸ ფშელი’ნე̂, ჲაჩნორე’ნე̂ ბარ** – წელს აპრილი მეტად ცივი და ავდრიანი იყო.

აჲპყ|დ|ისარ ajp̣q̣|d|isar გრდუვ. непрх. intrans. ჩაფლობა (ჩაეფლობა), გაჭედვა увязнуть, застрять to stick. **ლაფლო⌈ჴ⌉ ურუმ აჲპყბისურ** – ტალახში ურემი ეფლობოდა. იხ. см. see **დ|ისარ d|isar**.

აჲრკა̄ ჲ **ajrḳā** j მუხლების არე *კალთის* მნიშვნელობით (ბავშვის ჩასასმელად) колени (для ребёнка) в значении *подола* knees (to sit a child on). **აჲრკე მე̄ ჺევალღვორასო̂ სე ნანას, დაკოდა სოჼ** – კალთაში რომ ვყავდი ხოლმე ჩასმული დედას, მახსოვს.

აჲრქელ ვბ **ajrkel** vb არქიელი архиерей bishop. **აჲრქელ მოძღრაჼ ვაჴოუ̌ხუ̂ ვარ** – არქიელი მღვდლების უფროსი იყო.

აჲრ‘ლ‘ ბდ **ajr‘l‘** bd ყოჩი, ერკემალი баран производитель ram. **სტაბო⌈ჴ⌉ ქელო̂ არ‘ლ‘უჲ დეწე̂ ეგდჼ** – შემოდგომას ცხვარში ყოჩები უნდა გაერიოს.

აჲტნო̄ დდ **ajṭnō** dd დროსა და სივრცეში გამეფებული სიჩუმე воцарившаяся во времени и пространстве тишина silence spread in time and space. **გოგხეჸ აჲტნო̄ და** – ირგვლივ ყველგან სიჩუმეა. იხ. см. see **ატოლ aṭol**.

აჲტ̥ვეჼ ajt̥vẽ იღბლიანი, ბედნიერი везучий, счастливый happy. **ჴამინაჸე̄ ლეჸე̂ აჲტ̥ვეჼ ხილ̥ჼ** – ყველასაც უნდა, იღბლიანი (ბედნიერი) რომ იყოს. იხ. см. see **ატ̥ივ at̥iv**.

აჲტვეწი̃ ajţveçĩ უიღბლო[დ] без счастья unlucky. **ნახვ *აჲტვეწი̃* ალჷრ̂, მაცნე̄ ჴამაჲ̂ დახარ დუხ დო** – ხალხი *უიღბლოს* იტყვის, როდესაც ვისიმე ცხოვრება უკან წავა.

აჲქმობ დ **ajkmob** d ექიმობა, მკურნალობა врачевание, лечение treatment. **ე სტაკოვ აჲქმობ დო** – ეს კაცი ექიმობას ეწევა [შვრება]; **ოჴუჲნ აჲქმობ და საჭირრ̂** – მას ექიმობა, მკურნალობა ესაჭიროება.

აჲყი̂ ბდ **ajq̣î** bd სიპი ქვა, ფიქალი шифер, сланец smooth stone, shale. **ლამუ[ჴ] ბაცბჷ̄ წენბუჲ აჲყი̂ ჴალ̣უშ და** – მთაში წოვათუშების სახლები სიპი ქვითაა დახურული.

აჲშ[უ̂] ajš[û] ერგ. იხ. эрг. см. erg. see **შუ šu**.

აჲხნი̂ დ **ajxnî** d ნართი пряжа, прядь yarn. **ბაცბჷ̄ ფსტეივ ჩხი̃ლრ̂ აჲხნი̂ დუქ ქჴექდორ** – წოვათუშების დედაკაცები წინდების ნართს ბევრს ამზადებდნენ.

აჲხნო̄ დდ **ajxnō** dd მოხნული, ნახნავი вспаханный, пашня ploughed. **წყეწყ აჲხნო̄ სტაბჴეჸ დეწე̂ ქჴექდე̂** – ზოგჯერ ნახნავი შემოდგომასვე უნდა მო-მზადდეს.

აჲჴი̂ დდ **ajḫî** dd ნაწლავი кишка intestine. **ქელრეჩი̃ აჲჴი̂ ზორაჲში̂ დახქ̂ და** – ცხვრის ნაწლავი ძალიან გრძელია.

აკაკ დდ **aḳaḳ** dd აკაკი (ხე) каркас, крапивное дерево Akaki (tree). **აკკი საყდრინ ფეხ ი̂ცჷ̄ ბჭარიხრ̂** – აკაკები ეკლესიების ახლოს ეხლაც გვხვდება.

აკამზი ჲ **aḳamzi** j მრ. мн. pl. ხალიჩის საბეჭი დაზგა станок для заготавливания ковров carpet weaving loom.

აკარ aḳar გრდუვ. непрх. intrans. ცვენა (ცვივა) опадать, спадать to fall off. **მახგორქ̂და[ჴ] ჴორ ზორაჲში̂ აჲკი̂** – ქარისაგან ვაშლი ძალიან ცვივა. სრ. сов. perf. **დ|ეკარ d|eḳar**.

აკ|დ|არ^{1} aḳ|d|ar^{1} გრდმ. прх. trans. ჩამოყრა (ყრის) сбрасывать to throw down. **ბჷ̆დრივ ხენმაქრე̂ ჴორი აკოდრ̂** – ბავშვები ხიდან ვაშლ[ებ]ს ყრიან. სრ. сов. perf. **დ|ეკ|დ|არ^{1} d|eḳ|d|ar^{1}**.

აკ|დ|არ^{2} aḳ|d|ar^{2} გრდმ. прх. trans. კანკალი (აკანკალებს), კავკავი трястись, дрожать to tremble. **ფშელოვ აკოვრ̂ ე კნათ** – სიცივე აკანკალებს ამ ბიჭს. სრ. сов. perf. **დ|ეკ|დ|არ^{2} d|eḳ|d|ar^{2}**.

დ|აკარ d|aḳar გრდუვ. непрх. intrans. წვა (იწვის) гореть to burn. **დოს დაკურ** – შეშა იწვოდა.

დ|აკ|დ|არ d|aḳ|d|ar გრდმ. прх. trans. დაწვა (⌈და⌉წვავს) жечь, сжигать to burn. **სუჲნ ვუჲტჩოვ ლამნი დაჯ დაკდოს ნალიგო̂ ჯასითქჩო̂ წარავა** – წასვლისას მთებს გადავწვავ ნალებიდან ნასროლი ცეცხლით (ს. გარსევანიძე).

დ|აკ|დ|ა̃ d|aḳ|d|ã გრდმ. прх. trans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **დ|აკ|დ|არ d|aḳ|d|ar**. **ჭალოლუჲნი̂ თხილოლას, დუჯ დოს დაკდა̃ ცო ლეჸ სო̃** – ზამთრისთვის ვუფრთხილდები, ბევრი შეშის დაწვა არ მინდა.

აკვა̃ დდ **aḳvã** dd აკვანი колыбель, люлька cradle. **ნანას სე ჲაშქ აკვა̃ თერქდორ** – დედა ჩემი დის აკვანს არწევდა.

აკიდო̂ დდ **aḳidô** dd აკიდო связка (кистей винограда) a bunch of grapes. **ქაჲნზქ აკიდუჲ** – ყურძნის აკიდოები.

აკ|დ|ითარ aḳ|d|itar გრდმ. прх. trans. ყრევინება (აყრევინებს) заставить падать, сбивать, сбрасывать to shake out. **კნათივ დუჯ კაკალ აკჲითო̂** – ბიჭები ბევრ კაკალს აყრევინებენ.

აკლებაs|დ|არ aḳleba|d|ar გრდმ. прх. trans. აკლება (აიკლებს) разгромить to devastate. **მასთხოვას დეჲნი̂ (დო̄ნი̂) ფჯე აკლებადბიქ** – მტერმა მთელი სოფელი აიკლო.

აკმაჲზლობ ჲჲ **aḳmajzlob** jj აკაზმულობა, შეკაზმულობა сбруя, убор (для лошади) harness. **სე დონგო⌈ჯ⌉ ლაზქ აკმაჲზლობ ჲა** – ჩემს ცხენს კარგი აკაზმულობა აქვს.

აკ|დ|უჲნი̂ aḳ|d|ujnî მიმღ. прич. particip. მთრთოლვარე, აკანკალებული трепещущий, трясущийся, заставляющий трястись doddering, shivery. **აკბუჲნი̂ ბჭარკ** – მოთამაშე თვალი; **აკდუჲნი̂ ტოტ-ქოკი** – მთრთოლვარე ხელ-ფეხი.

დ|აკუჲნი̂ d|aḳujnî მიმღ. прич. particip. ის, რაც იწვის то, что горит something that is being burnt.

დ|აკ|დ|უჲნი̂ d|aḳ|d|ujnî მიმღ. прич. particip. ის, რაც დასაწვავია то, что следует (можно) жечь sth to be burnt.

დ|აკწი̃ d|aḳç̣ĩ დაუწვავი недогоревший not burnt. **ე დაჩხარ დაკწი̃ და** – ეს ჩინჩხვარი დაუწვავი.

ალო̂[1] alô[1] ბედნიერი счастливый happy.

ალო̂² ჲჲ **alô**² jj ალო земля, намеченная для распашки forest cut for ploughing. **ში ალო̂ ჲისეჼ თხოგო⌈ჳ⌉ ახწიჼ** – ორი ალო დაგვრჩა მოუხნავი.

ალოლ ჲ **alol** j ბედნიერება счастье happiness.

ალავ დ **alav** d ალაო солод malt. **ჲეგენაჲნო̂ ალავ ქჳექოდო̂** – ლუდისთვის ალაოს ამზადებენ.

ალამ ბდ **alam** bd ალამი, დროშა знамя flag, banner. **ბაცბიგო⌈ჳ⌉ ალამ ჺარჭიჼ ბარ** – თუშებს ალამი შავი ჰქონდათ.

დ|ალარ¹ **d|alar**¹ გრდუვ. непрх. intrans. 1. ჭერა (უჭირავს, უკავია) держать to hold. **უჩიტლეგო⌈ჳ⌉ ჟაგნო̂ დალირ** – მასწავლებელს წიგნი ეჭირა; **დადეგო ქორე** იწველება **ბშა̄ თოჴ დალირ** – მამას ხელში სულ თოხი ეჭირა; **ვაშეგო⌈ჳ⌉ ლაზეჼ თა-ნამდებობ დაჲლი̂** – ძმას კარგი თანამდებობა უკავია. სრ. сов. perf. **ლაც|დ|არ lac|d|ar**. 2. ქონა иметь to have. **თხე ათჲგო⌈ჳ⌉ ფსარ-ფსარლო̂ ჴო ლიტრ შურეჼ დაჲლი̂** – ჩვენი ძროხა საღამოობით სამ ლიტრ რძეს იწველის ⌈სამი ლიტრი რძე აქვს⌉; **სტივრეგო ღრუტ ჲაჲლი̂** – სალამურს ნახვრეტი აქვს (სალამური გახვრეტილია); **ლარკა̄ხ ღრატბი ჲალით ვაჲგო** – ყურებში ნახვრეტები გვაქვს.

დ|ალარ² **d|alar**² გრდუვ. непрх. intrans. ვალის ქონა (მართებს) иметь долг to have somebody’s debt. **ჳოხ სეჼ ტათებ დაჲლი̂** – შენ ჩემი ფული გმართებს.

-დ|ალარ -d|alar მყოფ. буд. fut. **-ლა -la** რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი, აწარმოებს ვნებითი გვარის შინაარსის ზმნებს составная часть сложных основ, образует непереходные глаголы страдательного залога a part of complex root which forms the verbs having the content of passive voice. **საქმ თაგჲალიჼ** – საქმე გაკეთდა; **ჲოჳ წეგჲალიჼ** – ქალიშვილი გაწითლდა; **კნათ ვაჴლა** – ბიჭი ⌈გა⌉იზრდება; **ჴორ თასლა** – ვაშლი ჩამოვარდება.

ალბათ albat ალბათ наверное probably. **ალბათ, ჳამინაც იშტ დეწე̂ შუიჼ ლამნი, მოჳე ვაჲნი̂ ვაიჼ წოვათა̄** – ალბათ, ყველას ასე უყვარს თავისი მთები, რო-გორც ჩვენ ჩვენი წოვათა.

ალბულ დდ **albul** dd ალაბულა, ჩალაბულა мусор, трава в текучей воде grass brought by the water. **ხივ ალბულ დაჳორ** – წყალს ალაბულა მოჰქონდა.

ალზაჼ¹ ჲჲ **alzã**¹ jj ალაზანი (ჰიდრონიმი) Алазани (гидроним) Alazani (hydronym). **ლაუ̆მუ̂ დოტუშ წიფლნი ალზნეხ დალ‘არ დეწე̂** – მთაში წასვლისას წიფლოვანში ალაზანზე გადასვლაა საჭირო.

ალზაჼ^{2} ჲჲ **alzã**^{2} jj მდინარე река river. **ყარგოლოლოჼ შარე[ნ]მაქ ჲაჴოჼჯ ალზაჼ ჲაღორ** – ნაწვიმარზე შარაზე კარგა დიდი მდინარე [ალაზანი] მოდიოდა.

ალთაბ ჲჲ **altab** jj ალთაფა медный кувшин little tin-ware. **ალთბე[ჳ] ჩაინაჲნრ̂ ხიგრ̂ კეჯ ჲახითი[ო]რათხ** – ალთაფაში ჩაისთვის წყალს ვადუღებდით; **ალთბე[ჳ] ხი დაჲთ̦უ̂** – ალთაფაში წყალი ასხია.

ალისხეჼ ბდ **alisxẽ** bd ალვის ხე тополь poplar tree. **ალნი ალისხენ[ბ]ი ჺედახკჯ̆** – ალვანში ალვის ხეები დგას.

ალიშ ališ მრ. იხ. мн. см. pl. see **ჲო̆ლ jŏl**.

ალმას დდ **almas** dd ალმასი алмаз diamond. **ალმას ბაჴუჲჩრ̂ მახჼ დაჩუჲ, თურ ჳამიგ[ო]ჳეჶ და** – ალმასი დიდი ფასისა რომაა, განა ყველასა აქვს.

ალუბალ ბდ **alubal** bd ალუბალი (ხე, ნაყოფი) вишня (плод, дерево) cherry. **ალუბ[ა]ლეჼ მურაბ თეგოდრ̂** – ალუბლის მურაბას აკეთებენ.

ალჩუ alču ალჩუ, შეძახილი კოჭის (ძვლის) თამაშისას Алчу, восклицание во время игры в кости Alchu, explanation during throwing the bone in the game. **კოჭ ლექბოშ, კნათივ ალ‘რ̂, *ალჩუ!*** – კოჭის აგდებისას ბიჭები იტყვიან, *ალჩუ!* **სეჼ ბოთხ ალჩუ ბა** – ჩემი საქმე ალჩუდ არის.

ალჩუყ დდ **alčuq̣** dd ალაჩოყი, ნაბდის ქოხი шалаш, юрта tent. **ტბათნი დუჴი დახერ ალჩუყა̄ხ** – ტბათანაში ბევრი ცხოვრობდა ალაჩოყებში.

ალხ ჲჲ **alx** jj ალხი захудалая лошадь, кляча jade. **ალხ დოჼ ცო ქესბოგე̂** – ალხ ცხენს აღარ ამუშავებენ.

ალ̦არ^{1} **aļar**^{1} გრდუვ. непрх. intrans. გადაკიდება приставать molesting (to incite somebody against). **ო სტაკ მაცლომცჼ ვეწ სოხ ალ̦აჼ?** – ის კაცი როდემდე უნდა მყავდეს გადაკიდებული? სრ. сов. perf. **უჲლ̦დისარ ujļdisar**.

ალ̦არ^{2} **aļar**^{2} გრდუვ. აგდებ. непрх. пренебр. intrans. by m. f. ცმა (აცვია) иметь что-л. в одетом виде to have on, to dress. **ო ფსტუჲჩგო მოლუჼ კაბ ალ̦ურ!** – იმ ქალს როგორი [არც თუ კარგი] კაბა ეცვა!

დ|ალ̦არ d|aļar გრდუვ. непрх. intrans. 1. [გ]დება (დევს, გდია) რამეში лежать в что-л. (о предмете) to have something put in, placed in. **ჯიბე ნეკ დალ̦რ̂ სოგო** – ჯიბეში დანა მიდევს. 2. მძიმე პირობებში ყოფნა (ცხოვრება) быть (жить) в тяжёлых условиях being (living) in hard conditions. **მოჳ დაუ̂ხკუ̂ ე ნახ!** – როგორ [მძიმე პირობებში] ცხოვრობს ეს ხალხი! 3. რამის კეთება (რამეს აკე-

თებს) მთელი თავდავიწყებით самозабвенно делать что-л. being very busy in work, to do sth with great enthusiasm. **სტენახ ვალო[ჴ] ისი?** – რას აკეთებ მანდ მთელი თავდავიწყებით?

ალ‘|დ|ალარ al‘|d|alar გრდუვ. непрх. intrans. თქმა (ითქმება) сделаться сказанным to say, to tell. **ე დოშ ჴალღ̂ ცო ალ‘ლა** – ეს სიტყვა არ ითქმება; **აჲლ‘ნას დადეგრ̂, მა ალ‘უჲნრ̂, მā მაინც ჴალღ̂ ალ‘დაჲლნორ** – ვუთხარი მამას, *არ უთხრა-მეთქი*, მაგრამ მაინც ეთქვა [უნებურად]. სრ. сов. perf. **ლევ|დ|ალარ lev|d|alar**.

ალ‘არ al‘ar გრდმ. прх. trans. თქმა (იტყვის) сказать to say, to tell. **ნიფს ალ‘ა̃ თუჲრ ჴამინაც მაკე̂** – სწორად თქმა განა ყველას შეუძლია; **ოჴუს ნაყბისტეგრ̂ ცჴა დოშ ალ‘ი̃** – მან ამხანაგს ერთი სიტყვა უთხრა; **ჴა̃ ალ‘ოს ჴოგრ̂** – ხვალ გეტყვი; ***ქშინრ̂ ვაჲნრ̂!*** – **წყე სოხā ალ‘ა̃ლ: მაცლომცი̃ ვახეს იშტ გო̃ლიშ!** – გიქიათ! – ერთხელ ჩემზეც თქვან: როდემდე ვცხოვრობ ასე ჭკვიანად! (ს. გარსევანიძე) უსრ. несов. imp. **ლევ|დ|არ lev|d|ar**.

ალ‘ა̃ al‘ã გრდმ. прх. trans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **ალ‘არ al‘ar**. **ჴამიგოც ნიფსხოლ ჲეწეს ალ‘ა̃!** – ყველას სიმართლე უნდა ვუთხრა!

დ|ალ‘არ d|al‘ar გრდუვ. непрх. intrans. 1. 1) გაჩენა (გაჩნდება), გახდომა, ატყდომა возникнуть; произойти to be born, to begin. **ბა̃დერ დალ‘ე̃** – ბავშვი გაჩნდა; **ბუჴ ბალ‘ე̃** – ჩხუბი, ომი ატყდა; 2) გამოსვლა (გამოვიდა), გამოდგომა получаться to appear. **სტოჳხკუ̃ ეცინრ̂ ჲეთ̣ ლაზე̃ ბალ‘ე̃ სო̃** – შარშან ნაყიდი ძროხა კარგი გამომადგა. 3) ა[ღ]მოსვლა, ასვლა пробиться, взойти to rise. **დაქარ დალ‘ე̃** – ბალახი ამოვიდა; **მათხ ბალ‘ე̃** – მზე ამოვიდა; **ტჵერელჩ დალ‘ე̃** – ვარსკვლავები ამოვიდა; **კურ ბალ‘ე̃** – კვამლი ავიდა. 4) გავარდნა выстрелить to shoot. **თოფ ჲალ‘ე̃** – თოფი გავარდა. 2. რთული ფუძის, ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი составная часть сложных основ или словосочетаний с приставками a component part of complex root or word-combination. 3. ზმნისწინებთან с приставками with preverbs. **ჴალღ̂ ვალ‘ე̃** – ავიდა (ზევით) он поднялся (на верх) he/she went up; **დაჴ ვალ‘ე̃** – გავიდა (იქით) перешёл, переплыл he/she went there; **ნჵაჲც ვალ‘ე̃** – გავიდა (გარეთ), გამოვიდა он вышел (наружу, из дома) he/she went out. უსრ. несов. imp. **იხარ[1] ixar[1]**.

ქორლე̃ დ|ალ‘ე̃ korlẽ d|al‘ẽ 1. ხელიდან გაუვარდა выронил из рук was dropped from ones hand. 2. გაექცა ускользнул, убежал от... he/she ran away from. 3. გადატ. перен. fig. ხელიდან წავიდა потерял доброе имя to spoil, to mar. **ე ფეშკარ ქორლეჼჯ და დალʻენო̂** – ეს ბალღი მთლად ხელიდან არის წასული.

ალʻ|დ|აჲლნო̂, ალʻ|დ|ალინო̂ alʻ|d|ajlnô, alʻ|d|alinô მიმღ. прич. particip. ნათქვამი сказанный said, told. **ლაჭყოშ ალʻდაჲლნო̂ დოშ ჰალ გუდალʻეჼ** – ფარულად ნათქვამი სიტყვა გამოაშკარავდა; **წყე ჰალო̂ ალ̦დაჲლნო̂ დოშ დუხ ცო დერწოდმაკეგე̂ ჰოჼ** – ერთხელ ნათქვამ სიტყვას უკან ველარ დააბრუნებ.

ალʻაჼდა alʻãda სათქმელია, ნიშნავს это значит it means. **ის ვუხ ალʻაჼდა?** – ეგ რა სათქმელია (რას ნიშნავს)?

დ|ალʻენო̂ d|alʻenô ცნობილი, სახელიანი, სახელოვანი известный, пользующийся именем well-known, famous. **ჭყუჲპი̂ ცჰაჲნ დროჰ ვალʻენო̂ სტაკ ვარ** – ჭყოპი ერთ დროს ცნობილი კაცი იყო.

დ|ალʻ-ჴალʻენო̂ d|alʻ-qalʻenô მიმღ. прич. particip. ⌈ხალხში⌉ გამოსული вышедший в люди человек a person with modern thoughts. **ე სტაკ მოლუჼ ვალʻ-ჴალʻენო̂ ვა** – ეს კაცი როგორი გამოსულია.

ალʻითარ alʻitar გრდმ. прх. trans. 1. თქმევინება (ათქმევინებს) заставить сказать to make someone say something. **შარიჼ ბეხკ ბარ, ჰალო̂ ალʻითიეჼ ოჴუჲგო̂** – თავისი ბრალი იყო, ათქმევინეს მას; **ე ფეშკრეგო̂ ალʻითათ სიმართლ** – ამ ბავშვს ათქმევინეთ სიმართლე. 2. მოწოდება წესიერი ქცევისკენ to appeal somebody for behaving in a good manner. **ე ფეშკრევ ტოტი ჩუ ცო მეყოჲოე̄, ალʻითათ!** – ეს ბავშვი ხელებს არ აჩერებს და უთხარით, წესიერად იყოს!

ალʻითაჼ alʻitã გრდმ. прх. trans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **ალʻითარ alʻitar**. **ყუვაჲგო̂ ნიფსხოლ ჲეწეთ ვაჲ ალʻითაჼ** – ქურდს სიმართლე უნდა ვათქმევინოთ.

დ|ალʻითარ^{1} d|alʻitar^{1} გრდმ. непрх. trans. გა⌈მო⌉შვება, ა⌈მო⌉შვება отпустить, выпустить, упустить to miss. **ე საქმ ქორლეჼ მა ჲალʻითო̂** – ეს საქმე ხელიდან არ გაუშვა.

დ|ალʻითარ^{2} d|alʻitar^{2} გრდმ. прх. trans. გამოცემა (გამოსცემს) выпустить, опубликовать to publish. **მაყვლეს ჴეჩნაჲრათ ლაზეჼ ჟაგნო̂ დალʻით⌈ი⌉ეჼ** – მაყვალამ სხვანაირად კარგი წიგნი გამოუშვა.

ალʻინო̂ alʻinô მიმღ. прич. particip. ნათქვამი, თქმული сказанный sth to be said, told. **ოჴუს ალ̦ინო̂ დოშ** – იმის ნათქვამი სიტყვა.

ა̆ლ‘უჲნ̂ ăĺujnî 1. სათქმელი то, что нужно сказать to be said, told. **ცჰ̌ა დოშ და სოგო[ჰ] ალ‘უჲნ̂** – ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი. 2. მთქმელი тот, кто должен сказать teller, author, performer, narrator, speaker. **ე მოჳ ალ‘უჲნ̂ მჱ̃ ვა?** – ამ სიმღერის მთქმელი ვინ არის?

ჲ|ალ‘-ჲ|ჵაჸუშ: ჲ|ალ‘-ჲჵაჸუშ სტაკ jalʻ-jωa'uš: jalʻ-jωa'uš sṭaḳ ვაჟკაცური, სახელიანი ადამიანი мужественный, именитый человек brave, glorious. **წკიპრ̂ ზორაჲშ̂ ჲალ‘-ჲჵაჸუშ სტაკ ვარ** – წკიპო ძალზე ვაჟკაცური კაცი იყო.

ამაგ ჲ **amag** j ამაგი забота, попечение labor, work. **ნან-დადეგო[ჰ] ჲაჭრ̃ ამაგ ჲა ბა̆დრინმაქ** – დედ-მამას დიდი ამაგი აქვს შვილებზე.

ამბუჲ ჲ **ambuj** j მრ. мн. pl. 1. ამბავი, ამბები весть, вести, известия story, rumour, information. **ლაზჱ̃ ამბუჲ ჲეცჱ̃ თხა** – კარგი ამბავი (ამბავი) მოვიდა დღეს. 2. რთული ფუძის, ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი составная часть сложных основ или словосочетаний a component part of complex root or word-combination.

ამბუჲ თასარ ambuj tasar გრდმ. прх. trans. ცუდი ამბის დატრიალება (ცუდ ამბავს დაატრიალებს), ცუდი რამის ჩადენა совершить плохое, сделать что-л. плохое to behave badly. **იცხ სტაკოვ მოსჱ̃ ამბუჲ თასჱ̃** – მაგ კაცმა ცუდი ამბავი (ამბები) დაატრიალა.

ამბუჲ ჲ|არ ambuj j|ar გრდმ. прх. trans. საუბარი (საუბრობს), ლაპარაკი, მოლაპარაკება беседовать, разговаривать conversation, talk, negotiation. **ნაყბისტეცჱ̃ ამბუჲ ჲინას** – ამხანაგთან ვისაუბრე; **ბათხავ ამბუჲ ჲარ დეხრ̂** – საქმე მოლაპარაკებას მოითხოვს; **მარჴ ლაზნ̄ მოც ეჰ̌ათ დარ, ბაცბივ ბაჲცბრათ მე̄ ამბუჲ ჲორ** – მაშინ იყო რა კარგი, ბაცბები ბაცბურად რომ ლაპარაკობდნენ (რ. ორბეთიშვილი).

ამბუჲ ჲ|ითარ ambuj j|itar გრდმ. прх. trans. 1. მოყოლინება (მოაყოლინებს) заставить говорить, беседовать, рассказывать to make someone say something. **ჩუ ვეცჱ̃ჩრ̂ სტაკოგრ̂ ბჵარდახჱ̃ჩუჲშვ დუჳ ამბუჲ ჲითჱ̃** – შინ მოსულ კაცს დამხვდურებმა ბევრი აამბობინეს. 2. ამბის (დარიგების) დატოვება (ამბავს დატოვებს) оставить назидания to leave the message. **ჟეგრ̂ ვოტუჩრ̂ დადას ამბუჲ ჲითჱ̃, *ჴალუჲნ დოს დროჰ̌ეც ჭექდებათაჲნრ̂*** – ცხვარში მიმავალმა მამამ ამბავი დატოვა, *საზამთროდ შეშა დროზე დაამზადეთ.*

ამბო̄ხ დ|ახარ ambōx d|axar გრდუვ. непрх. intrans. მასლაათი (მასლაათობს), მუსაიფი, ბაასში ჩაფლობა увлечься разговором, беседовать chat. **ბუსცჳაჸ ამბო̄ხ ბახენრ̂ ჱებაჲხკნათხ** – მთელი ღამე ამბებში გართულები ვისხედით.

ამბუჲ ჲ|ორიკ[აჸ] ambuj j|oriķ[a’] ლაპარაკის მოყვარული любящий поговорить, говорун talkative. **ცჳადარი ამბუჲ ჲორიკ[აჸ] ადმიანევ ნახ კორტოდრ̂** – ზოგიერთი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი ხალხს თავს აბეზრებს.

ამბუჲ ჲ|უჲნი̂ ambuj j|ujnî მოლაპარაკე, მთხრობელი рассказывающий, говорящий talker, speaker. **ამბუჲ ჲუჲნში ბჵ̄ ბეწჷ̂ ნახნ შეყრ ლაზეჲში̂ ჲიკა̃** – მოლაპარაკენი ყოველთვის ესაჭიროება ხალხს თავშეყრის კარგად წარმართვისათვის.

ამი̃დ ბდ **amĩd** bd ამინდი погода weather. **ცენეხ მოჸი̃ ამი̃დუჲ და** – წელს ცუდი ამინდებია; **ჭა ლაზჷ̃ ამი̃დ ხილʼუ̃** – ხვალ კარგი ამინდი იქნება.

ამი̃დწინა̄ დ **amĩdçinā** d უამინდობა непогода bad weather. **ამი̃დწინა̄ ჲაჩუჲ საქმ ჲუხ ჲისჷ̃ თხოგო[ჳ]** – უამინდობის გამო საქმე უკან დაგვრჩა.

ამნათ დდ **amnat** dd უცხოტომელი მოსამსახურე, მოჯამაგირე иностранный слуга, прислуга, служитель foreign servant, slavey.

ამფსო̃ დდ **ampsõ** dd ამფსონი сотоварищ (за выпивкой, едой) boon companion, boon partner. **მაჲჭი ჲაყჩო ამფსო̃ ლაზჷ̃ და** – პურის ჭამაში ამფსონი კარგია.

ამქარ ჲჲ **amkar** jj ამქარი цеховой a worker who works at the workshop, craft. **ხელოსნიგო[ჳ] შუჷ̃ ამქარ ჲარ** – ხელოსნებს თავისი ამქარი ჰქონდათ.

ა̃ დდ **ã** dd ჭვალი колотье colic, lumbago. **ანივ ქოთ̧ვოსრ̂** – ჭვლები მაწუხებს.

ანივ ლეც|დ|არ aniv lec|d|ar გრდმ. прх. trans. ჭვლებით დახუთვა (ჭვლები დახუთავს) страдать коликами to suffer with lumbago or colic. **ანივ ლაცდარ ხალო̃ დანრ̂** – ჭვლებით დახუთვა მძიმე ყოფილა.

ანაფორ დდ **anapor** dd ანაფორა ряса cassock. **ანაფორი მოძღრიგო[ჳ] დაჷ̆ფხუ̂** – ანაფორები მღვდლებს აცვიათ.

ანბა̃ დ **anbã** d მრ. мн. pl. ანბანი азбука, букварь alphabet. **რუსულ ანბა̃ ცჳაიტ̧ შარლუჩოვგეჸ ჱამდინას** – რუსული ანბანი თერთმეტი წლისამდა ვისწავლე.

ა̃გლოზ დდ **ãgloz** dd ანგელოზი ангел angel. **ბარე́ნჷ̂, ლამუ́ნჷ̂ ა̃გლოზი ლეტალათ ვაჲნ!** – ბარისა და მთის ანგელოზები შეგვეწიოს!

ა̃გრიშ ჲჲ **ăgriš** jj ანგარიში счёт account, consideration. **ვაჲგო[ჳ] ვაშ[ბ]ჴჩუ[ჳ] აჲ̃გრში ჲა** – ჩვენ ერთმანეთში ანგარიშები გვაქვს.

ა̃გრიშწი̃, აჲ̃გრშეწი̃ ãgrišçĩ, aj̃gršeçĩ უანგარიშო[დ] не считая, без счета without taking into consideration. **ა̃გრიშწი̃ ცომენა̄ და̄ხე̂** – უანგარიშოდ არავინ ცხოვრობს.

ა̃დ ჲ **ãd** j იერი вид, облик expression, look. **ა̃დუხდა[ჳ] ჲაბწმაკი̃ სო̃ ო ჲოჳ** – იერზე ვიცანი მე ის გოგო.

ა̃დაზ ჲჲ **ãdaz** jj ანდაზა пословица, поговорка proverb. **ა̃დზი ნახვ ჲა კერბადჲიენო̂** – ანდაზები ხალხის მიერაა შეთხზული [შეკერილი]; **მელ’ ა̃დზი ჭეთე̂ ე ვაჳონ!** – რამდენი ანდაზა იცის ამ ბიჭმა!

ა̃დერძ ჲჲ **ãderʒ** jj ანდერძი завещание will, testament. **ა̃დერძ ჲითარ** – ანდერ-ძის დატოვება.

ა̃დერძ ჲ|არ ãderʒ j|ar – ანდერძის აგება отпевать покойника to perform a funeral service. **მოძღრევ დალოჩ̃ონ ა̃დერძ ჲო** – მღვდელი მკვდარს ანდერძს უგებს.

ა̃დით ãdit ანდედ, ალალბედზე наугад at random. **ა̃დით ხეცე̂ სო̃ ის** – ანდედ ვი-ცი ებ·

ა̃თებ ჲჲ **ãnteb** jj ანთება воспаление inflammation. **ჳადაჲ̃ ა̃თებ** – ტვინის ანთება.

დ|ანიჸ d|ani’ ნაცვ. местоим. pron. ყველა, ყველანი, ყველაფერი все, всё everybody, all, everything. იხ. см. see **ვუმაჸ** (**⁻უმაჸ**) **vuma’** (**⁻uma’**).

ა̃კრაჸო̂[1] **ãḳra’ô**[1] ანკარა чистый, прозрачный pure. **წყარო̃ ხი ანკრაჸო̂ და** – წყაროების წყალი ანკარაა.

ა̃კრაჸო̂[2] ბდ **ãḳra’ô**[2] bd ანკარა გველი уж grass snake. **ანკრაჸო̂ შხამჭ̃ ლაჳ ცო ბა** – ანკარა შხამიანი გველი არაა.

ა̃კრაჸო̂[3] ჲჲ **ãḳra’ô**[3] jj შუშა стекло glass.

ან-ქარი დ **an-kari** d მრ. мн. pl. ჭვლები [ჭვლები და ქარები] колики colics. **ნინო̂ ცენეხ ან-ქარივ ქოთ̣ოჲო̂** – ნინოს წელს ჭვლები აწუხებს.

ა̃წლ დდ **ãçl** dd ანწლი бузина elder. **ა̃წლო̃ არაყ და̄ხო̂** – ანწლის არაყს ხდიან.

ა̃ჰ: ა̃ჰ დ|არ ãh: ãh d|ar გრდმ. прх. trans. კვნესა (კვნესის) охать, ахать to moan. **ლაწმრევ ა̃ჰ დო** – ავადმყოფი კვნესის.

აპელატ დდ **apelaṭ** dd ეპოლეტი эполет epaulet. **აპელტი აფიცრჼ ლიშჼ და** – ეპოლეტები ოფიცრების ნიშანია.

აპელსიჼ დდ **apelsĩ** dd ფორთოხალი апельсин orange. **აპელსინი ზორაჲში̂ ჩამლიჼ ხილ ჲა** – ფორთოხალი ძალიან გემრიელი ხილია.

აპყაჲრეჼ **apqajrẽ** ნაცრიანი в золе ashy, ashen. **თხალუჼ მაჲკი̂ აპყაჲრეჼ გუჲალ‘ეჼ** – დღევანდელი პური ნაცრიანი აღმოჩნდა.

აპყაჲრი̂ **apqajrî** მრ. იხ. мн. см. pl. see **ჲოპყ** **jopq**.

აპყარბასიჼ **apqarbasĩ** ნაცრისფერი серый, цвета золы grey. **აპყარბასიჼ ჲუჴ ჯუღურ ჲა** – ნაცრისფერი სახე უშნოა.

აპყ|დ|არ **apq|d|ar** გრდმ. прх. trans. შერჭობა (შეარჭობს), დარჭობა, ჩარჭობა, შეჩრა, შეჩურთნა втыкать, совать, засовывать to pierce, to drive into, to put in. **ბაჼდ კედლო̄ხ აპყჲოს** – ჩვარს კედელში ვჩურთნი.

დ|აჟარ დდ **d|ažar** გრდუვ. непрх. intrans. ძოვა (ძოვს) пастись to let pasture. **შირქიჴა̄, ლამუჴა̄ ბაცბაჼ ჟე დაჟერ** – შირაქსა და მთაში წოვათუშების ცხვარი ძოვდა.

დ|აჟ|დ|არ **d|až|d|ar** გრდმ. прх. trans. ძოვება (აძოვებს) пасти to pasture. **მემცხორივ ჟე დაჟოდრ̂** – მეცხვარეები ცხვარს აძოვებენ.

დ|არ **d|ar** გრდმ. прх. trans. 1. ⌈შე⌉ქმნა (⌈შე⌉ქმნის), ⌈გა⌉კეთება (⌈გა⌉აკეთებს, იზამს) ⌈с⌉делать, ⌈со⌉творить, создавать to create, to make, to do. **ვუხ (~უხ) დო?** – რას აკეთებ (რას შვრები)? **ვუხ (~უხ) დოს!** – რას ვიზამ! **მა დო!** – ნუ აკეთებ (ნუ შვრები)! **ნეკ მიჩ დინა⌈ჴ⌉?** – დანა რა უყავი? **იშტ დებ!** – ასე გააკეთე (ასე ქენი)! **ე ვუხ (~უხ) დინორ ო ვაჴოვ?** – ეს რა ექნა (რა გაეკეთებინა) იმ ბიჭს? ბაკოჼ ბოთხ ბინას – დიდი საქმე გავაკეთე (შევასრულე). 2. შობა (შობს) родить, рожать to give birth to. **ფსტუჲჼჩოვ ბა̆დერ დიეჼ** – დედაკაცმა ბავშვი შვა; **მიტრ̂ ფსტუნავ კნათ ვიერ** – მიტოს ცოლმა ბიჭი დაბადა ⌈შვა⌉. 3. ქსოვა (ქსოვს) вязать to knit. **აგას ჩხიჼდრი დო** – ბებია წინდებს ქსოვს. 4. შეუძლია დაირთოს ზმნისართები может иметь при себе наречия it can be enclosed by adverbs. **სო დებ**! – მოხურე! Закрой! Close! **ნჭაჲჼდებ!** – გააღე! Открой! Open! **დაჴ დებ**! – მიხურე! Закрой! Close! **დაჴ დარ** – მიხურვა; მიცემა, გაცემა закрыть (дверь); отдать, раздать to close; to give. 5. რთული ფუძის, ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი; აწარმოებს გარდამავალი შინაარსის მქონე ზმნას часть сложных основ или словосочетаний; образует переходные глаголы a component part of complex root or word-combination; it forms the verb having the function of transitiveness. **ოჴუს წა თეგოდო̂** – ის სახლს აშენებს. Он строит дом. He is building a house. **დოჼ ლელბიჲჼ** – ცხენი ატარეს. Лошадь водили. A horse was taken to and fro. **ნანას ბა̆დერ დაჴდიჲჼ** – დედამ ბავშვი გაზარდა. Мать вырастила ребенка. Mother nurtured a child.

მოჴ ბ|არ moq b|ar – გრდმ. прх. trans. მღერა [სიმღერის კეთება] (მღერის) петь to sing. **მაჴიშ ცო დოს** – არ ვმღერი [სიმღერებს არ ვაკეთებ].

დ|აჼ d|ã გრდმ. прх. trans. ინფინიტივია მასდარისთვის инфинитив для масдара is an infinitive for the gerund **დ|არ d|ar**. **ჲეთ̨ თაბით იშო̂ სო̂ნე̄, ვუხკ (¬უხკ) დეწლოს დაჼ!** – ძროხა მაკლდება, მგონია, და რა უნდა ვქნა, ნეტავი!

არაყ დდ **araq̣** dd არაყი водка vodka, arrack.

არზ დდ **arz** dd არზა прошение petition. **ჴ̌ათხეც არზი წერადჲუჲნში კაძაკ ბარ** – წინათ არზების დამწერნი ცოტანი იყვნენ.

არკეჼ arḳẽ მკვახე неспелый, незрелый unripe. **არკეჩო̂ ქაჲნზეჼ ვეჼ ცო ეთ̨ოდო̂** – მკვახე ყურძნის ღვინოს არ აყენებენ.

არკუმ ბდ **arḳum** bd მხალი (ბალახი, კერძი) трава своего рода, блюдо из неё Arḳum (Purée of grass and the grass itself as well). **ნატ̨რიჼ არკუმ ჩამლიჼ ბა** – ჭინჭრის მხალი გემრიელია.

არლარ arlar გრდმ. прх. trans. ლეწვა (ლეწავს) молотить to thresh. **სტაბო[ჴ̌] კა- ლუჲ ა̄რლო̂** – შემოდგომას კალოებს ლეწავენ; **სტაბო̄ უჲთ̨ჩე[ჴ̌] არლოჼ დოლ̨ათხ[ო̂]** – შემოდგომა რომ დადგება, ლეწვას დავიწყებთ.

დ|არლარ d|arlar გრდმ. прх. trans. [გა]თლა (თლის), [ჩა]თლა тесать, обтесать, вытесать, отстрогать to dab. **ვასოს ხენეჼ მორი ჲარლო̂** – ვასო ხის მორებს თლის.

არლეხ arlex მარცხნივ налево to the left. **არლეხ ჴ̌უჼ ჲა** – მარცხნივ ტყეა; არლეხ ლობ! – მარცხნივ წადი!

არლითარ arlitar გრდმ. прх. trans. გალეწვინება (გაალეწვინებს) заставить молотить to make sb thresh something. **ოჴარ დაძმიგო̂ არლითო̂ მაჲჴი̂** – ისინი ნათესავებს ალეწვინებენ პურს (ხორბალს).

არლინო̂ arlinô მიმღ. прич. particip. გალეწილი вымолоченный threshed. **მაჲჴი̂ არლინო̂ ჲა** – პური გალეწილია; **ოჴუს არლინო̂ ჲა ე მაჲჴი̂** – იმის გალეწილია ეს პური.

არლიჼ **arlĩ** მარცხენა левый left. **აჲრჩილეს არლიჩო̂ ტოტეხ ტოტ დიშდიეჼ სოჼ** – არჩილმა მარცხენა ხელზე ხელი დამარტყა; **ხიჼ არლიჼ ცერ** – წყლის (მდინარის) მარცხენა ნაპირი.

არლუჲლა̄ დ **arlujlā** d 1. ლეწვის დრო და ადგილი, ლეწვა, კალოობა место и время молотьбы, молотьба a place and season for threshing. **დაცრეხ არლუჲლა̄ დაჲწუ̂** – თიბვას [მკას] ლეწვა მოსდევს; **არლუჲლა̄ გარგდაჲლნო̂ დაგეგ̂** – კალოობა მოახლოებულია თითქმის.

არლუჲნი̂ **arlujnî** მიმღ прич. particip. 1. [გა]სალეწი то, что молотят, чем молотят sth to be threshed **არლუჲნი̂ ფსა ტატბალიჼ** – გასალეწი ქერი დასველდა. 2. მლეწავი молотильщик thresher **არლუჲნი̂ ლეხოს** – მლეწავს ვეძებ.

არლწიჼ **arlçĩ** გაულეწავი, გაულეწავად немолоченный non-threshed, without threshing. **მეჼ მაჲკი̂ არლწი̂ ჲისეჼ თხოგო[ჳ]** – ზოგი პური გაულეწავი დაგვრჩა; **ფსა̄ არლწიჼ ბისეჼ** – ქერიც გაულეწავი დარჩა.

არმობ დდ **armob** dd არმობა подлость perfidy. **არმობ მოჸიჼ ზაჼ ჲა** – არმობა ცუდი ზნეა.

დ|არჟ|დ|ალარ **d|arž|d|alar** გრდუვ. непрх. intrans. გაშლა ([გა]იშლება) распуститься, распускаться to blossom, to open. **ბუბუკ დარჟლა** – ყვავილი იშლება; **ქოლგ ნასტაკ დაჳ დარჟდალიჼ** – ქოლგა ძლივს გაიშალა.

დ|არჟარ **d|aržar** გრდუვ. непрх. intrans. გაშლა (გაიშლება) распуститься, распускаться to spread. **ქე მიჼდრი დარჟეჼ** – ცხვარი მინდორში გაიშალა.

დ|არჟ|დ|არ **d|arž|d|ar** გრდმ. прх. trans. [გა]შლა ([გა]შლის) развернуть, развёртывать, разостлать, расстилать to spread. **კნათევ სურთი ჲარჟჲიეჼ** – ბიჭმა სურათები გაშალა.

დ|არსტარ **d|arsṭar** გრდუვ. непрх. intrans. გასუქება (გასუქდება) пожиреть to fatten, to put on weight. **თხეჼ ა̄სე̂ ზორაჲშ ჳალ დარსტეჼ** – ჩვენი ხბო ძალიან გასუქდა.

დ|არსტ|დ|არ **d|arsṭ|d|ar** გრდმ. прх. trans. გასუქება ([გა]ასუქებს) откормить, откармливать to put on weight, to fatten. **წელტილუჲნი̂ იჼდურ დარსტდოს** – საახალწლოდ ინდაურს ვასუქებ.

დ|არსტენო̂ **d|arsṭenô** მიმღ. прич. particip. გასუქებული, მსუქანი жирный, разжиревший fattened. **თხეჼ ა̄სე̂ მოჳ დარსტენო̂ და** – ჩვენი ხბო როგორ გასუქებულია.

დარსტოლ დ **darsṭol** d სიმსუქნე тучность fatness. **ცო თაუ̆გუ̆ ადმიანეხ დარსტოლ** – არ უხდება ადამიანს სიმსუქნე.

დ|არსტრიკ⌈აჸ⌉ d|arsṭrik̡⌈a’⌉ ადვილად გასუქებადი легко жиреющий sth/sb to be easily fattened. **თხქჼ ა̄სქჼ დარსტრიკაჸ და** – ჩვენი ხბო ადვილად სუქდება.

არტახ დდ **arṭax** dd არტახი свивальник a belt for craddle. **ნანას აკვნენ არტხი ჰაჭყიჼ** – დედამ აკვანს არტახები მოუჭირა.

არღა̄: არღა̄ დ|ალʻარ arγā: arγā d|alʻar გრდუვ. непрх. intrans. გაშტერება (გაშტერდება), გაოცება поразиться, остолбенеть to be surprised, to be amazed. **ბა̌დერ არღა̄ დალʻქჼ** – ბავშვი გაშტერდა. უსრ. несов. imp. **არღა̄ იხარ arγā ixar**.

არღა̄ იხარ arγā ixar გრდუვ. непрх. intrans. გაშტერება (შტერდება) поражаться, столбенеть to amaze. **დუჺჰრქჼ დაჴოჼ აჴე̂ დაგინრ̂ ბა̌დერ არღა̄ იხრ̂** – პირველად დიდი ნადირის მნახველი ბავშვი შტერდება. სრ. сов. perf. **არღა̄ დ|ალʻარ arγā d|alʻar**.

არშიჼ დდ **aršī** არშინი аршин arshine. **იჼც აჺრშნევ ცო დუსტოგე̂** – ახლა არში-ნით აღარ ზომავენ.

დ|არწ|დ|ალარ d|arç|d|alar გრდუვ. непрх. intrans. გატიტვლება (⌈გა⌉ტიტვლდება) раздеться, раздеваться to bare, to take off clothes. **ალზნელო⌈ჰ⌉ ბითლაჺნ̂ კნათი დაჰ ბარწბალიჼ** – ალაზანში მობანავე ბიჭები გატიტვლდნენ.

არწარათ arçarat ზმნს. нареч. adv. წარამარა беспорядочно continually, incessantly.

დ|არწა̃|დ|არ, დ|არწ|დ|არ d|arçã|d|ar, d|arç|d|ar გრდმ. прх. trans. გაშიშვლება (⌈გა⌉აშიშვლებს), ⌈გა⌉ტიტვლება обнажить, обнажать, оголять, оголить to bare, to undress. **ნანას ბა̌დერ დარწა̃დიქჼ** – დედამ ბავშვი გაატიტვლა; **ლაუ̆მრქჼ დახკენრ̂ დუჺ დარწდორ** – მთიდან მოსულ ცხენებს აშიშვლებდნენ ⌈უნაგირს ხდიდნენ⌉; **გოგეხ სოდა ჰაჭე′ნეს, ყაჩლუჺვ დარწდორ მიჩხმაჸ ნახ** – გარშე- მო მიმოვიხედე და ყაჩაღები ატიტვლებდნენ ყველგან ხალხს.

არწივ დდ **arçiv** dd არწივი орёл eagle. **აჺრწვევ წყეწყ ჩუხუჺ ⌈ჱ⌉იტოდრ̂** – არ-წივი ხანდახან ბატკნებს იტაცებს.

დ|არწინრ̂ d|arçinô მიმღ. прич. particip. 1. შიშველი голый bared, undressed. **დარწინრ̂ ბა̌დერ** – შიშველი ბავშვი; **ჺარწიჩრ̂ ფჰარსივ ფსტეივ ნაჺბდრი ჰევორ** – შიშველი მკლავებით დიაცები ქერებსა თელავდნენ. 2. უბელო неоседланный bareback. **ბერო̂ ბარწჷჩო̂ დონენ ხაცე'ნე̂, აჰო̂ ხახკჷ ლაჩაჰო̂** – ბერო უბელო ცხენს მოახტა და გააჭენა ქვემოთ.

არხ ჲჲ **arx** jj არხი канава channel. **ხი დოცდაჼ არხ ჲახო̂** – წყლის მოსაყვანად არხი გაჰყავთ.

არხლოვ ვბ; ჲდ **arxlov** vb; jd ცაცია левша left hand user. **სეჼ განყოფ პაჲპლარიჼ კარლო̂ არხლოვ ვარ** – ჩემი ბიძაშვილი პაპიანთ კარლო ცაცია იყო.

არჯკელ ბ **arǯ̣kel** b არჯაკელი чина розовая Lathyrus roseus (Latin). **არჯკელეჼ არკუმ ჴეხკობო̂** – არჯაკელის მხალს ხარშავენ.

ას as ერგ. იხ. эрг. см. erg. see **სო so**.

ასარ asar გრდმ. прх. trans. ⌈გა⌉სერვა (⌈გა⌉სერავს), ცრა, ნესტრით ⌈გა⌉სერვა, ჭრა насекать, насечь ланцетом to slit, to scarify, to cut up. **ბათუჲნ ნატყირეჼ ტარკ ნეკევ ასირ** – ბათოს დაჩირქებული თითი დანით გაუსერეს.

დ|ას|დ|არ d|as|d|ar გრდმ. прх. trans. დაცლა (დაცლის), გამოცლა опорожнить, опорожнять to empty. **სე ბაბოს კუჲკრაცოვ მაჭარ დასდიეჼ** – პაპაჩემმა კოკურით ღვინო დაცალა.

ასარვ asarv ზმნს. нареч. adv. ფონზე на фоне on the background. **ოშტუჼ ჺეჲალიჼ რუსუდაჼ აჲრთვაჲჩ ხანე აჼგლოზსაჼ ო ბაჲთჳ ასარვ...** – ისეთი იჯდა კარგა ხანს რუსუდანი ანგელოზივით იმ მთვარის ფონზე... (ა. ბერთლანი).

ასე̄რეჼ asērẽ ხბოიანი тельный a cow having a calf. **ასე̄რეჩო̂ ათჳან თოყალ დეწე̂ თელʻაჼ** – ხბოიან ფურს საკმარისად უნდა ჭმევა.

დ|ასეჼ, დ|აშარეჼ d|asẽ, d|ašarẽ 1. ცარიელი пустой empty. **ჲასეჼ (ჲაშარეჼ) ქოცო̂** – ცარიელი ქვევრი; **დასეჼ (დაშარეჼ) ჰერწო̂ ცუჲ და ჰოგო?** – ცარიელი ქვაბი არა გაქვს? **დადი დაჰ დავდაკი'ნე̂, წა დაშარეჼ (დასეჼ) ლო̄ჲთჳდისეჼ** – პატრონები მიმოიკარგნენ და სახლი ცარიელი დარჩა. 2. ცარიელა (სხვა რომ არაფერია) сплошной only. **სპერუჲზა̄ ჲასეჼ (ჲაშარეჼ) კლდეკარი ჲა** – სპეროზა ცარიელა (სხვა რომ არაფერია) კლდეკარ⌈ებ⌉ია.

ასო̂[1] **ჲჲ asô**[1] jj ქალამნების ამოსასხმელი თასმა кожаный шнур для плетения лаптей leather strap for putting bast sandals on. **ჯანი დაჼ ასო̂ ქორჲინას** – ქალამნების ამოსასხმელად ⌈გასაკეთებლად⌉ თასმა ვიშოვე.

ასო̂² ჲჲ **asô**² jj ასო (სხეულის ნაწილი), ორგანო член тела, орган limb, part of body. **ქოკეხა̄ დეღეჼ** *ასო̂* **წე** – ფეხსაც *სხეულის ასო* ჰქვია; **დითხ ასო̂-ასო̂ თეტიჼ** – ხორცი ასო-ასო აქნეს, დაჭრეს.

ასო̂³ ჲჲ **asô**³ jj ასო, გრაფემა буква, графема letter, grapheme. **ბუძნღეჩო̂ მატ-გო⌈ჰ⌉ თაგუნი̂ ასუჲ ჲა** – ქართულ ენას მოხდენილი ასოები აქვს; **ბაცბიგო⌈ჰ⌉ ასუჲ ცო ჲათ ვაჲგო⌈ჰ⌉** – ბაცბებს (წოვათუშებს) ასოები არა აქვს; **ბუძნღეჼ ასუჲ ზორაჲში̂ ლამზურ ჲა** –ქართული ასოები ძალიან ლამაზია.

დ|ასტ|დ|ალარ d|asṭ|d|alar გრდუვ. непрх. intrans. გახსნა (გაიხსნება) открыться to open, to unbutton. **ე პეპელ დაჰ დასტლა სოგო** – ეს ღილი შეხსნება.

დ|ასტარ d|asṭar გრდმ. прх. trans. 1. გახსნა (გახსნის), გაღება открыть, раскрыть to open. **სო ვასო̂, სანი დასტ სოჼ!** – მე ვარ, კარ⌈ებ⌉ი გამოაღე! 2. დაბმული, მიბმული მდგომარეობიდან ახსნა (⌈ა⌉ხსნის) отвязать, отвязывать, развязывать to untie. **მიტროს ჲეთ ბასტიჼ** – მიტრომ ძროხა ახსნა; **ოჴუს დოკ დასტიჼ ოჴუჲნ** – მან გული გაუხსნა მას. 3. კუჭში გახსნა (გახსნის) расстроиться (о желудке) to have diarrhea. **დეღე დასტარ ხეცე̂ წარმარათ ვუნახი (¬უნახ⌈ში⌉) დაყრენ** – კუჭში გახსნა ⌈კუჭის აშლა⌉ იცის წარამარად რამეების ჭამამ. 4. გამოხსნა, დახსნა выручить, выручать, избавить to make sb free, to release. **ბიძის ვაშო̂ ციხერეჼ ვასტიჼ** – ბიძამ ძმა ციხიდან დაიხსნა.

დ|ასტინო̂ d|asṭinô მიმღ. прич. particip. ღია, გახსნილი, გარღვეული, დარღვეული раскрытый, открытый, распоротый ruptured, unpicked. **სანი დასტინო̂ დანორ** – კარ⌈ებ⌉ი ღია ყოფილიყო.

ჴეთ̥|დ|არ **qet̥|d|ar** გრდმ. прх. trans. აყენება (აყენებს) поднимать, заставлять вставать to make somebody to stand up; raising somebody. ჺურდეჼ ქიქოჸ ჴეთ̥დოს ბ̌დრი – დილას ადრე ვაყენებ ბავშვებს.

ჴეჲლსაჴოც, ჴილსაჴოც დდ **qejlsaqoc, qilsaqoc** dd ხელსახოცი салфетка napkin; handkerchief. ნაჩხ-მაჲჴი̂ ჴილსაჴოცეხ ჰარჩდებლეთ – ყველი-პური ხელსახოცში შეახვიეთ რა.

ჴეჲრʻლʻრიკ, ჴირʻლʻრიკ **qejrʻlʻriḳ, qirʻlʻriḳ** მშიშარა, მხდალი боязливый, трус coward; timid. ჴირʻლʻრიკ[ე]გო[ჰ] ჴერʻლʻრეხ სა ცო დალორ̂ – მშიშარას შიშისგან სული არ უდგას.

ჴეჲრჴვეჼ, ჴირჴვეჼ **qejrqvẽ, qirqvẽ** ხერხიანი, მოხერხებული искусный, ловкий, находчивый viable; flexible; skilful. ჴირჴვეჩოვ შარიჼ დახარ ჰათხ ეთჳოდრ̂ – მოხერხებული თავის ცხოვრებას წინ სწევს (აუმჯობესებს); ჴეჲრჴვეჩუჲშვ შუიჼ წენბუჲ ჴეჩო̄ხ ქიქოცხ თეგდიეჼ – მოხერხებულებმა თავიანთი სახლები სხვებზე ადრე გააკეთეს (ააშენეს).

ჴეჲრჴვივხ, ჴირჴვივხ **qejrqvivx, qirqvivx** უფრო მოხერხებული более ловкий more skilful; more flexible. აჴილო[ჰ] ცოკლეხ ჴირჴვივხ ცო̄მ და – ნადირებში მელიაზე მოხერხებული არაფერია.

ჴელ[1], ჴელ-წეს ბდ **qel[1], qel-ç̣es** bd წესი, ადათი, ჩვეულება обычай, нрав, привычка, правило custom; habit. ვასერ ჭეგრ̂ ბახქჩრ̂ დენი[ჰ] ქოჯრ̂ ჰაჴარ ჴელ ცო ბარ – კაცების ცხვარში წასვლის დღეს დაგვა წესი არ იყო; ყაჲნში ქატე̂, *ყონში თხე ჴელმაქ (ჴელევ) ცო დახევგინრ̂* – მოხუცები ჩივიან, *ახალგაზრდები ჩვენი წესებით აღარ ცხოვრობენო*; ჴელ ცო ბაჲცრ̂, ცოჰ კვირინეჰā ჲაღრას შუეჼ დეჭაჼ – წესი არაა აკი, თორემ კვირასაც მოვიდოდი თქვენთან საჩეჩად.

მოჰე ჴელ ბ|ა **moḫe qel b|a** – როგორც წესია как правило, по правилам as a rule.

ჴელკ ბ|აღლუჲ, აჼდრაზ?! **qelḳ b|aɣluj, ãdraz**?! განა წესია?! როგორ შეიძლება?! რა საოცრებაა! Что за диковина?! Уму непостижимо! Is that a rule? Is it possible? What a miracle!

ჴელ ბ|არ **qel b|ar** გრდმ. прх. trans. წესის, სამართლის ქმნა, განსჯა (განსჯის) творить правосудие, следовать обычаю, закону to make as a rule; to judge; to verdict. შაჲტლე[ჰ], საფიხნო[ჰ], ყაჲნრ̂ ფხი ჸაბახკერ ჴელ ბოშ – შატილში, საფიხვნოში, მოხუცი ხევსურები ისხდნენ და განსჯიდნენ (წყვეტდნენ საკითხებს თავიანთი ადათ-ჩვეულების მიხედვით).

ჴელ-წეს ბდ **qel-ç̣es** bd ადათ-წესი обычай customs. ჴელ-წეს ცო ბარ ჰათხეც ქუჲრთბარწინრ̂ ფსტუჲნრ̂ ჩურეჼ ნჭაჲცრ̂ ჲალʻარ – ადათ-წესი არ იყო წინათ თავშიშველი ქალის სახლიდან გასვლა.

ჴელ² ჲ **qel²** j სამართალი суд, правосудие law. საქმ ჴე̄ლ (ჴეჲლუ̂) ჲახჩე⌈ჳ⌉, ცო და მე̄ ას თოლდოს ოჴუხ – თუ საქმე სამართლიანად წავა, უთუოდ მე ვაჯობებ იმას; ჴელევ (ჴელუვ) წა სოჼ ხიტდიეჼ – სამართალმა სახლი მე მარგუნა.

ჴეჲლუ̂, ჴელუ̂ დ|ა̆ლʻარ (თელʻარ) **qejlû, qelû d|ăľar (teľar)** სამართალში მიცემა (მისცემს) преда⌈ва⌉ть суду handing over to justice. ჴეჲლუ̂ ვა̆ჲლʻჩედოლიჼ გაბო̂ შაწ ბედეჼ ცო ვაგინვა თხოჼ – სამართალში მიცემის მერე გაბო ორჯერ მეტად არ გვინახავს; ოჴუს ფსტუჲჼჩოჼ ჴე̄ლ ჲა̆ლʻარ დაკლევადიეჼ – მან დიაცის სამართალში მიცემა მოითხოვა; ო სტაკ ჴელუჲ ვა̆ლʻიჼ – ის კაცი სამართალში მისცეს.

ჴელ თეტარ (თიტარ) **qel teṭar (tiṭar)** განაჩენის გამოტანა (სამართლის კეთება ⌈ჭრა⌉) выносить приговор (чинить правосудие) to pass a verict; to pass a sentence.

ჴელ ჲ|ოლ̥არ (ჲ|ებლარ) **qel j|ol̥ar (j|eblar)** მსჯავრის დადება, დაწესება (დააწესებს) постановить, узаконить condemnation; conviction.

ჴელ ჲ|ებლუჲნი̂ **qel j|eblujnî** მსჯავრმდებელი, სამართლის დამწესებელი законодатель condemnatory.

ჴელ ხიტ|ჲ|არ (ხეტ|ჲ|არ) **qel xiṭ|j|ar (xeṭ|j|ar)** სამართლის გადაწყვეტა (გადაუწყვეტს), გადაჭრა учинить (учинять) правосудие to decide the law.

ჴელ ხიტ|ჲ|ალარ (ხეტ|ჲ|ალარ) **qel xiṭ|j|alar (xeṭ|j|alar)** გრდუვ. непрх. intrans. სამართლით გადაწყვეტა (⌈გადა⌉წყდება) совершиться (совершаться) (о правосудии) to decide legally. მოჳე ჴელ ხიტლაჲცი̂, უჲშტ ხილʻა̄ლ – როგორც სამართლით გადაწყდება, ისე იყოს!

ჴელხოვ ვბ **qelxov** vb სამართლის, წესის მქმნელი, მოსამართლე законник, судья judge. იხ. см. see ჴელ² **qel²**.

ჴელობ დდ **qelob** dd ხელობა ремесло, мастерство, профессия handicraft. ათასნაჲრეჼ ჴელბი და – ათასნაირი ხელობებია; ჳე ჴელბახ (ჴელბეხ) ცო̄მ თელʻე̂ – შენს ხელობას არაფერი სჯობს; სურეჼ ეჴ ჴელბევ ვახე̂ – სურენა ამ ხელობით ცხოვრობს.

ჴელ̥ო̂ **qel̥ô** ზმნს. нареч. adv. მერმისს, მომავალ წელს, გაისად в будущем году the following year; next year; in a year. ჴელ̥ო̂ ჷაჲრთვა̆ჼ ქანიზ ხილʻუ̂ თხე ბა̆დრი-

გო⌈ჰ⌉ – მერძისს ყურძენი ბლომად ექნებათ ჩვენს ბავშვებს; ჴელ̥ო̂ ქალიქ ლოს ცამდაჼ – მომავალ წელს ქალაქს წავალ სასწავლებლად.

ჴელ̥გეჷ **qel̥ge’** ზმნს. нареч. adv. გაისადლა, მომავალ წელსლა только (не раньше, чем) в будущем году only the following / next year.

ჴელ̥დოლიჼ **qel̥dolĩ** ზმნს. нареч. adv. გაისიდან, მომავალი წლიდან с будущего года from the following year. ჴელʻდოლიჼ ვაიჼ და̄ხარ ხარცლა – გაისიდან ჩვენი ცხოვრება შეიცვლება.

ჴელ̥ლომციჼ **qel̥lomcĩ** ზმნს. нареч. adv. გაისამდე, მომავალ წლამდე до будущего года until next year. ჴელ̥ლომციჼ დუჴ ვუმ (~უმ) ხარცლა – გაისამდე ბევრი რამ შეიცვლება.

ჴელ̥ოკ **qel̥oḳ** ზმნს. нареч. adv. მხოლოდ გაისად, მხოლოდ მომავალ წელს только в будущем году (не более) only the following / next year. ჴელოკ დივგეს იჴ ნაკვეთე სიმინდ – მხოლოდ მომავალ წელს დავთესავლა ამ ნაკვეთში სიმინდს.

ჴელ̥ო̄ ჲჲ **qel̥ō** jj გაისი, მერძისი, მომავალი წელი будущий год the following year; next year. შაქროს ალʻირ სოგო̂, ჴელ̥ო̂ ტარდ დაჰოს ჰონაჲნო̂, ეჰათდოლიჼ დუჴ ჴელ̥ო̄ ჲახენე̄, ტარდ მა̄ ცომიჩჰე̄ გუ – შაქრომ მითხრა, მერძის ბეჭედს მოგიტანო, იმის შემდეგ ბევრი მერძისი გავიდა ⌈და⌉, ბეჭედი კი არსად ჩანს; ჴელო̄ მოლუჼკ ჲალლოთ ვაჲნი̂? – მომავალი წელი როგორი მოგვივა, ნეტავი?

ჴემწიფე̂ **qemçipê** ხელმწიფე царь king. ცჰაჲნი̂ ჰემწიფეგო⌈ჰ⌉ ჴო კნათ ლევვორალო̂ – ერთ ხელმწიფეს სამი ვაჟიშვილი ჰყოლოდა; ოჴ ჴემწიფეს ნახ მაცუხ დავდორ – ის ხელმწიფე ხალხს შიშშილით ხოცავდა.

ჴენაჷ **qena’** სხვა, შემდეგი другой, следующий next; another; the following. ბაბოს ჴენაჷ თექ დოფხიჼ – პაპამ სხვა თექა ჩაიცვა; ნეფე̂ ჴეჩო̂ ოთხი ვახნორ – ნეფე სხვა ოთახში გასულიყო; დადვაშო̂ ჴეჩო̂ დოხევ ვეჷნორ – ბიძა (მამის ძმა) სხვა ცხენით მოსულიყო; ის ჴეჩოვ ალʻიჼ სოგო̂ – ეგ სხვამ მითხრა.

ჴენა̄, ჴენო̄ ჲ **qenā, qenō** j მერძისი, მომავალი დრო будущее future time (არსებითი სახელის მნიშვნელობით в значении существительного having the meaning of a noun). ჰალ თაგდუჲნი̂ ჰათეჷ ჰალ დეწე თაგდაჼ, ჴენო̄ ცო ჲეწე სტეხაჼ – გასაკეთებელი მაშინვე უნდა გააკეთო, მერეს არ უნდა უცადო. შდრ. ср. comp. ჴეჼ **qẽ**.

ქენი **qeni** სხვები другие others. ას ქენი სტეხორ ჭაშელ – მე სხვებს ველოდი სტუმრად. შდრ. ср. comp. ქენაჸ **qena’**.

ქენ-ქენაჸ **qen-qena’** სხვადასხვა[ნაირი], ნაირნაირი разный, разнообразный various. ქენ-ქენაჸ ნაყბისტი იხრ̂ თხო̃ – სხვადასხვა ამხანაგი მოგვდის; კატოს, მელ’ დე დალრ̂, ქენ-ქენაჸ კაბ ჲეფხრ̂ – კატო ყოველდღე ნაირნაირ კაბას იცვამს. იხ. см. see ქეჩ-ქეჩნაირ **qeč-qečnair**.

ქე̃ **qẽ** ზმნს. нареч. adv. მერე, შემდეგ после, потом later, then; afterwards. იცხუჲ̃ ამბუჲ ქე̃ ჲებათ სოგრ̂ – მაგაზე (მაგის ამბავი) მერე მელაპარაკეთ!

ქე̃გე′, ქენო′ **qẽge′, qeno′** 1. -გე -**ge** ნაწილაკდართული ზმნისართი ქე̃ **qẽ** наречие ქე̃ **qẽ** с частицей -გე -**ge** ქე̃ **qẽ** particle adding adverb -გე -**ge**. 2. მერე რა, არაფერია, არა უშავს ну и что, что ж такое, большое дело that’s ok, that’s nothing, what if; what’s wrong. ქე̃გე′, მე̄ კინო̄ხ ვაჲხნას ჭოწ̃ – მერე რა, რომ კინოში წავედი უშენოდ! ქე̄ნო′, იცხუჲ̃დალჲა მა ჭაჲჭუ დაკ – არაფერია, მაგის გულისთვის ნუ დადარდიანდები. იხ. см. see ქე̃ **qẽ**.

ქე̃გეჸ **qẽge’** ზმნს. нареч. adv. -გეჸ -**ge’** ნაწილაკდართული ზმნისართი ქე̃ **qẽ** наречие ქე̃ **qẽ** с частицей -გეჸ -**ge’** adverb appending the particle. -გეჸ -**ge’** ქე̃ **qẽ**. შემდეგღა, მერეღა только потом, лишь потом and later on. დოშ ლიბა̄ თხო̃, მე̄ გო̃ლიშ ხილ‘ა[ჭ], ქე̃გეჸ დაჭოს ჭო̃ კამფეტკი – სიტყვა მოგვეცი, რომ ჭკვიანად იქნები და მერეღა მოგიტან კანფეტებს.

ქე̃გეჸლუ̃ **qẽnge’lũ** შემდეგი, შემდგომი, მერმინდელი [по]следующий the following; next; later. ჩუ თუჲჭვისლომცი̃ ხაწერ სო̃ ოკრი̃ ბუჭი̄, ქე̃გეჸლუ̃ ამბუჲ ცო ხაწე̃გე̂ სო̃

– დაძინებამდე მესმოდა მათი ჩხუბი და შემდგომი ამბები აღარ გამიგონია.

ქე̃კაჸ **qẽḳa’** ზმნს. нареч. adv. ცოტა შემდეგ, ცოტა მერე немного погодя a bit later. ბაგრატუჲგო[ჭ] ხა̃ ცო ჲა, ქე̃კაჸ ვოლალე̂ – ბაგრატოს არ სცალია, ცოტა მერე მოდი რა! ბუთ̨ ქე̃კაჸ ბაჲლ‘უ̂ – მთვარე ცოტა მერე ამოვა; ქე̃კაჸ დაკდოჸდებათ იცხუჲნი̂ ჟაგნრ̂ – ცოტა მერე მოაგონეთ მაგას წიგნი!

ქეობ დდ **qeob** dd ხეობა ущелье ravine, gorge. წითლოვანაჲ̃ ქეობ ლამზურ და, მა̄ საშიშა̄ ზორაჲში̂ და – წითლოვანის ხეობა ლამაზია, მაგრამ ძალიან საშიშიცაა.

ჴეპტარ (ჴაპტარ) **qepṭar** (**qapṭar**) გრდუვ. непрх. intrans. წვდომა (სწვდება) протягивать, доставать to reach. ჴერეგო̂ ჴეპტეს – ქვას ვწვდები.

ჴეპტ|დ|არ (ჴაპტ|დ|არ) **qepṭ|d|ar** (**qapṭ|d|ar**) გრდმ. прх. trans. მიწოდება (⌈მი⌉აწოდებს) подавать to pass on; to hand on. ლაზიჩო̂ სტაკოვ ნაყბისტენ ტოტ ჴეპტოდო̂ – კარგი კაცი მეგობარს ხელს უწვდის.

ჴერ ბდ **qer** bd ქვა камень stone. ხიჼცერე ჴერბი დატერ – წყლის პირას ქვები ეყარა; ჴერეჼ (ჴერაჲჼ) ციხ თაგ ჲინორ ბა̆დრივ – ქვის ციხე აეშენებინათ (გაეკეთებინათ) ბავშვებს; ჸაჲპკი̂ ჴერეხ (ჴერახ) ჭძალუვხ და – რკინა ქვაზე მაგარია; ელანე̂ ჴერაჲლ ჲირწნო̄, ცო̄მ ალ‘ითმაკიჼ – ელენე ქვად ქცეულა და ვერაფერი ათქმევინეს.

ჴერ ჴოწ|ბ|ალარ (ჴებწ|ბ|ალარ) **qer qoç|b|alar** (**qebç|b|alar**) გრდუვ. непрх. intrans. ხარშვის დაგვიანება (⌈და⌉იგვიანებს), ხარშვის ცუდი მიმდინარეობა задержка при кипении boiling process be late. ჴერ ჴოწბალიჼ დითხოხ – ქვა დაეკიდა ხორცს (ცუდად იხარშება).

ჴერბა̄ლეჼ **qerbālẽ** ქვიანი каменистый stony. ჴერბა̄ლეჩო̂ ფერდოხ დაჟერ გაზარ – ქვ⌈ებ⌉იან ფერდობზე ძოვდნენ თხები.

ჴერბილო̄ ჲჲ **qerbilō** jj ქვიანი ადგილი, სივრცე каменистое место, пространство stony place, space. ოსი ჴერბილო̄ ჲა, ქოკი ლაწჲუჲში̂ – იქ ქვიანი ადგილია, ფეხებს იტკენთ!

ჴერწარ (ჴარწარ) **qerçar** (**qarçar**) გრდმ. прх. trans. ⌈მო⌉ხალვა (⌈მო⌉ხალავს) поджари⌈ва⌉ть (кукурузу, ячмень...) roasting (will roast). მაჲკოს ყავ ჴერწო̂ – მაიკო ყავას ხალავს.

ჴერწ|დ|ალარ: ჩუღა̄ ჴერწ|დ|ალარ (ჴარწ|დ|ალარ) **qerç|d|alar**: **čuγā qerç|d|alar** (**qarç|d|alar**) გრდუვ. непрх. intrans. დარევა (დაერევა), ჩხუბი драка, скандал argument, fight. დოკ დეყენო̂ ფილიპე̂ ჩუღა̄ ჴერწვალიჼ ფსტუ-ბა̆დრენ – გაბრაზებული ფილიპე ცოლ-შვილს დაერია.

ჴერწ|დ|არ (ჴარწ|დ|არ) **qerç|d|ar** (**qarç|d|ar**) გრდმ. прх. trans. გავლება (⌈გა⌉ავლებს), ამოვლება сполоснуть rinsing in smth. ქაჲრცხი̂ ლილელო⌈ჳ⌉ ჴერწდა̆ჼლათერ – სარეცხს ლილაში ავლებდნენ ხოლმე; ოჴუს დისტე⌈ჳ⌉ ხი ჴერწოდო̂ – ის პირში წყალს ივლებს.

ჴერჴ ჲჲ **qerq** jj ხერხი способ, уловка, ухищрение, приём method; means. გაბოს მატნოვ ჴერჴევ (ჴერჴუვ) ვოჷვინორ – გაბოს მატნელი ხერხით წაექცია; შაჲრი̂ ჴელბჷ̃ ჴერჴი ვუმაჸ (¯უმაჸ) ჲეწჷ̂ სტაკონ ჴეთა̃ – თავისი ხელობის ყველა ხერხი უნდა იცოდეს კაცმა.

ჴერჴბა|დ|არ (მოჴერჴება|დ|არ) **qerqba|d|ar (moqerqeba|d|ar)** გრდმ. прх. trans. 1. მოხერხება (⌈მო⌉ახერხებს) ⌈с⌉мастерить, ⌈с⌉делать ловко to manage; be able to (will manage). ვუმაჸ (¯უმაჸ) ჴერჴბადო ეჴ სტაკოვ – ყველაფერს ახერხებს ეს კაცი. 2. გადატ. перен. fig. მოწყობა (აწყობს), დაბინავება устраивать (кого-л.) to settle; to arrange; housing. თამარ̂ ლაზიჩი̂ (ლაზეჲჩი̂) ოჯხი ჴერჴბადჲოთხ – თამარს კარგ ოჯახში ვაბინავებთ (ვათხოვებთ).

ჴერჴბა|დ|უჲნი̂ **qerqba|d|ujnî** მიმღ. прич. particip. მომხერხებელი, მოხერხებული ловкий, умелый skilful, cunning. ვუმაჸ (¯უმაჸ) ჴერჴბადუჲნი̂ სტაკ ვა ე ბიგრ̂, ლეჸე⌈ჰ⌉ წული აბრ̂, აგურ თეტითრ̂, წა თეგდითრ̂, ლეჸე⌈ჰ⌉ მა ახ-დივრ̂, დოს ქჰექოდრ̂, ჷე̄-ჴარშა̄ დარსტოდრ̂ – ყველაფერში მოხერხებული კაცია ეს გიგო, გინდა წალებს კერავს, აგურს აჭრევინებს, სახლს აკეთებინებს (აშენებინებს), გინდა ხნავს, თესავს, შეშას ამზადებს, ცხვარსა და ღორს ასუქებს.

ჴერჴვჷ̃, ჴირჴვჷ̃ **qerqvē̃, qirqvē̃** ხერხიანი, მოხერხებული ловкий skilful; cunning.

ჴერჴვეჲში̂ (ჴერჴვი̄ში̂) **qerqvejšî (qerqvīšî)** ზმნს. нареч. adv. მოხერხებულად, ოსტატურად умело, ловко, мастерски skilfully. ჴერჴვეჲში̂ (ჴერჴვი̄ში̂) ქო ჴაწდიჩე⌈ჰ⌉, ვუნელეჸ (¯უნელეჸ) საქმ ატაჲში̂ თეგლა – მოხერხებულად თუ მოჰკიდებენ ხელს, ნებისმიერი საქმე ადვილად კეთდება.

ჴერლ‘არ (ჴერლ‘ა̃|დ|ოლარ) **qer‘l‘ar (qer‘l‘ã|d|olar)** გრდუვ. непрх. intrans. შიში (ეშინია), შეშინება (შეეშინდება) бояться, испугаться fear (is afraid of), to frighten (will be frightened). ო ზორაჲში̂ ჴირლ‘ი̂ აჴეხ – მას ძალიან ეშინია ნადირისა; ო მამალ ცოკლეხ ჴირლ‘დანორ – იმ მამალს მელიისა შინებოდა; კნათ ფჰარახ ჴერლ‘ა̃ვოლი̃ – ბიჭს ძაღლისა შეეშინდა.

ჴერლ‘|დ|არ **qer‘l‘|d|ar** გრდმ. прх. trans. შეშინება (⌈შე⌉აშინებს) стращать, пугать to frighten someone. აჴევ ფჰუ ჴერლ‘ბობანორ – ნადირი ძაღლს აშინებდა თურმე; უჩნახ სტენაჩხოვ ჴერლ‘ჲიჷ̃სრ̂ – სიბნელეში რაღაცამ შემაშინა.

ჴერ́ლ‘ილა̄ დდ **qerlʻilā** dd საშიშროება, საშიში დრო და ადგილი опасность, опасное время и место danger, dangerous / unsafe time and place. უჴ ჴერ́ლ‘ილაჲხ დაჳ თილ‘ე’ნეთხ, ჴქჼგეჸ ჲალ‘ქჼ თოფ – იმ საშიშ ადგილს რომ გავცდით, მერელა გავარდა თოფი; ესე⌈ჳ⌉ ყუა̄ხ ჴერ́ლ‘ილა̄ ცო და – აქ ქურდების საშიშროება არ არის.

ჴერ́ლ‘ომ ბდ **qerʻlʻom** bd შიში, შიშიანობა, საშიშროება страх, опасность fear; danger. ჴერ́ლ‘ში დაშ, თარბი ჵირდიენო̂ დეწე̂ ხილ‘ჼ – როცა შიშიანობაა, ხმლები გალესილი უნდა იყოს; ჴერ́ლ‘ომ მა ბათ, შუჼ ჟაგნო̂ დაჳ ჴეთდოს დადინ – შიში ნუ გაქვთ, თქვენს წიგნს გადავცემ პატრონს; წოვათა⌈ჳ⌉ (წოვათე⌈ჳ⌉) ჴერ́ლ‘ომ თასბაჲლჩე⌈ჳ⌉ ქუდეხ სტაკ ბუჳეხ იხორ – როცა წოვათაში შიშიანობა ჩამოვარდებოდა, ქუდზე კაცი ომში მიდიოდა.

ჴერ́ლ‘რიკ, ჴეჲრ́ლ‘რიკ, ჴირ́ლ‘რიკ **qerʻlʻriḳ, qejrʻlʻriḳ, qirʻlʻriḳ** მშიშარა, მხდალი боязливый, робкий, трус coward. ჴერ́ლ‘რიკ სტაკ ჯაგეხა ჴირ́ლ‘ი̂ – მშიშარა კაცს ჯაგისაც ეშინია.

ჴერ́ლ‘ჴაქ|დ|არ **qerʻlʻqak|d|ar** გრდმ. прх. trans. გარკვეული ხარისხით დაშინება (დააშინებს), დატუქსვა припугнуть; побранить to scold; to frighten. სტაჸხკუ̂ ყაჩლუჲვ ჴერ́ლ‘ჴაქვიჩე⌈ჳ⌉დოლჼ მათე̂ ჳუჼლო̂ ცო იხოგე̂ – შარშან ყაჩაღების მიერ დაშინების მერე მათე ტყეში აღარ დადის.

ჴერ́ლ‘ჴაქ|დ|იენო̂ **qerʻlʻqak|d|ienô** მიმღ. прич. particip. გარკვეული ხარისხით დაშინებული, დატუქსული припугнутый frightened; scolded. ჴერ́ლ‘ჴაქდიენო̂ ბა̈დერ ხილო⌈ჳ⌉ ცო დით̣ლაგერ – დატუქსული ბავშვი მდინარეში აღარ ბანაობდა.

ჴესტარ (ჴასტარ)^{1} **qesṭar (qasṭar)**^{1} გრდუვ. непрх. intrans. შემოვლა (⌈შე⌉მოივლის, ⌈შე⌉მოუვლის) обходить, объезжать кого-л. (что-л.) drop in; go round.

ჴესტარ (ჴასტარ)^{2} **qesṭar (qasṭar)**^{2} გრდუვ. непрх. intrans. პირუტყვის შეწყვილება (⌈შე⌉წყვილდება), დანერბვა, დაგრილება спариваться, случаться (о животных) mating an animal. ვაჼ ჲეთ̣ ჼცა̄ხ ბეწეგე̂ ჴესტჼ – ჩვენი ფური ამ დღეებში უნდა დაგრილდეს.

ჴესტ|დ|არ (ჴასტ|დ|არ)^{1} **qesṭ|d|ar (qasṭ|d|ar)**^{1} გრდმ. იხ. прх. см. trans. see ჴესტარ^{1} **qesṭar**^{1}. ღუჴ ქვეყანაჲში̂ ჴესტჲინორ ივნეს, მა̄ შაჲრჩუ⌈ჳ⌉გეჸ დაჳ თივნორ – ბევრი ქვეყანა შემოევლო ივანეს, მაგრამ თავის სახლშიღა დაესვენა.

ჴესტ|დ|არ (ჴასტ|დ|არ)² **qesṭ|d|ar (qasṭ|d|ar)²** გრდმ. прх. trans. პირუტყვის შეწყვილება (შეაწყვილებს), დანერბვა, დამაკება спаривать, случать (о животных) mating animals. აგას ნახირო̂ კოლექტივ ბულენ ბიკორ ჴესტბა̃ – ბებიას ნახირო (ფურის სახელი) კოლექტივის ბულასთან მიჰყავდა დასაგრილებლად; უსთხუჲ ჟე შირქიგუჲ[ჳ] დოტუშ ჴესტდა̃ლათე̂ – დედა ცხვრებს ცხვრის შირაქისკენ წასვლისას აგრილებენ.

ჴეტ ჲჲ **qeṭ** jj ნიჩაბი лопатка (для выгребания мусора, навоза) spade. გუჲმრელქ̃ ლახ ჴეტევ ჴეჳო̂ ნჭაჲცი̂ – გომურიდან ნეხვს ნიჩბით ხვეტენ გარეთ; ჴეტგო[ჳ] ჲახქ̃ ჰიკ ჲაჲწჟ̂ – ნიჩაბს გრძელი ტარი აქვს.

ჴეტბა|დ|ალარ **qeṭba|d|alar** გრდუვ. непрх. intrans. ხეტება (დაეხეტება) бродить wandering. მაცლომცი̃კ ჴეტბალალო̂ უსაქმოთ ე თივდორ? – როდემდე დაეხეტება, ნეტავი, უსაქმოდ ეს თევდორე?

ჴეტსა̃ **qeṭsã** მოუქნელი (ადამიანი) неуклюжий, неловкий, неповоротливый (о человеке) clumsy (person). ჴეტსა̃, ნიფსაჲნგეც სტაკ ვა მოსე̂ – მოუქნელი, ზედმეტად პირდაპირი კაცია მოსე.

ჴეფს|დ|ალარ (ჴას|დ|ალარ) **qeps|d|alar (qas|d|alar)** მრ. გრდუვ. мн. непрх. pl. intrans. ხტომა (ხტიან) подпрыгивать, прыгать jumping. ფეშკრი ლაჴიშ ჴეფსოლო̂ – ბალღები მაღლა ხტიან.

ჴეფსარ¹ (ჴასარ) **qepsar¹ (qasar)** მრ. გრდმ. мн. прх. pl. trans. [გა][და]ყრა ([გა][და]ყრის) бросать, разбрасывать, раскидывать dropping; feeding grain to birds. ლუხმეს ჴაჴაჲრჩნ სიმი̃დ ჴეფსო̂ – ლუხუმი მტრედებს სიმინდს უყრის.

ჴეფსარ² (ჴასარ) **qepsar² (qasar)** გრდმ. прх. trans. პირის ღებინება (აღებინებს), რწყევა рвать, извергать содержимое желудка через рот vomiting.

ჴეფსარ³ (ჴოსარ) **qepsar³ (qosar)** გრდმ. прх. trans. სროლა ([გა]ისვრის) стрелять shoot. მონაჲდრევ დატი̃ჩო̂ ჯეჲრნენ თოფ ჴეფსო̂ – მონადირე გაქცეულ ჯეირანს თოფს ესვრის.

ჴეფსარ⁴ (ჴაფსარ) **qepsar⁴ (qapsar)** გრდმ. прх. trans. ფხანა (მო[ი]ფხანს) чесать itching. ჴაინ სუკა̄ხ ჴეფსოს – ღორს ზურგზე ვფხან.

ჴეფსითარ¹ (ჴასითარ) **qepsitar¹ (qasitar)** გრდმ. მრ. прх. мн. trans. pl. [გადა]ყრევინება ([გადა]აყრევინებს) заставить бросать, бросить (разбрасывать, раскидывать) to make drop; feeding. ნანას ჴაჴაჲრჩნ სიმიჼდ ჴეფსითჵ ფეშკრეგჵ – დედა მტრედებისთვის სიმინდს აყრევინებს ბალღს.

ჴეფსითარ^{2} (ჴასითარ) **qepsitar**^{2} (**qasitar**) გრდმ. прх. trans. პირის ღებინება (აღებინებს) заставлять (заставить) рвать, извергать содержимое желудка через рот vomiting. სკოლრჷჼ დეჸქჼჩჵ სიცხო̄რეჩჵ ბა̂დრეგჵ შაწ ჴეფსითჷჼ ფშელდარევ – სკოლიდან მოსულ სიცხიან ბავშვს ორჯერ აღებინა გაციებამ.

ჴეფსითარ^{3} (ჴოსითარ) **qepsitar**^{3} (**qositar**) გრდმ. прх. trans. გასროლინება ([გა]ასროლინებს) заставить (заставить) стрелять to make shoot. ბაბოს ნიშჼ დოლო'ერ, თოფ ჴეფსითორ თხოგჵ – პაპა ნიშანს დასვამდა და თოფს გვასროლინებდა; მონაჲდრევ დატჼჩჵ ჯეჲრნენ თოფ ჴეფსითორ სოგჵ – მონადირე გაქცეული ჯეირანისთვის თოფს მასროლინებდა.

ჴეფსითარ^{4} (ჴაფსითარ) **qepsitar**^{4} (**qapsitar**) გრდმ. прх. trans. [მო]ფხანინება ([მო]აფხანინებს) заставить чесать to make itch. ჴაივ სუკა̄ხ ჴეფსითჵ სოგჵ – ლორი ზურგზე მაფხანინებს.

ჴექარ (დ|ექარ) **qekar** (**d|ekar**) გრდუვ. непрх. intrans. ძახილი (დაუძახებს, ეძახის), [მო]ხმობა [по]звать calling out. გზირ ლუდახ ნახგჵ შეყრახ ჴექირ – გზირი წელან ხალხს ყრილობაზე უხმობდა; ცჰ̂ა მენახ ჴიქი̂ ჰ̂ე ფსტუნაგჵ – ვიღაც ეძახის შენს ცოლს.

ჴექ|დ|არ **qek|d|ar** გრდმ. прх. trans. ქადილი (უქადის, მოასწავებს) предвещать, сулить bodes; portends. ჰ̂ანნ ხეჸე̂, ჴაჼლუჩჵ ღენივ ვუხ (-უხ) ჴექოდჵ ვაჲნი̂ – ვინ იცის, ხვალინდელი დღე რას გვიქადის.

ჴეჩბერ **qečber** ზმნს. нареч. adv. სხვა მხრივ, სხვაგვარად, ძირითადად в остальном, в основном otherwise, differently, mainly. იფსი ვომაჸ (-ომაჸ) ხეჸ სოჼ, ჴეჩბერ მოჰ̂ დაჲშუ̂? – ეგ[ენი] ყველაფერი ვიცი, სხვა მხრივ როგორა ხართ?

ჴეჩდაყე[ჰ̂] **qečdaq̣e[ḩ]** სხვის მაგიერ, ნაცვლად, ბადლად, სხვისა წილ вместо другого instead of. თხა ბესოს ჴეჩდაყე[ჰ̂] ლერკჵ ჟე – დღეს ბესო სხვის მაგიერ პარსავს ცხვარს. იხ. см. see ჴენაჸ **qena'**.

ჴეჩნაირ, ჴეჩნაჲრეჼ **qečnair, qečnajrẽ** სხვანაირი, სხვაგვარი иной, другой, не такой different. ჴეჩნაჲრეჼ დოშ-პასუხ და ივრმეგო – სხვანაირი სიტყვა-პასუხი აქვს იორამს.

ჴეჩნაჲრათ **qečnajrat** ზმნს. нареч. adv. 1. სხვანაირად, სხვაგვარად по-другому, по-иному, не так differently, in another way. ე ფეშკრევ ჴეჩნაჲრათ დო ვუნახი (-უნახი) – ეს ბალღი სხვანაირად შვრება რაღაცას. 2. ძალიან, ძალზე, მოუთმენლად очень, с нетерпением very impatiently. ჴეჩნაჲრათ სტეხოს წელტჼ დე – ძალიან ველოდები ახალი წლის დღეს.

ჴეჩოჼ **qečõ** სხვისი другого, чужой somebody else's. ე ფალაზ თხეჼ ბაე̄, ო მე̄ ჴეჩოჼ – ეს ფარდაგი ჩვენია და ის ⌈კი⌉ სხვისი; სჷგრ ჴეჩოჼ დახნ იხრ სოჼ – ეზოში სხვ⌈ებ⌉ის საქონელი მომდის. შდრ. ср. comp. ჴენაჸ **qena'**.

ჴეჩუჲჰ **qečujḥ** ზმნს. нареч. adv. სხვაგან в другом месте somewhere else; in another place.

ჴეჩუჲჰრეჼ **qečujḥrẽ** უცხო, სხვა მხრიდან; უცხო მხრისა с другой стороны (с чужбины) from the strange side; stranger-belonging the other place. ჴეჩუჲჰრეჼდა⌈ჰ⌉ ხაწდიეჼ ოჴარნ ის – სხვა მხრიდან გააგონეს მათ ეგ; ე ბაცავ ცო ვა, ჴეჩუჲჰრეჼ გუ – ეს თუში არ არის, უცხო ჩანს.

ჴეჩღეშ **qečγeš** ზმნს. нареч. adv. სხვაგვარად, სხვისებრ по-иному, по-другому, иначе differently; in another way. ჴეჩღეშ ბო ბაბლეს მოჴ – სხვისებურად, სხვის მიბაძვით მღერის ბაბალე; ჴეჩღეშ ე საქმ ცო თაგლა! – სხვაგვარად ეს საქმე არ გაკეთდება!

ჴეჩ-ჴეჩნაირ **qeč-qečnair** სხვადასხვანაირი разные different; various. მიჼდრე ჴეჩ-ჴეჩნაირ ბუბკი დარ – მინდორში სხვადასხვანაირი ყვავილები იყო. იხ. см. see ჴენ-ჴენაჸ **qen-qena'**.

ჴეხკარ^{1} (ჴოხკარ) **qexḳar**^{1} **(qoxḳar)** მრ. იხ. мн. см. pl. see ჴებწარ **qebçar**. ვარბინ ცუჼ ხაკი ჴეხკოთხ – ვირებს ქუმლის (ქუმლიან) ტომრებს ვკიდებთ.

ჴეხკარ^{2} **qexḳar**^{2} გრდუვ. непрх. intrans. ⌈მო⌉ხარშვა (⌈მო⌉იხარშება) ⌈с⌉вариться to boil (will be boiled). ხიჼკლი საჷბგეჸ ჴიხკნო'ერ, დაჲ ეტნორ – ხინკლებს ზედმეტად ეხარშა და დამსკდარიყო; ესე⌈ჰ⌉ ლებივ ჴეხკე̂ – აქ ლობიო იხარშება.

ჴეხკენო̂ **qexḳenô** მიმღ. прич. particip. მოხარშული варёный boiled. ჴეხკენო̂ სიმიჼდ ჩამლოჼ და – მოხარშული სიმინდი გემრიელია.

ჴეხკარ^{3} (ჴოლ̥არ) **qexḳar**^{3} **(qol̥ar)** მრ. იხ. мн. см. pl. see ჴებლარ **qeblar**. ათხ ქადბი ჴეხკოთხ – ჩვენ ქუდებს ვიხურავთ.

ჴეხკ|დ|არ¹ **qexḳ|d|ar**¹ გრდმ. прх. trans. ⌈მო⌉ხარშვა (⌈მო⌉ხარშავს) ⌈с⌉варить to boil smth (will boil). ჩა̆ჼ დითხ ჴეხკდორალო̂ დაჴუჲჩო̂ ჰერწნი⌈ჱ⌉ – თურმე დათვის ხორცს ხარშავდნენ დიდ ქვაბში.

ჴეხკ|დ|არ² (ჴოხკ|დ|არ) **qexḳ|d|ar**² (**qoxḳ|d|ar**) მრ. გრდმ. იხ. мн. прх. см. pl. trans. see ჴებწ|დ|არ **qebc̣|d|ar**. სე აგას ფალზი ჴშიროშ ჴეხკდორ მათხმაქ – ბებიაჩემი ფარდაგებს ხშირად ჰკიდებდა მზეზე (ამზეურებდა).

ჴეხკ|დ|არი დ **qexḳ|d|ari** d მრ. мн. pl. საჭმლის ხარშვა, მზადება, სამზარეულო საქმიანობა, მზარეულობა поварское дело cooking. ჴეხკდარა̄ხ მაჲრამ ქალქი⌈ჱ⌉გეჸ დაკჲალ‘ეჼ – მზარეულობას მარიამმა ქალაქშიღა მიაქცია ყურადღება.

ჴეჴერ ბდ **qeqer** bd საწოვარა соска baby’s dummy. ჴეჴრეხ ბა̆დერ ჳამდარ ცოლალად – საწოვარაზე ბავშვის მიჩვევა არ ვარგა.

ჴეჱარ **qeḩar** გრდმ. прх. trans. ზიდვა (ზიდავს) таскать, ⌈пере⌉носить to carry. ჳალოუჲნი̂ დოს ხკოლხეჸ (ხკოლიხაჸ) დეწე̂ ჴეჱჼ – ზამთრისთვის შეშა ზაფხულშივე უნდა იქნეს მოზიდული; ჴჼ ჴეჱოთხ ფუჩეჩ – ხვალ მოვზიდავთ ფუჩეჩს.

ჴეჱითარ **qeḩitar** გრდმ. прх. trans. ზიდვინება (აზიდვინებს) заставить таскать to make someone carry smth. მიხოს კოტეგო̂ დოს ჩუ ჴეჱითიეჼ – მიხომ კოტეს შეშა შინ შეაზიდვინა.

ჴეჱინო̂ **qeḩinô** მიმღ. прич. particip. მოზიდული, გაზიდული, გადაზიდული унесённый, принесённый, перенесённый fetched, carried off, transported. შალოს ჴეჱინო̂ ჲოლ ჲა ე – შალოს ⌈მიერ⌉ მოზიდული თივაა ეს.

ჴეჸარ (ჴაჸარ) **qe’ar** (**qa’ar**) გრდუვ. непрх. intrans. 1. დაწევა (⌈და⌉ეწევა) догонять, догнать to catch up with; ფეჱუ ფხაკლეხ ჴეჸირ – ძაღლი კურდღელს ეწეოდა. 2. მოხვედრა (⌈მო⌉ხვდება, ფიზიკურად შეეხება) попадать, коснуться to hit (to touch physically). ჴოსინო̂ ჴერ ლაჱენ ნიფს ქორთიხ ჴეჸირ – გასროლილი (ნასროლი) ქვა გველს ზუსტად თავში ხვდებოდა. 3. მოწევა (იწევა), შემოსვლა (შემოდის), დამწიფება поспевать, созревать ripening. თხეჼ სხალ ქიქოჸ ჴიჸი̂ – ჩვენი მსხალი ადრე მწიფდება. 4. გადადება (⌈გადა⌉ედება), შეყრა (შეეყრება) заражаться infect. ქიქოჸ ლაწრი ატაჲში̂ ჴეჸირ ნახახ – წინათ ავადმყოფობები ადვილად გადაედებოდა ხოლმე ხალხს.

ჴეჸ|დ|არ (ჴაჸ|დ|არ) **qe’|d|ar** (**qa’|d|ar**) გრდმ. прх. trans. 1. დაწევა (⌈და⌉აწევს) заставлять догнать to catch up with. 2. მოხვედრება (⌈მო⌉ახვედრებს) ударить to hit. ჴოსინრ̂ ჴერ ლაჰენ ნიფს ქორთიხ ჴეჸბოს – გასროლილ ქვას გველს ზუსტად თავში ვახვედრებ. 3. გადადება (⌈გადა⌉სდებს), შეყრა (შეჰყრის) заражать to infect. ილოს ბჭა გრიპ ჴეჸოჲრ̂ სოხ – ილო მუდამ გრიპს გადამდებს ხოლმე.

ჴეჸინი̂ **qe'inî** მიმღ. прич. particip. 1. დამწევი, ის, ვინც ⌈და⌉ეწევა догоняющий be able to catch up. სოხ ჴეჸინი̂ სტაკ ცო ვა – ჩემი დამწევი (მე რომ დამეწიოს, ისეთი) კაცი არ არის. 2. გადამდები заразный infectious; contagious. ყოილ ჴეჸინი̂ ლაწარ და – ყვავილი გადამდები სნეულებაა; ჴეჸიჩრ̂ ლაწრა̄ხიჼ რიდბად-ვალაჼვეწე⌈ჰ⌉ – გადამდებ სნეულებებს უნდა ერიდო.

ჴეთ̡|დ|ალარ (ჴოთ̡|დ|ალარ) **qet̡|d|alar (qot̡|d|alar)** გრდუვ. непрх. intrans. მოსხმა (მოესხმება) раскрываться, покрыться (о листьях...) setting, flourish. დოჰა̄ ჲა, ჰუნახა̄ ფოთოლ ჴოთ̡დალიჼ – გაზაფხულია, ტყესაც ფოთოლი მოესხა.

ჴე̆თ̡|დ|არ (ჴათ̡|დ|არ) **qĕt̡|d|ar (qat̡|d|ar)** გრდმ. прх. trans. მიკვრა (⌈მი⌉აკრავს), რჩილვა приклеивать, паять fixing, attaching. კედლოხ სურთი ჴე̆თ̡ჲორ ბაკალ-ლარ მაგდნეს – კედლებზე სურათებს აკრავდა ბაკალიანთ მაგდა; გიოს კალევ ჰერწნიხ ქოლთ ჴე̆თ̡ოდრ̂ – გიო კალით ქვაბს სახელურს აკრავს.

ჴილსახოც დდ **qilsaxoc** dd ხელსახოცი; ცხვირსახოცი полотенце; платок napkin; handkerchief. ოჴუს ტატჷჼ ტოტი ჴელსახოცევ წემოჲრ̂ – ის სველ ხელებს ხელსახოცით იწმენდს; ბუჲბლენა̄ აგას ჴილსახოცეხ ჰარჩდიენრ̂ თხილ, კაკალ, ჩურჩხლაჸუჲ ჴეჰაჼლათერ თხოჼ – ბობლიანთ ბებიას ხელსახოცში გახვეული თხილი, კაკალი, ჩურჩხელები მოჰქონდა ხოლმე ჩვენთან (ჩვენთვის).

ჴილ̡არ **qil̡ar** გრდუვ. непрх. intrans. 1. გაჩხერა (⌈გა⌉იჩხირება), გაჭედვა застревать, застрять to be jamed, sticked. კოტინ ძოლ ჭყემპოხ ჴილ̡ჷჼ – კატას ძვალი ყელში გაეჩხირა. 2. გაჩერება ენისა (⌈გა⌉ჩერდება), ჩავარდნა ენისა, მეტყველების უნარის დაკარგვა, დამუნჯება останавливаться (о языке, речи), потерять способность речи, онеметь to become dumb, to loose the ability of speaking. კოტენ წნევას თუჲხნრ̄, მოტ̡ ჴილ̡ჷჼ – კოტეს წნევამ დაარტყა და ენა გაუჩერდა.

ჴიმბურ ბდ **qimbur** bd ხვიმირი, წისქვილის ქვის თავზე განთავსებული ფიცრის ძირვიწრო ყუთი, რომლიდანაც მარცვალი ცვივა კრიჭაში бункер, загрузочная воронка, мельничная деревянная чаша, откуда падает зерно под жернов для помола grain hopper on mill. ჴიმბრელნა⌈ჰ⌉რ̂ ოჸ ჴერენ კიკელ ჴეფსლა – ხვიმირიდან მარცვალი ქვის ქვეშ ვარდება.

ჴირბა|დ|ალარ **qirba|d|alar** გრდუვ. непрх. intrans. ხირება (ეხირება) мешаться под ногами wander down. ნაყა ჴირბალაჲ სო̂, დაჰკაც ოთჳალე̂! – გზაში მეხირები, ცოტა იქით გადექი რა!

ჴირჴვე̃ **qirqvẽ** ხერხიანი, მოხერხებული, მარჯვე находчивый, изворотливый skilful. ჴირჴვე̃ ადმიჲ̂ ცხოვრბა ჴეჩოხ ჰათხ იხრ̂ – მოხერხებული ადამიანი ცხოვრებაში სხვებს წინ უსწრებს.

ჴირიმ ჲჲ **qirim** jj ხირიმი, ყირიმი, ინგლისური კაჟიანი თოფი английское кремневое ружьё flintlock gun. ვაი̂ და̄დი ჴირმივა̄, თარბივა̄ იხორ ბუჰეხ – ჩვენი წინაპრები ხირიმებით და ხმლებით მიდიოდნენ ომში; ჴირმჲ̂ თათჲ̂ ჩაჴ იხორ – ხირიმების ხმა შორს მიდიოდა.

ჴირჴალ ჲჲ **qirqal** jj ხირხალი, ჭიშკარში გაყრილი გრძელი ლატნები перекладина вместо ворот во дворе long bars in the gate. ჴირჴლენმაქ (ჴირჴალმაქ) კუჲტი̄ ჺედაღერ – ხირხალზე კატა იჯდა; ღობეხ მა დოტუთ, ჴირჴლაღდა⸢ჰ⸣ დოლათ ჩუ! – ღობეზე ნუ გადმოხვალთ, ხირხლებში შემოდით!

ჴლარც ჲჲ **qlarc** jj ღრანტე, ხრამი провал, яма, овраг deep gullies; deep rocky ravine. ცჰაჲნი̂ მოჸიჩრ̂ ჴლარცელჲ̂ დალინრ̂ ბჟაჲ̂ ნასტ ჰალ დაჴი̂ მემცხორივ – ერთი საშინელი ღრანტედან მკვდარი საქონელი ძლივს ამოიტანეს მწყემსებმა; ჴლარცა̄ხ ლავი ჰალ ცო ლაფსი̂და – ღრანტეებში თოვლი ჯერ არ ამშრალა.

ჴმარბა|დ|იენრ̂ **qmarba|d|ienô** მიმღ. прич. particip. 1. ნახმარი, რაც იხმარეს употребляемый, то, что было в употреблении second-hand. ი მოლუ̂ დრო ოთჳე̂, მე̄ ჴმარბადიენრ̂ დუ̄ფხუ̄ დეხკლა მაღაზია̄ხ – ეს როგორი დრო დადგა, რომ ნახმარი სამოსი იყიდება მაღაზიებში. 2. ვინც იხმარა რამე употребивший, тот, кто употребил что-л. someone who used smth. მჲ̂ჴ დალრ̂ ე მაუ̂ჴუ̂ ჴმარბადიენრ̂? – ვინაა, ნეტავი, ვინც ეს სამართებელი იხმარა?

ჴნეშა|დ|ალარ (დაჴნეშა|დ|ალარ) **qneša|d|alar** (**daqneša|d|alar**) გრდუვ. непрх. intrans. ხვნეშა (ხვნეშის) пыхтеть sighing. უჲშტ ჴნეშალა ე ფორე̂, დაკლავ სტაკ, *იჩ ფუთლი̂ ხაჴ ჴაჲწუ̂ გიჰაჲნრ̂* – ისე ხვნეშის ეს ფორე, კაცი იფიქრებს, *ათფუთიანი ტომარა ჰკიდიათ ზურგ ზე.*

ჴნეშა|დ|არ (დაჴნეშა|დ|არ) **qneša|d|ar** (**daqneša|d|ar**) გრდმ. прх. trans. დახვნეშება (⸢და⸣ახვნეშებს) заставить ⸢за⸣пыхтеть to make sighing. ვაი̂ ფსტი დუჴ

ჴნეშადიეჼ მუჰი ჴეჰრევ – ჩვენი ქალები (ცოლები) ბევრი ახვნეშა ტვირთების ზიდვამ.

ჴო¹ **qo**¹ სამი три three. სხვა ბრუნვებში ენაცვლება ფუძე в других падежах употребляется основа in other cases is substituted by the root ჴა **qa**. ნაყმაქ ჴო სტაკ ვალორ – გზაზე სამი კაცი მოდიოდა; ჴā სტაკოვ მოჴ ბორ – სამი კაცი მღეროდა; ე ჟე ჴაეჼ და – ეს ცხვარი სამისაა; ჴო̄, ჴო̄ (ჴოā, ჴოā) ჲეთხ და – სამი და სამი ექვსია; ჴო ჴაელ დიყჩე[ჰ] ცჰა ხილ‘უ̂ – სამი სამად (სამზე) რომ გავყოთ, ერთი იქნება; ჴოკ ჴორ ლიბალე̂ სოჼ – მხოლოდ სამი ვაშლი მომეცი რა!

ჴā **qā** იხ. см. see ჴო **qo** რიცხვითი სახელის მაგივრად იხმარება მსაზღვრელად ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა вместо числительного ჴო **qo** употребляется в качестве определения во всех падежах, кроме именительного, is used as a qualifier instead of numeral in all the cases except for nominative case ჴო **qo**. ჴā სტაკოვ ჟე დალორ – სამ კაცს ცხვარი მოჰყავდა; ჴā კნათენ დაჲლ‘ნას ტათებ – სამ ბიჭს მივეცი ფული.

ჴო² ჲჲ **qo**² jj წივა, ბრიკეტებად გამხმარი ნეხვი кизяк dried cow dung. სხვა ბრუნვებში ენაცვლება ფუძე в других падежах употребляется основа in other cases is substituted by the root ჴუ **qu**. თრილთი[ჰ] მემცხორივ ჴო ჲაკჲორ – თრიალეთში მწყემსები წივას წვავდნენ; გოგიხ ჴუჲშ ჲატერ – ირგვლივ წივები ეყარა; ჲაყიჩრ̂ ჴუხ წე ლეთე̂ – ხმელ წივას ცეცხლი ეკიდება.

ჴოგ ჲჲ **qog** jj მუხუდო, ცერცვი горох, бобы bot cheak-pea. ნანას თხა ჴოგეჼ წვეჼ თაგოჲრ̂ – დედა დღეს ცერცვის წვნიანს გააკეთებს; ჴოგილო[ჰ] ლებივა̄ ბაჲლ‘ნორ – ცერცვ[ებ]ში ლობიოც ამოსულიყო.

ჴოიტ̨ **qoiţ** ცამეტი тринадцать thirteen. ფილიპე̂ ჴოიტ̨ე[ჰ] ვა ვიენრ̂ – ფილიპე ცამეტშია დაბადებული; სეჼ ფეშკარ ჴოიტ̨ შარლუჼ და – ჩემი ბალღი ცამეტი წლისაა.

ჴოიტ̨ლღეჼ **qoiţlγẽ** მეცამეტე тринадцатый thirtienth. ჴოიტ̨ლღეჼ დე და ნან ლაწიში̂ ჲაჲნი̂ – მეცამეტე დღეა, რაც დედა ავადაა.

ჴოკეჸ **qoḳe’** სამივე все три, все трое all three. –კეჸ **-ḳe’** ნაწილაკდართული რიცხვითი სახელი ჴო **qo** имя числительное ჴო **qo** с частицей –კეჸ **-ḳe’** ჴო **qo** numeral adding particle –კეჸ **-ḳe’**. ჴოკეჸ ვაჟარ ბა ე კნათი – სამივენი ძმები არიან ეს ბიჭები.

ჴოლ̥არ¹ (ჴებლარ) **qol̥ar**¹ (**qeblar**) გრდმ. прх. trans. დაფარება (⌈და⌉აფარებს, დაიფარებს), დახურვა, გადაფარება наде⌈ва⌉ть (на голову), покры⌈ва⌉ть, накинуть to cover. ქუდ ჴოლ̥ა′ელ, სკოლია̄ ღობალე̂ – ქუდი დაიხურე რა და სკოლაში წადი; კატოს მაჼდილ ჴოლ̥რ̂ – კატო მანდილს დაიხურავს; ბაცბურ ქუდ ქუჲრთმაქ ჴუჲ ლ̥ჩე⌈ჯ⌉გეჸ თარლ‘ვალიჼ იფლარიჼ მიტრრ̂ ბაცბა̄ხ – თუშური ქუდის თავზე დახურვის მერელა დაემსგავსა ეფიანთ მიტრო თუშებს; მათ̥ან აფრშულეჼ საბაჼ ჴოლ̥ირ – ლოგინს აბრეშუმის საბანი გადააფარეს.

ჴოლ̥არ² (ჴებლარ) **qol̥ar**² (**qeblar**) გრდმ. прх. trans. რგება (არგუნებს) дать в удел allot smth to sm. ჩაჩქნაჼ აგ ლევაჼლათერ, ვუნე̄ (ˉუნე̄) და̄ლ ჴოლ̥რ̂ ადმინენ, ოჴუჲგო⌈ჯ⌉ ცომიჩე̄ დალ‘მაკი̄ნრ̂ – ჩაჩქანიანთ ბებია ამბობდა ხოლმე, რასაც ღმერთი არგუნებს ადამიანს, იმას ვერსად წაუვაო.

ჴოლ̥|დ|არ (ჴებლ|დ|არ) **qol̥|d|ar** (**qebl|d|ar**) გრდმ. прх. trans. მიბჯენა (⌈მი⌉აბჯენს), მიდგმა упереть, прислонить, прислонять leaning. ჴირჴლა̄ხ ფიცარ ჴოლ̥დიერ, მე̄ ქაკეჼ დახნე̂ ნჭაჲც̂ ცო დალ‘ულრ̂ – ხირხლებს ფიცარი მიაბჯინეს, რომ წვრილფეხა საქონელი გარეთ არ გავიდეს.

ჴომწრრ̂ დდ **qomçrô** dd საკვესე, ტყავის პატარა ჩანთა ფოლადის ნაჭრისთვის, რომლის ტალზე ჩამოკვრითაც ცეცხლს აჩენდნენ кожаная сумочка (на поясе для огнива и трута) leather pouch for steel which makes fire. ჴომწრუჲ ნეკ, მაჴაწა̄, კჭაკამა̄ დუჲხკნას სუჲნი̂ ვოტუშ – საკვესეში დანა, ტალი და აბედი ჩავდე წასვლისას.

ჴორ ბდ **qor** bd ვაშლი, ვაშლის ხე яблоко, яблоня apple, apple tree. ცენეხ ჴორ ლაზიში̂ ჴაწურ – წლეულს ვაშლი კარგად ესხა; ე ჴორგორრენა̄ უჴრ̂ ჴორგომციჼ იტ̥ ლა ხილ‘უ̂ – ამ ვაშლიდან იმ ვაშლამდე ათი ნაბიჯი იქნება.

ჴორე̄ლეჼ **qorēlẽ** ვაშლიანი яблочный, с яблоками, с яблонями with apples. ჴორელეჼ კალათ თარუჲ ოთ̥ბებ! – ვაშლიანი კალათა თაროში შედგი!

ჴორთ დდ **qort** dd ხორკლი бугорок, пупырышек roughness of skin; small swelling. ე კნათენ ჭყემპერა̄ხ ჴორთნი გუჲაჲლ‘ნრ̄, დუჲხტრეგრ̂ ვიკოთხ – ამ ბიჭს ყელში ხორკლები გამოაჩნდა და ექიმთან მიგვყავს; თივდრეგო⌈ჯ⌉ ჴორთნიგორრეჼდა⌈ჯრ̂⌉ (ხორკლიგორნა⌈ჯრ̂⌉) თივუჲლა̄ ცო და – თევდორეს ხორკლებისგან მოსვენება არა აქვს; დიჼჩრ̂ დელეხ ჴორთნი ჴასიჼ სოჼ – მთელ ტანზე ხორკლები დამაყარა.

ჴორცმეტ დდ **qorcmeṭ** dd ხორცმეტი дикое мясо; нарост на теле tumour, blotch. მარ̈ლ'რეჩო̂ ჴორცმეტინ ჳალ თეტარ დეწე̂ – ცხვირის ხორცმეტებს ამოჭრა უნდა.

ჴოს|დ|ალარ **qos|d|alar** გრდუვ. непрх. intrans. გავარდნა (გავარდება), გაქანება, გამოკიდება броситься (стрелой) rush out, run after. შველენ ტყუჲჳა[ჳო̂] წაქსჼ წევარ ჴოსდალჼ – შველს უკან ისარივით მწევარი გამოეკიდა; ჲდრენ ჴერ ჴოსბალი'ნე̂ კიმუჲგო[ჳ], ქორთიხ ჴერ ჴაცენო̂ ჲდურ უჲსჳეც დაჳ დალჼ – ინდაურს უნებურად ქვა ესროლა კიმომ და თავში ქვამოხვედრილი ინდაური იქვე მოკვდა.

ჴოსარ (ჴეფსარ) **qosar** (**qepsar**) გრდმ. прх. trans. [გა]სროლა ([გა]ისვრის) бросить, бросать, кинуть, выстрелить shooting; through out. ლოჭ ჴუჲსნას – ჯოხი ვისროლე; თოფ ჴოსოს – თოფს გავისვრი.

ჴოსინო̂ **qosinô** მიმღ. прич. particip. გასროლილი выстреленный, кинутый fired gun. რეზოს ჴოსინო̂ თოფ ნიფს ჲუყე[ჳ] ჴეცირ ლიშნეხ – რეზოს გასროლილი თოფი სწორედ შუაში (ცენტრში) ხვდებოდა სამიზნეს.

ჴოუზტყ **qouzṭq̣** სამოცი шестьдесят sixty. ჴოუზტყ შარლუჼ ჲასო̂ – სამოცი წლისა ვარ; შაუზტყ ჴოუზტყეხ ეშუშხ და – ორმოცი სამოცზე ნაკლებია.

ჴოუზტყაერ **qouzṭq̣aer** სამოცისგან შემდგარი; მესამოცეში მყოფი состоящий из шестидесяти in being in the sixties. ივანე̂ ჲც ჴოუზტყაერ ვა – ივანე ახლა მესამოცეშია, სამოცი წლისაა.

ჴოფ ბდ **qop** bd ორმო яма hole. თხილოშ ხილ'ათ, ისი ბაჴოჼ ჴოფ ბა – ფრთხილად იყავით, მანდ დიდი ორმოა.

ჴოწ[ო̂] **qoc̣[ô]** სამჯერ трижды, три раза thrice; three times. ჴოწ ფხი ფხიიტ̣ და – სამჯერ ხუთი თხუთმეტია; ჴოწ ჴო იც̣ და – სამჯერ სამი ცხრაა.

ჴოწლოღეშ **qoc̣loγeš** მესამედ третий раз for the third times. ჴოწლოღეშ ჲუჲტას თივაჼ ბორჯმი – მესამედ მივდივარ დასასვენებლად ბორჯომში.

ჴოწლოღეშგეც **qoc̣loγešge’** ზმნს. нареч. adv. მესამედღა только на третий раз only for the third times. ჴოწლოღეშგეც ბაჲლ'ნა[ჳ] სოჼ პასუხ – მესამედღა (მესამე შეკითხვაზეღა) გამეცი პასუხი.

ჴოწოც **qoc̣o’** ზმნს. нареч. adv. სამჯერ, სამჯერვე три раза, все три раза three times, thrice. ჴოწოც დიხნას მეზობლეხ ტათებე̄, ჴოწოც უარ ალ'ჼ სოგო̂ – სამჯერ ვთხოვე მეზობელს ფული და სამჯერვე უარი მითხრა.

ჴოწარ (ჴებწარ) qoçar (qebçar) გრდმ. перх. trans. 1. აკიდება (აჰკიდებს) ⌈по⌉весить, вешать loading on (will load on). ჰარხოვას ჰაჲრნჷ̈ ხაკ სუკახ ჴოწი'ნჷ̂, შაჲრჩუ̄ დაჰი̈ – მეწისქვილემ ფქვილიანი ტომარა ზურგზე აიკიდა და თავისას წაიღო. 2. დასხმა ხილისა (დაისხამს) приносить плоды, плодоносить setting fruit; giving fruit. ცენეხ ჭერმევ ლაზიშ ჴოწი̈ – წლეულს ჭერამმა კარგად დაისხა.

ჴოწ|დ|არ (ჴებწ|დ|არ) qoç|d|ar (qebç|d|ar) გრდმ. прх. trans. ჩამოკიდება (⌈ჩა-მო⌉ჰკიდებს), ჩაკიდება, აკიდება, დაკიდება ⌈по⌉весить, вешать tying on / hanging, loading. ჰერწჵ კჵოკნი ჴოწდინას – ქვაბი ორმოში ჩავკიდე; თინას კაჰეხ გოდორ ჴოწბიჷ̈ – თინამ კავზე გოდორი ჩამოჰკიდა.

ჴოწ|დ|იენჵ qoç|d|ienô მიმღ. прич. particip. ჩამოკიდებული повешенный hanged.

ჴოხკ|დ|ალარ (ჴეხკ|დ|ალარ) qoxķ|d|alar (qexķ|d|alar) მრ. იხ. мн. см. pl. see ჴოწ|დ|ალარ **qoç|d|alar**. ოშტუ̈ გაგი ჴოხკდალი̈ მიხაკჵ ვენჴე⌈ჰ⌉, მჷ̄ მადელ ბა ოჴარგჵ ჰაჭარ – ისეთი მტევნები დაეკიდა მიხაკოს ვენახში, რომ მადლია მათი შეხედვა.

ჴოხკარ (ჴეხკარ) qoxķar (qexķar) მრ. იხ. мн. см. pl. see ჴოწარ **qoçar**. ლოინ დაწიშ-გეც ჴუჲხკნაჲშâ, დაჰკაც დავდებლიშâ! – ცხენებისათვის მეტად მძიმედ აგიკიდიათ, ცოტათი შეამსუბუქეთ, ერთი!

ჴოხკ|დ|არ (ჴეხკ|დ|არ) qoxķ|d|ar (qexķ|d|ar) მრ. იხ. мн. см. pl. see ჴოლ̧|დ|არ **qol̦|d|ar**. კედლოჳხ ფიცრი ჴოხკდიჷ̈ – კედელს ფიცრები მიაყუდეს.

ჴოჴ qoq სამ-სამი по три three at a time; in threes. ჴერლ'მი დაჷ̄, ჴოჴ მოც ბეწეთ ვაჲ ოთჲ̈ ყარულელ – შიშიანობაა და სამ-სამი მაინც უნდა დავდგეთ დარაჯად; ჴაჴაევ ცჰჲ̈ლ ყარულებადოთხ – სამ-სამი ერთად ვყარაულობთ; ჴოჴ მანათ ჴაჲჩუ̂ შუ̈ – სამ-სამი მანეთი გერგებათ.

ჴოჴობ ბდ qoqob bd ხოხობი фазан pheasant. ჩოგანლარ აბოს საქერე⌈ჰ⌉ ლუჴჭ ჴოჴბი დავდორ – ჩოგანიანთ აბო საქერეში (ტყის სახელია) მეტად ბევრ ხოხობს ხოცავდა; ქიქოც ის ჰუ̈ ჴოჴბა̄ხ ჲარ ჰეტ̦ჲიენჵ – წინათ ეგ ტყე ხოხბებით იყო გაჭედილი; ჴოჴბეგო⌈ჰ⌉ ჲახ̦ჷ̈, ყარწჷ̈ მულ ჲა – ხოხობს გრძელი, ჭრელი ბოლო (კუდი) აქვს.

ჴოც qo’ 1. ისევ სამი опять три (опять трое) again three. ჴოც ჩუჲხâ ლიჷ̈ სო̈ ქელ-რეჩოვ – ისევ სამი ბატკანი გამიჩინა ცხვარმა. 2. სამივე все трое all three. ჴოც

ვაშო̂ ცჰჷლ ვა – სამივე ძმა ერთად არის; ჴაეჸ ბიძის ჟე ეცირ – სამივე ბიძამ ცხვარი იყიდა; ჴოჸ ჩუჲხი̂ ჰალ ხეთირ სოჷ – სამივე ბატკანი ვიპოვე.

ჴო̄ **qō** ოთხშაბათი среда Wednesday. ჴაე ვაშო̂ ვაგჷ ჲუჲტას – ოთხშაბათს ძმის სანახავად მივდივარ.

ჴრილ დ **qril** d ხრილი, წისქვილის გარ-მოდებული (გარ-მოყრილი), ფქვილის მტვერი, ფქვილის ნარჩენი წისქვილში остатки помола в мельнице flour dust on millstone. ფსარე ჰარე ჴრილ კაძიკ დისჷ – გუშინ წისქვილში ხრილი ცოტა დარჩა; ჴრილეხ მჷ ქატერ, ხან-ჟამე⌈ჰ⌉ ჰალოკ აჰოჰრათ ვაჲნი̂ ე სიმჷდ – ხრილს ვინ ჩივის, დროზე მაინც დაგვიფქვავდნენ ამ სიმინდს.

ჴუჲლ̥|დ|ისარ (ჴიბლ|დ|ისარ) **qujl̥|d|isar (qibl|d|isar)** გრდუვ. непрх. intrans. მიყუდება (⌈მი⌉ეყუდება) прислониться, прислоняться leaning on / against sb / sth.

ჴუჲლ̥|დ|ისენო̂ **qujl̥|d|isenô** მიმღ. прич. particip. მიბჯენილი упирающийся, прислонившийся leaned on / against sb / sth. *აჲმრჷ̂ (ამირჷ̂) სპერზი⌈ჰ⌉ ვარჷგევ კმატუხ ვა ჴუჲლ̥ვისენუჲნო̂*, ლი̂ვი̂ ნახ – *ამირანი მხრით კლდეს არის მიბჯენილით სპეროზაში*, ამბობს ხალხი.

ჴუჲრცელ დდ **qujrcel** dd ძეხორციელი, ადამიანი имеющий тело, плоть; человек, существо human soul. ჴუჲრცლი ცუჲ დაჲშუ̂, ლატლეთ ო სტაკონ! – ადამიანები არა ხართ, უშველეთ რა იმ კაცს!

ჴუჲრცლობ დ **qujrclob** d კრებ. собир. coll. ძეხორციელობა, ადამიანობა, კაცობრიობა человечность, человечество humankind; mankind. მათხე⌈ჰ⌉ ჴუჲრცლობ დაჰ ცო ხიტუ̂ – ქვეყანაზე კაცობრიობა (ძეხორციელი) არ გაწყდება.

ჴურბა|დ|ალარ **qurba|d|alar** გრდუვ. непрх. intrans. შეწყვილება (⌈შე⌉წყვილდება), დაგრილება, კოპულაცია, კოიტუსი спариться, случиться, коитус, копуляция mating; coupling; venery.

ჴურბა|დ|არ **qurba|d|ar** გრდუვ. непрх. intrans. შეწყვილება (⌈შე⌉აწყვილებს), დაგრილება, კოპულაცია, კოიტუსი спарить, случить mating; coupling; venery.

ჴუჸ|დ|არ **qu’|d|ar** გრდმ. прх. trans. 1. დაზოგვა (⌈და⌉ზოგავს), გამოზოგვა, შემონახვა ⌈с⌉беречь, тратить бережливо saving up; economizing. ჰანე ცო̄მ ჴუჸოდო̂, ოჴუჲგო⌈ჰ⌉ ლე ცო̄მ და – ვინც არ ზოგავს, მას არც არაფერი აქვს; ნაჩხ ჴუჸჲოშ ჲაყათ, ცოჰე̂, ქასტჷ ჴაჩლა – ყველი გამოზოგვით ჭამეთ, თორემ მა-

ლე გათავდება. 2. გადატ. перен. fig. განებივრება, აზიზად გაზრდა оберегать, нежить, баловать pampering; spoiling.

ჴუც|დ|იენო̂ qu’|d|ienô მიმღ. прич. particip. 1. დაზოგილი, გამოზოგილი сбережённый, отложенный savings. ელუჲგო[ჰ] შურ ჲა ჴუცჲიენო̂ – ელოს რძე აქვს დაზოგილი. 2. გადატ. перен. fig. განებივრებული, აზიზად გაზრდილი балованный pampered.

ჴუციში̂, ჴუც|დ|ოშ qu’išî, qu’|d|oš ზმნს. нареч. adv. 1. დაზოგვით, გამოზოგვით, ეკონომიურად бережливо, экономно sparingly; economically. ნაჩხ ჴეცჲოშ ჲაყოთხ – ყველს გამოზოგვით ვჭამთ. 2. აზიზად нежа, балуя tenderly. ჴუციში̂ (ჴუცდოშ) დაჴდიენო̂ ბა̆დერ ლელიჼ იხო̂ – აზიზად გაზრდილი ბავშვი სუსტი გამოდის.

ჴშიროშ, ხშიროშ qširoš, xširoš ზმნს. нареч. adv. ხშირად часто often; frequently. სქჼ ჲაშო̂ ჴშიროშ ჲარ ლაწიშ – ჩემი და ხშირად იყო ავად; ლოჰე[ჰ] (გაზაფხულ) ჴშიროშ ყარუჲ ხეცე̂ – გაზაფხულზე ხშირად წვიმები იცის; ჴშიროშ იხლე[ჰ] თხოჼ! – ხშირად იარე ჩვენთან! ჴშიროშ დაკჴელო̄ს ჰქჼ სიკეთე̂ – ხშირად ვიხსენებ შენს სიკეთეს.

ჴჰექიჼ qḩeqĩ მზა[დ] готовый ready. ფჰორ ჴჰექინი′ ჲა ჰოგო, ფტუჲნო̂? – ვახშამი მზადა გაქვს, დიაცო?

ჯ

ჯა ǯa შორისდ. межд. inter. არიქა! მიდი! Ну! Ну-ка! Давай! Watch out! Go ahead! ჯა, ნაყბისტენ ლატ! – არიქა, ამხანაგს უშველე! ჯათ, ლატათ სოჼ! – არიქა[თ], მიშველეთ! ჯა, ვატაგე̂, ცოჰ ლაცვოჰო̂! – არიქა, გაიქეცი, თორემ დაგიჭერენ!

ჯაბრ ბდ ǯabr bd ჯიბრი назло, наперекор rivalry. ილუჲჼ დოკ ჯაბრუვ ჭავო̂ – ილოს გულს ჯიბრი უკლავს; ჰე ჯაბრუნ თხა მატრენ ცო̄მ ქჰექდინას – შენი ჯიბრით დღეს სადილად არაფერი მოვამზადე.

ჯაუ̆ბრ ოთ̥არ (ეთ̥არ) ǯaŭbr ot̥ar (et̥ar) გრდუვ. непрх. intrans. ჯიბრში ჩადგომა ([ჩა]უდგება) действовать наперекор, назло to rival / to spite sb. ვაჟარ

ჯაჸბრ ცო ოთ̧ნო'ჳერ, შიოს სელხანე[ჳ] წა ოთ̧დიქ̂დარ – ძმები რომ ჯიბრში არ ჩასდგომოდნენ ერთმანეთს, შიო აქამდე სახლს და[ი]დგამდა.

ჯაგ ჲჲ **ǯag** jj ჯაგი; ძეძვი колючий куст, держидерево shrubs, thorns. ღობა̄ ქორთიხ ჯაგა̄ხ სოჸბჸ ვუხ (-უხ) დარ? – ღობეების თავში ჯაგებზე მეტი რა იყო? ჯაგუვ ჭჩალოჭ ღობ ჲუჲფცნას – ძეძვით მართლა მაგარი ღობე დავწანი (შევღობე); ვენაჴ ჲოხკა̃ ჯაგ ჲა̄ხითნათხ – ვენახის ჩასაყრელად ჯაგი ამოვალებინეთ (ამოვაძირკვინეთ); ჯაგილო[ჳ] ფხაკალ ჺედაღრალო̂ – ჯაგებში კურდღელი მჯდარიყო.

ჯაგა̃ ჲჲ **ǯagã** jj ჯაგანი нанизанные на бечёвку виноградные гроздья для хранения grapes' string. იტ ჯაგა̃ თაგჲინას თხა – ათი ჯაგანი გავაკეთე (ავასხი) დღეს; ჯაგნა̃ ქანიზ – ჯაგნების (საჯაგნე) ყურძენი; ჯაგნივ ზღვე̃ ლამზარჲიე̃ – ჯაგნებმა სხვენი გაალამაზა.

ჯაგილო̄ ჲჲ **ǯagilō** jj ჯაგნარი, ჯაგიანი колючий кустарник shrubbery. მიჩჳე ჳათხეჸ ჯაგილო̄ ჲარ, ჩ̃ც ჳალო̂ ჲა ახინო̂ – სადაც წინათ ჯაგნარი იყო, ახლა მოხნულია.

ჯაგარ დდ **ǯagar** dd იხ. см. see ჭაგარ **ç̣agar**.

ჯადო̂ დდ **ǯadô** dd ჯადო волшебство, чародейство magic object. ჯადოს ლაცვიქ̂ჩონსა̃ დაჳ ნიყ ცო ბახმაკე̂ სო̃ – ჯადოს მიერ შეპყრობილივით გზას ვერ ვიკვლევ; ქიქლუნი ჯადო̄ხ თეშერ – წინანდელებს ჯადოები სწამდათ.

ჯავარ **ǯavar** ჯავარი рябая (курица...) noble (hen). ჯავარ ქოთამ წიწლიგო̂ დუღე̂ – ჯავარი ქათამი წიწილებს ეძახის.

ჯავრ ჲჲ **ǯavr** jj ჯავრი злоба anger; wrath.

ჯავრ ჲ|ეჴარ (აჴარ) **ǯavr j|eqar (aqar)** გრდმ. прх. trans. ჯავრის ამოყრა (ჯავრს [ამო]იყრის) выместить злобу take out one's anger. უჲშტი̂ მა ბავალათ ვაჲ, მასთხო̄̃ ჯავრ ცო ჲეჴლოთ ვაჲ – ისე ნუ დავიხოცებით, მტრის ჯავრი არ ამოვიყაროთ.

ჯავრბა|დ|ალარ **ǯavrba|d|alar** გრდუვ. непрх. intrans. დარდი (დარდობს), ჯავრის, დარდის ქონა (აქვს) переживать sorrow, grief (grieves, worries). იცხ ამბუჲნმაქ ნინო̂ ზორაჲში̂ ჯავრბალა – მაგ ამბავზე ნინო ძალიან დარდობს.

ჯაჲხჯუჲხი̂ დდ **ǯajxǯujxî** dd ჯახაჯუხი, ჯახანი стук (при столкновении предметов...) banging. ჳახარვ ბუჳი დოშ ოჴარ მჩაცა̃ ჯაჲხჯუჲხი̂ ჩაჴ

ხაწჼლათე̂ – როცა ჯიხვები ჩხუბობენ, მათი რქების ჯახანი შორს ისმის ხოლმე; ალზნევ ჯაჲხჯუჲხაჲნო̄ კერბი ვაშ[ბ]აჴ დეთ̣ორ – ალაზანი ჯახაჯუხით ქვებს ერთმანეთს ახლიდა.

ჯალ[ე̂] **ǯal[ê]** შორისდ. межд. inter. არიქა რა, მიდი რა, გეთაყვა, გთხოვ, გემუდარები давай, ну; пожалуйста; прошу, умоляю, ну come on, please. (ხმარობენ კაცები употребляют мужчины used by the men). ჯალე̂, ივსებ, ის ჳეჼ ფჳუ ჩუ ბეჴკალე̂, ჭიკ ბეჳლალუჲ თხოჼ – მიდი რა, იოსებ, ეგ შენი ძაღლი დააბი, არ მოგვეპაროს. იხ. см. see ჯელე̂ **ǯelê**.

ჯალაბ ჲჲ **ǯalab** jj ჯალაბი, ოჯახი семья, семейство family. სა ხილʻუშ ჯალბა̄ჴ ხორბლაცო[ჳ] ჳალ კაჲთხრათჴ – გათენებისას ჯალაბებს ხორბალოში დავეწიეთ.

ჯალბობ ჲჲ **ǯalbob** jj ჯალაბობა, ოჯახობა семейство family.

ჯამ დდ **ǯam** dd ჯამი миска bowl. ბა̄დრინ თიკეჼ ჯამი ოთ̣დინას ჳათჴ – ბავშვებს თიხის ჯამები დავუდგი წინ.

ჯამ-ჭურჭელ ჲჲ **ǯam-č̣urč̣el** jj ჯამ-ჭურჭელი посуда bowls, jars and pots. ივსებ ქუჲრწლენაჲნო̄ უბნეჼ ჯამ-ჭურჭელ ვაშა̄რ ჲეცნათჴ – იოსების ქორწილისთვის უბნის ჯამ-ჭურჭელი შევაგროვეთ.

ჯამაათ ჲ **ǯamaat** j ჯამაათი, ერთად თავმოყრილი ხალხი собрание, сход, народ people’s assembly. ჯამაათევ ასადღარჼ ილიკო̄ ჩაქოლადვიერ – ჯამაათმა ასადიანთ ილიკო ჩაქოლა.

ჯამბაზ ვბ; ჲდ; დდ **ǯambaz** vb; jd; dd ჯამბაზი акробат clown. ჯამბზი ლაბწირ თოკმაქ – ჯამბაზები თამაშობდნენ თოკზე.

ჯამბარ ჲჲ **ǯambar** jj ჯამბარა, ჯაჭვი, ან საგანგებოდ დაწნული ღვედი ყევარი (ორი უღლის) ხარის მისაბმელად ურემზე, გუთანზე плетённая из ремней верёвка, или цепь для привязывания быка при двух запряжках harnessing rope for tying ox to the plough. ჯამბრი ასო̄ჼ ჲეფცორ – ჯამბარებს თასმებისაგან წნავდნენ; ჯამბრევ დუყ დუყეჴ დებწორ – ჯამბარით უღელს უღელზე გადააბამდნენ ხოლმე.

ჯამლო̄, ჯამნო̄ ჲჲ **ǯamlō, ǯamnō** jj იხ. см. see ჯამბუჲ **ǯambuj**. მიჩ ჯამლუჲ დაჲვრაჲშა̂? – სად ჯანდაბაში დაიკარგეთ? ჯამლუჲ ღობ, ჯოჯხით! – ჯანდაბაში წადი, ჯოჯოხეთში!

ჯამბუჲ, ჯამნუჲ ჲ **ǯambuj, ǯamnuj** j მრ. мн. pl. ჯანდაბა преисподняя, тартар, ад, геенна, пекло Hell. მიჩეჳკ ჯამნო ვა̄ხელრ̂ ო ვასრ̂? – ნეტა, სად ჯანდაბაში ცხოვრობს ის ვასო? მიჩ ჯანბუჲ ვუჲტა⌈ჳ⌉, ჯანბუჲგომციჼ მა უჲთ̣ვალო⌈ჳ⌉! – სად ჯანდაბაში მიდიხარ, ჯანდაბამდეც ნუ გაჩერებულხარ!

ჯან **ǯan** ჯან! браво! Wow! ჯან, ჯან, ჩუ თოხათ ის ბუზკაჼტ, ჳახკეც დაკახ კაცჩე! – ჯან, ჯან, დაუკარით ეგ გარმონი, ეგება გულს მოხვდეს!

ჯანლიჼ **ǯanlĩ** ჯანიანი сильный, мощный strong; healthy. ჯაჲბი̂ ზორაჲში̂ ჯანლიჼ ვარ – ჯაბა ძალიან ჯანიანი იყო.

ჯაჼ¹ ჲჲ **ǯã¹** jj ჯანი сила, мощь, здоровье health. ლერ̂ სოხ ჯანევ თელ‘ე̂ – ლეო მე ჯანით მჯობია.

ჯაჼ² დდ **ǯã²** dd ქალამანი лапоть bast sandal; bast shoe. ჯანეხ კერ ყალე’ნე̂, დაჳა̄ დატეჼ – ქალამანს ქვა შეერჭო და გაიხა.

ჯანიდეჲლუ̂ დდ **ǯanidejlû** dd ქალამნის მასალა, საქალამნე (ტყავი) лаптевый материал, кожа на лапти materials / leather for bast sandals. ფსტაჲრი̂ კაკეჼ ჯანიდეჲლუჲ დალ‘ეჼ – ხარის ტყავისგან საქალამნეები გამოვიდა; ჯანიდეჲლოხ ნაჩხ ხერცრ̂ – საქალამნეში ყველს ცვლიან.

ჯაჼდაგ **ǯãdag** ჯანდაგი, წუნდებული (შინაური საქონელი) забракованный (скот) week, feeble, emaciated (cattle). მიტლოს ჯაჼდაგ ყე ბაზირ დიკეჼ დოხკაჼ – მიტალომ ჯანდაგი ცხვარი ბაზარში წაიყვანა გასაყიდად.

ჯაჼგ დდ **ǯãg** dd ჟანგი ржавчина rust. ჳერწრ̂ ჯაჼგუვ (ჯაჼგოვ) ჺერ დავდიეჼ – ქვაბი ჟანგმა გააფუჭა; ჯაჼგე̄ჩრ̂ ნეკევ დითხ მა თეტრ̂! – ჟანგიანი დანით ხორცს ნუ ჭრი!
ჯაჼგ დ|ოწარ (დ|ებწარ) **ǯãg d|oçar (d|ebçar)** გრდუვ. непрх. intrans. ჟანგის მოკიდება (⌈მო⌉ეკიდება), დაჟანგება покры⌈ва⌉ться ржавчиной, ⌈за⌉ржаветь getting rusty; becoming rusty. წეგრ̄რეჩრ̂ შალთეხ ჟაჼგ დოწგერ – სისხლიან ხანჯალს კინალამ ჟანგი მოეკიდა.

ჯარბა|დ|ალარ **ǯarba|d|alar** გრდუვ. непрх. intrans. გაჯავრება (⌈გა⌉უჯავრდება) ⌈вы⌉ругать becoming angry. ციმრ̂ შაჲრი̂ ცელქ ვაჳოხ ჯარბალარ – ციმო თავის ცელქ ბიჭს უჯავრდებოდა.

ჯარიმ ჲჲ **ǯarim** jj ჯარიმა штраф fine. მიხი ჯაჲრმივ ქოთ̣ვიეჼ – მიხი (მიხო) ჯარიმებმა შეაწუხა.

ჯარნი ჲ **ǯarni** j მრ. мн. pl. ჯარა прялка spinnig-wheel. დენი'ჳ-ბუსჷ ჴაჲალე̂ (ჴეჲალე̂) აგ ჯარნი ჳერწჲოშ – დღე და ღამე ზის ბებია ჯარასთან (ჯარას ტრიალით); თხე ჯარნიგო⌈ჳ⌉ ბორბოლ ბჵოგბალი̃ – ჩვენს ჯარას თვალი მოსტყდა.

ჯარნა̃ ჲჵეც ჲჲ **ǯarnã jωe'** jj ჯარას ტარი, თითისტარი веретено прялки spindle. ვუი̃ (ჳუი̃) ჯარნა̃ ჲჵეცსა̃ ჳირწა⌈ჳ⌉, სტევ ქოთ̣ვოჳრ̂? – რა ჯარას ტარივით ტრიალებ, რა გაწუხებს? ნანენ ჯარნა̄ ჲჵეცევ (ჲჵაცნივ) წიგი̂ დაჴი̃ ქოკეხ – დედას ჯარას ტარმა ფეხი გაუსისხლიანა.

ჯა̆რ[1] ბდ **ǯăr**[1] bd ცალი ხელით გაკეთებული გუნდა (ქუმლისა, ხაჭოსი...) комок (толокна, творога...), сделанный одной рукой a ball of curds or oats meal made from one hand. ტირნეს შურ-კალტლო ჳევიჩრ̂ ცუ̃ ჯა̆რნი დარიგბადიე̃ სა̃გო ლაბწიჩრ̂ ბა̆დრინ – ტირინემ რძე-ხაჭოში მოზელილი ქუმლის გუნდები დაურიგა ეზოში მოთამაშე ბავშვებს.

ჯა̆რ[2] ჲ **ǯăr**[2] j ახალგაზრდული შეკრება, შეყრა, მხიარულება ბერიკაობისას молодёжное веселье во время Берикаоба (грузинского народного карнавала) Berikaoba (Georgian carnival when participants are dressed like wild animals). ბირკაცუჲვ თხეჩუ ჯა̆რ გამართოდჲიე̃ – ბერიკებმა ჩვენსა მხიარული ახალგაზრდული შეყრა გამართეს.

ჯაჯღარ დდ **ǯaǯγar** dd ფოცხი грабли rake. ჯაჯღრივ ჲოლ ატ̣აჲშ̂ ვაშარ ჲოლა – ფოცხებით თივა ადვილად გროვდება.

ჯებირ ბდ **ǯebir** bd ჯებირი, დამბა дамба embankment. ალზნენ ალნიგუჲჳ ჯი̄ბრი ოთ̣დიე̃: დოჳე ჲაჴჲალარ ხეცე̂ – ალაზანს ალვნის მხარეს ჯებირები დაუდგეს: გაზაფხულზე ადიდება იცის.

ჯელ⌈ე̂⌉ **ǯel⌈ê⌉** არიქა რა, მიდი რა, გეთაყვა რა, გთხოვ რა, გემუდარები რა, გეაჯები რა давай, ну; пожалуйста; прошу, умоляю I beg you, please (ხმარობენ ქალები употребляют женщины used by women). ჯელ⌈ე̂⌉, მაჲჴი̂ თელ'ალ სო̃! – მიდი რა, პური მაჭამე! ჯელ⌈ე̂⌉, ვოციხალ⌈ე̂⌉, ხი დაცალ სო̃! – წადი რა, წყალი მომიტანე რა! ჯელ⌈ე̂⌉, ო ბალ აჳ ბეკბებალ სო̃! – გეთაყვა, ის ბალი ჩამომიყარე რა! ჯელეთ, ბა̆დრი, ი ჟაბრ̂ გუჲმრი ჩუ ლახკოშ ლატლეთ სო̃! – მიდით რა, შვილო, ამ ცხვრის გომურში შერეკვა მიშველეთ რა! შდრ. ср. comp. ჯალ⌈ე̂⌉ **ǯal⌈ê⌉**.

ჯელელ⌈ე̂⌉ **ǯelel⌈ê⌉** აღმატებითი ხარისხია სიტყვისა превосходная степень слова superlative degree of a word ჯელ⌈ე̂⌉ **ǯel⌈ê⌉**.

ჯერ⸢ე̂⸣ **ǯer⸢ê⸣** ზმნს. нареч. adv. ჯერ сперва, сначала first of all; at first; for now. ჯერ⸢ე̂⸣ ჟე დოთჳა'ეთ, პჟ̃ დაჳ̄ თივათ – ჯერ ცხვარი მოწველეთ და მერე დაისვენეთ; ჯერ⸢ე̂⸣ ცო̄მ დეწე̂ თედუღნი̂ – ჯერ არა უნდა რა თედოს.

ჯერა̃ დდ **ǯerã** dd ჯეირანი джейран Persian gazelle. ჯერნეგო⸢ჳ⸣ კიწკა̃ მჭაცი ჷეღახკე̂ – ჯეირანს პაწია რქები აქვს; ჯერნი შირქიჳ̄ ხეცე̄, შირვანე⸢ჳ⸣ ხუმ დუპჭ და – ჯეირანები შირაქშიც იცის და შირვანში ხომ ერთობ ბევრია.

ჯეჯილ დდ **ǯeǯil** dd ჯეჯილი всходы злачных растений corn shoots; growing corn. ჯიჯლელო⸢ჳ⸣ ლეყვი გუდალ'ე̃ – ჯეჯილში მწყრები გამოჩნდნენ; ჯიჯლალდა⸢ჳ⸣ ლელარ ცო ხილ'უ̂ – ჯეჯილ⸢ებ⸣ში სიარული არ იქნება.

ჯიბ[1] ღღ **ǯib**[1] jj ჯიბე карман pocket. შარვლეხ ში ჯიბ ლაღთი̂ – შარვალს ორი ჯიბე აკერია; ჯორჯის ჯიბი ტოტ დაჳი̃ – ჯორჯიმ ჯიბეში ხელი ჩაიყო; ჯიმშრეს ჯიბა̄ხ ტათებ ლეხორ – ჯიმშერი ჯიბეებში ფულს ეძებდა.

ჯიბ[2] ბდ **ǯib**[2] bd ნაბიჯი шаг step. ესერნა ოპუღგომცი̃ იწატყ ჯიბ ხილ'უგე̂ – აქედან იქამდე ორასამდე ნაბიჯი იქნება; სალთი ქასტეჩრ̂ ჯიბუვ ბოტურ – ჯარისკაცები ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ; შიპ ჯიბ ოთჳბა̃ ცო ჭირხეთე'ჳერ ჳო̃, სელხანე⸢ჳ⸣ დოს ეს⸢ჳ⸣ ხილ'ურ – ორიოდე ნაბიჯის გადადგმა რომ არ გეზარებოდეს, აქამდე შეშა აქ იქნებოდა.

ჯიგარ დდ **ǯigar** dd 1. ჯიგარი (საქონლის გულ-ღვიძლი და ფილტვები) ливер innards (animal heart, liver, lungs). ბაზრე ჟე̃ ჯიგარ დეხკლარ – ბაზარში ცხვრის ჯიგარი იყიდებოდა. 2. გადატ. перен. fig. ჯიგარი, კარგი, ერთგული, უღალატო, სანდო, საიმედო (ადამიანი) хороший, верный, свойский, надёжный (человек) reliable, safe, trustworthy. ჯიგარ სტაკ ვა ლესტო̂ – ჯიგარი კაცია ლესტო.

ჯილაგ ღღ **ǯilag** jj ჯილაგი, ჯიში порода breeding. პეტოს ყარბაღულ ჯილგუ̃ დო̃ იცნორ (ეღცნორ) – პეტოს ყარაბაღული ჯიშის ცხენი ეყიდა; ჟაბრ̂ ჯილგუხ ბაღწუ̂ – ძროხა ჯილაგს მისდევს (ემსგავსება).

ჯილდო̂ დდ **ǯildô** dd 1. ჯილდო премия, награда reward; award. ზორაღჩო̂ კნათინ ჯილდუღ თელ'ი̃ – კარგ ბიჭებს ჯილდოები აძლიეს. 2. სანაძლეო пари bet. კნეთივ სტენმაქ დიხკე̃ ჯილდუღ? – ბიჭებმა რაზე დადეს სანაძლეო? ვუნე (-უნე) ჯილდოხ პაღჩუ̂ შუ̃, მჭალ ხილ'ალ – რაც სანაძლეოში გერგებათ, საერთო იყოს.

ჯიჼ ბდ **ǯī** bd ჯინი (წნელისგან მოწნული დიდი კალათა ნაკელის საზიდად ბაღჩაში) джини, заготовленная из прутьев большая корзина для перемещения навоза в бахчу wide basket for carrying cattle manure. სასუქ ვენკი ჲაჸანაჲნ̂ ბაჲსკოხ ჯიჼ ბიხნას – სასუქის ვენახში შესატანად ბასიკოს ჯინი ვთხოვე.

ჯირკვალ ჲჲ **ǯirḳval** jj ჯირკვალი железа gland. ცო̄მ დაყრეხ ჯირკვლი ჲოხკჲალიჼ ბა̌დრენ ჭყემპოხ – უჭმელობისგან ჯირკვლები გაუჩნდა ბავშვს ყელში.

ჯიშ ჲჲ **ǯiš** jj ჯიში род, вид, происхождение breeding. *ჯი̄შ ჲეთხაჲჷ თავბახ ჲებწლაჲნ̂*, ლივა̂ – *ჯიში თექვსმეტ თაობას მიჰყვებათ*, ამბობენ.

ჯიშ-ჯილაგ ჲჲ **ǯiš-ǯilag** jj ჯიში და ჯილაგი род (человеческий) breeding (from mother's or father's side). ლე ჯიშ ცო ლალაჲ ი ვაჸგოჸე̄, ლე ჯილაგ – არც ჯიში უვარგა ამ ბიჭს და არც ჯილაგი.

ჯიყო̂ ბდ **ǯiqô** bd ჯიხვი тур Ibex. ჯიყო̂ მჭაცოჼ ყაჼწ ბაჲრქვეჼ ბა – ჯიხვის რქის ყანწი ბარაქიანია.

ჯიჯ⌈ი̂⌉ დდ **ǯiǯ**⌈î⌉ dd ჩიჩია, ხორცი (ბავშვის ენაზე) мясо (на детском языке) meat (on child's language).

ჯიჯაყ ჲჲ **ǯiǯaq** jj ჯიჯლიბო, ბიბილო гребешок у птицы bird's comb, crest. ი მამლეგო ჲეხკსაჼ დაცარკალდჲაჲლნ̂ ჯიჯაყ ჲა – ამ მამალს სავარცხელივით დაკბილული ჯიჯლიბო აქვს. შდრ. ср. comp. ბიბილო̂ **bibilô**.

ჯიჯბაყ დდ **ǯiǯbaq** dd იხ. см. see. ბოძკიჼტ **boʒḳīṭ**. ე ყორენ ჯიჯბაყი დეწე̂ – ამ ვაშლს (ვაშლის ხეს) ბოძკინტები ესაჭიროება.

ჯმუხ, ჯმუყ **ǯmux**, **ǯmuq** ჯმუხი коренастый stocky. იმიძევლარიჼ გიუჲრგი̂, აი, ო ჯმუყ სტაკოხ ვარ თარ́ლ‘ენ̂ – იმედიძე გიორგი, აი, იმ ჯმუხ კაცს ჰგავდა.

ჯოგ ჲჲ **ǯog** jj ჯოგი, ხროვა табун; стая herd, flock. კიკლიჼჸალო̂ დოჼ ჯოგი ჲალორ დგარდგარაჲნ̂ – ქვევიდან ცხენების ჯოგი მოდიოდა თქარა-თქურით; ბაჲრთ ჯოგუვ ქე დაყიჼ – ნადირის (მგლის) ხროვამ ცხვარი შეჭამა.

ჯომარდ **ǯomard** ჯომარდი, გულადი, ყოჩაღი проворный, удалый, смелый courageous, brave. ფორე̂ ჯომარდ ვაე̄, ჯომარდეხ მა̄ ბჭა იმედ ჲა სტაკგო⌈ჸ⌉ – ფორე ჯომარდია და ჯომარდისა ⌈კი⌉ ყოველთვის იმედი აქვს კაცს.

ჯორ დდ **ǯor** dd ჯვარი крест cross. შდრ. ср. comp. ხატ **xaṭ**.

